



25.694
3

UNIVERSITY OF TORONTO
LIBRARY



F 25.624
3



ქართულ მოღვაწეთა ნეკროპოლი

ქართულ მკვლევართა ნეკროლოგი

შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები
 და საძიებელი დაურთო
 სოლომონ სუციშვილმა

წიგნი პირველი

F 25.624
 3



საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამოცემა
 თბილისი

1961

რედაქტორი ლევან კოთუა

1983

883 2262 1-

წინასიტყვაობა

... სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების.
„აჩრდილი“
ილია ჰავჭავაძე

ქართული კულტურის შექმნაში მოღვაწეთა მრავალი თაობა იღებდა მონაწილეობას. მათმა მადლიანმა აზრმა და სიტყვამ, გონებასა და მარჯვენამ შექმნა ისეთი დიდმნიშვნელოვანი სამწერლობო თუ სახუროთმოძღვრო ძეგლები, რომელნიც საამაყონი არიან არა მხოლოდ ქართველთათვის. ქართველ მოღვაწეთა ნააზრევ-ნაფიქრალი თაობიდან თაობამდე გადადიოდა, მრავალ წელთა გასწვრივ შორეული საუკუნეებიდან მოემართებოდა და ჩვენამდე მოაღწია როგორც ნიმუშმა და ძეგლმა იმ დროისა, როცა ჩვენი წინაპრები მტერთა მრავალ ურდოებს იგერიებდნენ, ყოველ გზაჯვარედინზე ციხე-სიმაგრეს აგებდნენ, ხუროთმოძღვრების უბადლო და ბრწყინვალე ძეგლებსა ქმნიდნენ, ქვას აცოცხლებდნენ და ქართულ სიტყვაში გადაჰქონდათ ცხოვრების ტკბილი და მწარე.

მრავალი დიდი ადამიანის სახელი დაუკავშირდა ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის ძეგლს, მრავალი ქართველი ოსტატის თუ ხელნაწერის დამწერ-გადამწერის სახელი მოვიდა ჩვენამდე, ბევრი სახალხო გმირი შემოინახა ქართულმა ხალხურმა სიტყვიერებამ, მაგრამ უფრო უმეტესი სამუდამოდაა დაფარული ჩვენგან. მორიდებულმა ადამიანებმა ხშირად თავისი სახელი არ აღნიშნეს არც ხელნაწერებში, არც ციხის ქონგურებზე, არც ეკლესია-მონასტრებზე... ცხრა ძმა ხერხეულიძე ისე დაწვა ერთს დღეს ბრძოლაში და ისე ერთად დასაფლავდნენ ცხრანივე მარაბდაში, რომ მათ ახლა



არც ძველი უდგათ და არც თითოეულ მათგანის სახელია ცნობილი* ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები იკორთის ტაძარში არიან დამარხულნი, მაგრამ მათი ადგილსამყოფელი არსადაა აღნიშნული. სამასი არაგველი ერთს დღეს შეეწირა საქართველოს კეთილდღეობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ცნობა არ დარჩენილა მათს ვინაობაზე, მათს მეთაურზე. რამდენმა მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე დიდგორზე, მარაბდაში, ასპინძაში, კრწანისზე, მაგრამ მათი ძველი არ ამშვენებს იმ მიწას, რომელმაც ამ გმირთა სისხლი შეიწოვა...

ქართული მწერლობის მრავალმა ძეგლმა მოაღწია ჩვენამდე. რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში მკითხველებს გონებას უხსნიდნენ, ცხოვრების წესებს აცნობდნენ და ასწავლიდნენ, მაგრამ ბევრი მათგანი უსახელოა და მეცნიერებას ჯერ კიდევ ვერ გამოურკვევია—ვინ იყო დამწერი და სად მოღვაწეობდა იგი, სად დაამთავრა თავისი მადლიანი სიცოცხლე და რომელი ქვეყნის მიწას მიეზარა განსასვენებლად.

ქართველებს ბევრგან ჰქონიათ საქმე და ბევრგან უზოვიათ საბუღალბო თავშესაფარიც. ბედისა თუ უბედობის გამო ბევრმა ქართველმა მოღვაწემ უკანასკნელი ადგილი სამშობლოს გარედ ჰპოვა. სპარსეთისა და ავღანისტანის ხრიოკებში, არაბეთსა და ინდოეთში, თურქეთსა და ეგვიპტეში ბევრი ქართველის სისხლი არის დაღვრილი. თეიმურაზ პირველის დედა დედოფალი ქეთევანი შირაზში აწამებინა შაჰ-აბასმა, გიორგი სააკაძე თურქეთში ჩაჰკლეს, სოლომონ იმერთა მეფემ ტრაპიზონში დაამთავრა სიცოცხლე, ბესიკ გაბაშვილმა იასაში. რუსეთში ბევრმა ცნობილმა და სახელმოხვეჭილმა ქართველმა ჰპოვა უკანასკნელი სადგური. თეიმურაზ მეორე და ვახტანგ მეექვსე ასტრახანში არიან დასაფლავებულნი, არჩილი მოსკოვშია, სულხან-საბა ორბელიანმა „სესენწყაში“ ჰპოვა საძვალე თვისი. დავით გურამიშვილი, გიორგი ავალიშვილი, ვახუშტი და იოანე, დავით და თეიმურაზ, ფარნაოზ და ბაგრატ ბატონიშვილები, იონა ხელაშვილი, სო-

* ანტონ ფურცელაძე თავისი ისტორიული პოემის „ცხრა ძმის“ დასასრულს წერდა: „როცა მე პირველად ვნახე, მაშინ შვიდი ქვა ლა იყო. 1898 წელს ვნახე და ოთხის მეტი აღარ სჩანდა. მარაბდელებმა მითხრეს, რომ ძველად ცხრა იყო და დანარჩენი ქვები ან მიწაში დაიფარებოდნენ, ან თათრები დაიპარავდნენო, რადგან ისინი შენობისათვის ხშირად იპარავენ საფლავის ქვებს“.

ლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, იონა გედევანიშვილი, მამუკა ბარათაშვილი, არჩილსა და ვახტანგის ამალის წევრები და მრავალი სხვა საქართველოს გარეთ განისვენებენ. უცხო ქვეყნებში ცხოვრებასთან ბრძოლამ ბევრის მერანი წამოაჩოქა სხვათა კარზე. მოღვაწეთა აჩრდილნი სამშობლოსაკენ იმზირებოდნენ და ღალატდებდნენ: „ჰოი, მომავლნო და წარჩინებულნო ამა მოკლისა სოფლისანო, ნუ ვინ გაგვიცუდებთ ჭირნახულსა ამას ჩვენსა, რამეთუ აღვესრულენით სამშობლოსა ჩვენისათვის...“*

ბევრი ქართველის საფლავი გადაასწორა დრომ და ქარიშხალმა, ბევრის უკანასკნელი ადგილსამყოფელი დაიკარგა უკვალოდ, მაგრამ მათი ხსოვნა ხალხმა შეინახა, მათ ძესახებ ხალხმა მოიგონა სიმღერა და ლექსი, მათ ხალხის გულში დაიდგეს ხელთუქმნელი ძეგლი.

რა შეუდარებელი განძი იქნებოდა შოთა რუსთაველის საფლავის ქვის წარწერა, რამდენ საიდუმლოს ამოხსნიდა მისი ძეგლი, რამდენს გვეტყოდა დიდქართველთა ეპიტაფია!

ზოგჯერ აღამიანს ბედი გაუღიმებს, მიწის ნათხარში სიცოცხლის ნაშთს იპოვნის. ეს ნაშთი, მრავალ საუკუნეს მუნჯად ნამყოფი, ალაპარაკდება და დავიწყებულს იტყვის: „სერაპიტი, ასული ახლანდელის პიტიახშის ძევახისა, მეუღლე იბერთა მეფის ქსეფარნუგის მრავალ გამარჯვებათა მომპოვებელი ეპიტროსის იოდმანგანისა, პიტიახშ პუბლიკიოს აგრიპას ძისა, მქონებელი უბადლო სილამაზისა“.** „უბადლო სილამაზის მქონებელმა“ სერაპიტამ, რო-

* ქაშვეთის ეკლესიის დაბლა სართულში ერთერთ კედელში მარმარილოს ფირფიტა ზის, რომლის წარწერაც გვამცნობს, რომ ეს ფირფიტა გაკეთებულია ცუსინას ბრძოლაში დაღუპული ქართველი მებრძოლის სახსოვრად. გულდაძწვარ დედას ფირფიტაზე ლექსი ამოუკვეთინებია ასეთი წარწერით:

ზღვის ტალღებში დაკარგული,
ჩემს გულში ხარ დამარხული,
დავრჩი დედა, სატანჯველად,
შენს სიყვარულს მოკლებული,

მიჩმანის თ. გიორგი წერეთლის სახსოვრად. დაბადებულის 5 აგვისტოს 1882 წ. და დაღუპულის ცუსინის ბრძოლაში 14 მაისს 1905 წ.

** იხ. სიმონ ყუახჩიშვილი, „არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 12, 1950 წ. სერაპიტას ეპიტაფიის რამდენიმე წაკითხვა იხ. ქართველი არქეოლოგების—ა. აფაქიძის, გ. გობეჯიშვილის, ა. კალანდაძისა და გ. ლომთათიძის მეტად მნიშვნელოვან ნაშრომში—„მცხეთა“, ტ. I, გვ. 60—62, 1955 წ.

მელიც ჩვენი დროის ქართველ პოეტთა და მხატვართა შთაგონების წყაროდ იქცა, აურაცხელი სიმდიდრე შესძინა ჩვენს მეცნიერებას: მან დაამტკიცა ქართველი ხალხის კულტურის დიდი წარსულის ფაქტი.

საქართველოს გარეთ არსებული ზოგიერთი ქართველი მოღვაწის საფლავი ჩვენს დროში ხალხთა შორის მეგობრობის სიმბოლოდ იქცა. დიდხანს იყო მიუკვლეველი დავით გურამიშვილის ადგილსამყოფელი. აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაევილი, სოფრომ მგალობლიშვილი ამაოდ ეძებდნენ მას. დიდი ადამიანების ოცნება ახლა განხორციელდა. ხალხთა შორის მეგობრობამ დავით გურამიშვილს ძეგლი დაუდგა მირგოროდში. უკრაინელებმა დავითის საფლავის პოვნა იხეიშეს. თბილისში მთაწმინდაზე განისვენებს ალექსანდრე გრიბოედოვი. თბილისის მიწას არის მიბარებული აზერბაიჯანელი ფილოსოფოსი და მწერალი მირზა ფატალი ახუნდოვი, აქვე არიან გაბრიელ სუნდუკიანცი, რაფფი და სხვანი. ჩვენი კულტურის მოღვაწეთა საფლავები ხალხის საკუთრებაა და იგი ინახავს მათ.

უნდა აღინიშნოს, რომ საფლავის ძეგლები თავისი წარწერებით ისტორიის ისეთივე ცოცხალი მასალებია, როგორც ძველ ნაგებობაზე არსებული რაიმე გამოსახულება თუ წარწერა. საკმარისია ისტორიკოსმა ამ ეპიტაფიებს გონება მიაპყროს, რომ ისინი ამტკყველდნენ და ხალხის ცხოვრების ერთი რომელიმე მონაკვეთის შესახებ ძვირფას ცნობებად იქცნენ. საბედნიეროდ, ძველითგან აქა-იქ გადარჩენილა ასეთ ნამარხთა კომპლექსები, საგვარეულოთა სასაფლაოები, იმ საგვარეულოთა, რომელთა ჩვენი ქვეყნის წარსულში მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ კულტურული როლი შეუსრულებიათ. ასეთი სამარხების შესწავლა-პუბლიკაცია ხშირად ქცეულა მეცნიერული დაკვირვების საგნად. პიტარეთის სამარხებში ურგვია ერთი ქვა, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის პირველი მეუღლის ადგილსამყოფელს აღნიშნავს. „ბაგრატიონთა ასული და დიდის ორბელის სძალი სულხანის მეუღლე ბატონი დარეჯან ამას დავემკვიდრე ქორონიკონსა ტოა (1683 წ.)“— გვაუწყებს ეს წარწერა*, პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალი დიდი ქართველი მწერლის ბიოგრაფიის შემსწავლელისათვის**.

* გიორგი ჩიტაია, „პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები“, საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1927 წ., III.

** სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების ყველა შემსწავლელი გ. ჩიტაიას ამ ცნობას იყენებს.

ასეთი სამარხები მოინახება, იმავე ორბელიანებისა, კუმისის ეკლესიაში და მის გალავანში, ქაშვეთის ეკლესიის ძველ შენობაში, სიონის ტაძარში, მცხეთის სვეტიცხოველში, ურბნისისა და რუისის ეკლესიებში, იკორთის ტაძარში, მარტვილში, ახალ შუამთაში და სხვაგან და სხვაგან, რომელთაც მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ საქართველოს ამათუიმ კუთხის შემსწავლელისა და ისტორიკოსისათვის.

ეპიტაფიები მნიშვნელოვანი არიან აგრეთვე ქართული დამწერლობისა და ქართული ანბანის ისტორიის თვალსაზრისითაც. საქართველოში მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი მოიპოვება, რომელთა მნიშვნელობის შესახებ საკმაოდ ვრცლად აქვს ნათქვამი ივანე ჯავახიშვილს თავის „ქართულ დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფიაში“. ზოგიერთი ეპიგრაფიკული ძეგლი სწორედ ეპიტაფიას წარმოადგენს, როგორცაც ვხვდებით მცხეთის სვეტიცხოველში, ალავერდის ტაძარში, გელათში და სხვაგან. ერთ-ერთი ეპიტაფია, შესრულებული მრგვლოვანი ასომთავრულით, მეფე დავით აღმაშენებლისაა, გადარჩენილი მის მიერ საფუძველ-ჩაყრილ გელათში. ზოგიერთი ასეთი ეპიტაფიის ნიმუში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშიც არის დაცული. ისინი საინტერესო ძეგლებია ქართული დამწერლობის ისტორიისათვის (მათ შესახებ იხ. ანა ბაქრაძისა და სიმონ ბოლქვაძის მიერ შედგენილი „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი,“ 1953 წ.).

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ეპიტაფიების შეკრებისათვის საფუძვლიანად ჯერ არავის მოუკიდია ხელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგი მეცნიერის ნაშრომს, რომელშიც შიგადაშიგ, არქეოლოგიურ თუ ისტორიულ აღწერებში, მოხსენებულია ამათუიმ საზოგადო მოღვაწის საფლავის ქვის წარწერა-ეპიტაფია.

ამ წიგნში რამდენიმე ათეული საფლავის ქვის წარწერა არის შესული. ქართველ მოღვაწეთა ეპიტაფიების შეგროვება ადვილი საქმე არ აღმოჩნდა. ჩვენს ქვეყანაში ძველად პანთეონები არ არსებობდა. ეკლესია-მონასტრები, რომელთა ირგვლივ ცნობილი ადამიანები იმარხებოდნენ, მრავალჯერ დანგრეულა მტრის ურდოთაგან და, მკვდარს კი არა, ხშირად ცოცხალსაც არ ჰქონია მოსვენება და მყუდრო ადგილი. ქართული ნეკროპოლის ასეთი მდგო-

მარეობა, შექველია, საქართველოს ისტორიული წარსულის ანარქიკლია: მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა ხალხებთან ურთიერთობამ თავისებურად წარმართა ჩვენი ქვეყნის ცხოვრება. ბევრჯერ გამოუნგრის თავზეხელაღებულმა მტრებმა ქართული არქიტექტურის იველებს ბჭენი და სვეტნი. საქართველოს მტრებზე ზოგადად ითქმის: „მათ მოწვეს და მოაოხრეს ყოველი საქართველო და დაყარეს მძოვარნი მკვდრისა, ვითარცა მჭელი თივისა“. ცოცხალათთვისაც ძნელი იყო გაძლება მაშინ... საქართველო ხშირად უქცევიათ მტრებს საძვალედ...

სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ამბავი, რომ არა მხოლოდ მტერთა შემოსევამა და ომმა გაანადგურა ბევრი რამ, იველთაგან დანატოვარი, არამედ ზოგიერთთა ბედოვლათობამ და ზოგიერთთაგანაც ეროვნული ღირებულებებისადმი უსულგულო დამოკიდებულებამ. ქართველი მწერლები, მოღვაწენი, მოწინავე ადამიანები ყოველთვის წუხილს გამოსთქვამდნენ ამის გამო და თუ სადმე რამეს შეხვდებოდნენ, — აღნუსხავდნენ. ასეთი მოღვაწენი იყენენ: ექვთიმე თაყაიშვილი, მოსე ჯანაშვილი, თედო ჟორდანიას, გიორგი წერეთელი და სხვანი, რომელთა მცდელობით ძლიერ ბევრი ძეგლი, რომელიც ახლა აღარ არსებობს, ან შებღალულია, აიწერა და მეცნიერებას არ დაეკარგა. საინტერესოა ერთი ჩუმი ქართველი მოღვაწის — შაქროს (ზაქარია გულისაშვილის) გულისტკივილი, გამოთქმული მისგან „ივერიისაში“ 1900 წელს (№ 154): „ეს ტაძარი (პიტარეთი — ს. ხ) ყოფილა საგვარცულო სამარხი ორბელიანთ გვარისა, ეხლა გაუყიდნიათ მამა-პაპათა საძვალე, საუკუნოდ განსასვენებელი და ჩავარდნია ხელთ თაიროვს... ვიდაცის უღმობელ ხელს ამოუშმსხვრევია ძვირფას მარმარილოზე საფლავთ ზედ წარწერანი, თვით საფლავნიც უჩიქნიათ...“*

ამ წიგნში მოთავსებული ქართველ მოღვაწეთა ეპიტაფიები შეგროვებულია საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ, მის გარეთ არსებული ეპიტაფიები, რაც საქმაოდ მოიპოვება ლენინგრადში, მოსკოვში, ასტრახანში და რუსეთის სხვა ქალაქებში, ასევე თავმოყრას ელის. ისინი, ამჯერად შემთხვევით გამორჩენილებთან ერთად

* ზაქარია გულისაშვილი, მოთხრობები, ნარკვევები, 1953 წ., „გარდაბანისა და ჯაჩიანის საგრისთაონი და მათი ნაშინი“.



თად, „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლის“ მეორე წიგნად არის ნაგულისხმევი. თავის დროზე გამოყენებული იქნება ვ. საიტოვის, ეპისკოპოს (მემდევ კათალიკოსის) კირიონისა, ს. ესაძისა, ვლ. ტატიშვილისა და სხვათაგან თავმოყრილი ეპიტაფიები რუსეთის ნეკროპოლებისა, თუმცა მათში მცირედაა ცნობები საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა ძეგლებზე, რადგან ზოგიერთი, ჩამოთვლილთაგან, ხელაღებით ყველა ეპიტაფიას იწერდა.

ეპიტაფიები მეტწილად ლაკონიურნი არიან. ზოგი მათგანი შეთხზულია ცნობილი ქართველი მწერლისაგან. მაგალითად, აკაკი წერეთელმა რამდენიმე ეპიტაფია დაწერა: სერგეი მესხისა, დავით ერისთავისა, გრიგოლ ტარსაიძისა... ანტონ პირველის ეპიტაფია მისმა მოწაფემ ვარლამ (ქსნის ერისთავმა) მიტროპოლიტმა შეთხზა, ნატო გაბუნიასი — მწერალმა ქალმა გან დევილიშვილმა, მეფე ერეკლესა და გიორგი მეორემეტეს, საქართველოს უკანასკნელ მეფეებს, მარკიზ პაულუჩიმი დაადო სამადლოდ ქვა სპილენძის დაფითა და რუსული წარწერით...

„ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლის“ ბევრი მოღვაწის სახელი არ ამწვევებს, ბევრის საფლავიც სამუდამოდ დაკარგულია. ჯერ კიდევ ძველი არაა აღმართული კოტე მარჯანიშვილის, მარიამ დემურჩაის, მარიამ საფაროვ-აბაშიძის, ილია წინამძღვრიშვილის, ვანო სარაჯიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის და სხვათა მრავალთა საფლავებზე.

ეპიტაფიათა შეგროვება კარგი საქმეა, მათში ბევრი საინტერესო ცნობა მოიპოვება, რაც მოღვაწის ცხოვრების შესწავლას დაეხმარება.

ამ წიგნში ეპიტაფიები ანბნის რიგზეა დალაგებული (ანბანიც, საფლავის ქვასავით, ყველას ათანაბრებს!). ჯერ სწერია გვარი, ან ფსევდონიმი, ხანდახან სახელი (მაგ. დავით აღმაშენებელი, სოლომონ პირველი) იმისი, ვისიცაა ეპიტაფია, შემდეგ ძეგლზე წარწერილი სიტყვა-სიტყვით ისე, როგორც იგი იყო მაშინ, როცა ეპიტაფია გადმოიწერა. მას მოსდევს შენიშვნა დასაფლავებულის შესახებ არსებული ძირითადი ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობების აღმნიშვნელი მასალის ჩამოთვლით, მოღვაწის დამსახურების ჩვენებითა და საფლავის ადგილსამყოფელის მითითებით.

ეპიტაფიებში ზოგჯერ თარიღი მცდარია. სადაც სათანადო უტყუარ ბიოგრაფიულ მასალაზე ხელი მიგვიწვდა, შენიშვნებში ეპიტაფიის შეცდომა გავასწორეთ.

ეპიტაფიის ტექსტის შენიშვნებში სხვადასხვა პირობია მოხსენებული, ბიოგრაფიულად თუ შემოქმედებითად დაკავშირებული

დასაფლავებულთან. მათ შესახებაც, შესაძლებლობის ფარგლებში, სათანადო ცნობები მოტანილი.

ზოგი ქართველი მოღვაწის დასაფლავების ადგილი ცნობილია, მაგრამ ან ქვა არ აღევსა, ან სამარე დაკარგულია, ასეთ პირთა სია ცალკე დამატებად ერთვის ამ წიგნს.

„ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი“ ერთგვარი ცნობარია, რომელიც დახმარებას გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდობას, დაინტერესებულ პირებს, სამხარეთმცოდნეო მუზეუმებს, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა იცოდნენ მათ სამოქმედო არეში არსებული მოღვაწის საფლავი და მისი მდგომარეობა. „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი“ იმ დაწესებულებებსაც დაეხმარება, რომელთაც აბარიათ საზოგადო მოღვაწეთა საფლავების მოვლა-პატრონობა.

ასეთი წიგნის ქართულად შედგენის ცდა პირველია. სხვაგან კი საკმაოდ დიდტანიანი წიგნები არსებობს, მაგ. რუსულად შედგენილია ვლადიმერ სახტოვისაგან, „პეტერბურგის ნეკროპოლი“, „მოსკოვის ნეკროპოლი“, „პროვინციული ქალაქების ნეკროპოლი“ და სხვანი, რომლებშიაც მეტად ბევრი და საინტერესო ფაქტია თავმოყრილი.

„ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლში“ მხოლოდ საზოგადო მოღვაწეთა საფლავის ქვის წარწერებია შეტანილი, რამდენიც მოხერხდა და ვისიც მოხერხდა. რასაკვირველია, იგი არ შეიძლება ამომწურავი იყოს, ამიტომ ყოველგვარ შენიშვნა-მითითებას სიამოვნებითა და გულწრფელი მადლობით მივიღებთ (შემდეგი მისამართით: თბილისი, ენგელსის ქ., № 60).

გ ი ო რ გ ი ლ ე ო ნ ი ძ ე ლ ე ქ ს შ ი „ქართველ ოსტატებს“ საქართველოს წარსულს, განუწყვეტელი ომისა და ნგრევის სურათს ასე გადმოგვცემს:

ნაცრალ აქციის თქვენი ტაძარი,
დასცებ ბჭეები და საფუძველი,
იყო ბნეული და ნატატარი
თქვენი ეტრატის ყველა ფურცელი...

დაქცეული ბჭეები ნაკლებად იძლევა მასალას ამგვარი წიგნისათვის. ამიტომაც, რომ ძველითგან ეპიტაფიებმა ჩვენამდე ბევრმა ვერ მოაღწია; ამითაა შეზღუდული „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლიც“.

საჭირო მასალის მიგნებაში და შეკრებაში ბევრი ნაცნობი და მეგობარი დაგეხმარა. მათ დიდს მადლობას მოვასხენებ. ბევრი გულისყურით ეკიდებოდა ამ წიგნის შედგენას, მაგრამ ველარ იხილეს იგი. მათ ხსოვნას ვუძღვნი „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლს“.

1960 წლის ოქტომბერი

ს. ხუციშვილი

აბაშელი ალექსანდრე

„ალ. აბაშელი

A. Абашели

1884—1954“

ალ. აბაშელი, ბრწყინვალე ქართველი პოეტი, დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. მის შესახებ იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ., № 40; „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“, 1954 წლის 2 ოქტომბრის ნომრები; ბ. ჟღენტის წერილი „ალექსანდრე აბაშელი“, პოეტის თხზულებების პირველი ტომის წინასიტყვაობა, 1958 წ.

აბაშიძე ვასილი

„ვასო აბაშიძე

V. A. Абашидзе

1854—1927“

ქართული თეატრის უთვალსაზიროესი მოღვაწე, ნიჭიერი მსახიობი, 1879 წელს განახლებული ქართული სამუდამო სცენის მუშაკი, დრამატული დასის ხელმძღვანელი, პირველი სათეატრო გაზეთის „თეატრის“ რედაქტორი, ორიგინალური დრამატული თხზულებების ავტორი, მთარგმნელი და გადმოიმკეთებელი პიესებისა. სცენაზე გამოვიდა 1872 წელს. იგი პირველთაგანი იყო ქართველ მსახიობთა შორის, რომელსაც მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება 1922 წელს. ვასო აბაშიძე დამარხულია მთაწმინდის პანთეონში. მის შესახებ იხ. ილ. ზურაბიშვილის მოგონება,

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1938 წ., № 4; მისივე წიგნი „ოთხი პორტრეტი“, 1948 წ.; ს. გერსამია—„ვასო აბაშიძე“, 1949 წ., ალ. ბურთიკაშვილი „სცენის ოსტატები“, 1951 წ., საქ. თეატრალური საზოგადოების გამოცემა „ვასო აბაშიძე“, 1951 წ.; ტასო აბაშიძის „მოგონებანი“, 1954 წ. და მრ. სხვა.

ვასო აბაშიძე ნამდვილად გარდაიცვალა 1926 წელს. მის საფლავზე ძეგლი დაიდგა 1954 წელს.

აბაშიძე კიტა

„კიტა აბაშიძე 1870—1917“

პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ქართული ჟურნალ-გაზეთების აქტიური თანამშრომელი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

ავალიშვილი ნიკოლოზ

„საზოგადო მოღვაწე და მწერალი ნიკოლოზ იაკობის ძე ავალიშვილი 1844—1929. დაუვიწყარ მამას“

ნიკო ავალიშვილი მონაწილეობდა „ტისკარში“, „მნათობში“. თარგმნიდა უცხოელ მწერალთა თხზულებებს („ვილჰელმ ტელ“, „ფიესკოს შეთქმულება“, „ყაჩაღები“), მას ეკუთვნის სერვანტესის „დონ-კიხოტის“ ორივე ნაწილის თარგმანი (მთლიანად ქართულად თარგმნილი გამოიცა 1951 წ.), იყო რედაქტორ-გამომცემელი სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალ „მნათობისა“ 1869—1872 წლებში.

ნიკო ავალიშვილი დასაფლავებულია ვერის სასაფლაოზე. მის შესახებ იხ. ს. ცაიშვილი — „ნიკო ავალიშვილი“, 1955 წ.

„ილია აკლამე 1871—1948“

ილია აკლამე ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ თანამშრომელი იყო. თანამშრომლობდა ჟურნალ „მოამბეში“, გაზეთ „ცნობის ფურცელში“. რედაქტორობდა ამ გაზეთის ყოველკვირივულ სალიტერატურო დამატებას, მუშაობდა ქართულ სცენაზე. თარგმნიდა პუშკინის, ტურგენევის, გორკისა და ჩეხოვის თხზულებებს. მან თარგმნა ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“. 1921 წლიდან თანამშრომლობდა „კომუნისტში“, „მნათობში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, „ლიტერატურა და ხელოვნებაში“.

ილია აკლამე დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. მის გვერდით დასაფლავებულია მისი მეუღლე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოლღა აკლამე (1869—1952). ილ. აკლამის შესახებ იხ. ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ., № 28—„ილია აკლამის ხსოვნას“.

ალექსი-მესხიშვილი სარდიონ

„Hic Jacet Sardione Alexieff Mescief Doctor Scientia maxima
Mortuus die XX Janvarii MOCCLXIII“

მოიხსენე უფალო სული მონისა შენისა ნადგორნი სოვეტნიკის სარდიონ დიმიტრის ძის ალექსიევ-მესხიევისა რლ დაფლული იქმნა წმიდასა ამას ტაძარსა შა წე ძეგლისა ამის 1868 წელსა შობითგან 49 წლისა“

სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი ქართული მწერლობის აქტიური მონაწილე იყო, განსაკუთრებით „თერგდალეულთა“ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას, წერდა წერილებს „Кавказ“-ში. მის კალამს ეკუთვნის „უსტარი ანტიკრიტიკული“, მიმართული ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ს. ალექსი-მესხიშვილმა თარგმნა და „ცისკარში“ დაბეჭდა როფე დე-ბოვარის „საფია“, მარმონტელის „მეუღაბნონი“, ეჟენ სუს „მომომავალი ურია“ და სხ. თავისი ღროს სახელგანთქმული ექიმი, ერთი პირველი ქართ-

ველთაგან, რომელსაც უმაღლესი სამედიცინო განათლება ჰქონდა მიღებული.

სარდიონ ალექსი-მესხიშვილი დასაფლავებულია შუამთის ახალ მონასტერში. მის გვერდით არის საფლავი მისი მეუღლის სოფიოსი. სარდიონი და სოფიო არიან მშობლები მსახიობის ლადო ალექსი-მესხიშვილისა.

ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ

„რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლადო მესხიშვილი 1857—1920“

ქართული თეატრის მსახიობი ლადო მესხიშვილი ქართულ პიესაში პირველად ათამაშა დავით ერისთავმა თავის „სამშობლოში“, ლევან ხიმშიაშვილის როლში, 1882 წ. ლადო მესხიშვილი მუშაობდა ქართულ და რუსულ თეატრებში, ასრულებდა შექსპირის, შილერის, გუცკოვის პიესათა როლებს.

ლადო მესხიშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მის შესახებ იხ. დავით კასრაძე, „ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი“, 1913 წ.; აკაკი ფაღავა, „ლადო მესხიშვილი“, 1938 წ.; ნინო დავითაშვილის „მოგონება ლადო მესხიშვილზე“, „მნათობი“, 1938 წ., № 6; ილია ზურაბიშვილის „ოთხი პორტრეტი“, 1948 წ.; სერგო გერსამიას „ქუთაისის თეატრი“, 1947 წ.; ნინო ჩხეიძის „მოგონებანი“, 1950 წ. და 1956 წ.; ალ. ბურთიკაშვილის „სცენის ოსტატები“, 1951 წ., აგრეთვე ლადო მესხიშვილის ასულის ვარია ალექსი-მესხიშვილის მოგონება ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“, 1928 წ., № 6—7, 10—11.

ალექსი-მესხიშვილი ნიკოლოზ

„ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილი დაიბადა 20 ოქტომბერს 1840 წ. გარდაიცვალა 27 მაისს 1908 წ.“

ნ. ალექსი-მესხიშვილი წერილებს ბეჭდავდა „კვალში“, უფრო ადრე „დროებაში“ ქართულ წარმოდგენებზე და ქართველ დრამატურგებზე. მან თარგმნა რუსულად ილია ქავეჭავაძის „ქვათა ლაღი“. იგი ეხმარებოდა იტალიელ მხატვარს პრემაცოსს, რომელ-

საც ვარძიისა და საფარის სიძველეები დაუხატავს. სტუდენტობი-
სას მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდობის მოძრაობაში 60-იან
წლებში. მისი მამა იაკინთე (1805—1878) იყო ძმა ქეთევან ორბე-
ლიანისა, გრიგოლ ორბელიანის ძმის ზაქარიას მეუღლისა. იაკინთე
ლადო მესხიშვილის ბიძა იყო, ხოლო ნიკოლოზი—ბიძაშვილი. ნ.
ალექსი-მესხიშვილის შესახებ იხ. ი. გრიშაშვილის შენიშვნები
აექსენტი ცაგარლის „კომედიებზე“, გვ. 468, აგრეთვე ვ. სიფრა-
შვილის წერილი—„რატომ დაიმსახურა გ. ორბელიანმა საყვედური?“,
„თბილისი“, 3 ოქტომბერი, 1960 წ. ნ. ალექსი-მესხიშვილი დასა-
ფლავებულია სამთავისის ტაძრის გალავანში.

ამირაჯიბი სოფიო

„ამირეჯიბი სოფიო ვახილის ასული 1849-1905

Любимой и дорогой маме и сестре
Княгиня София Васильевна Амираджиби.
Она не умерла, Она осталась с нами
И наш ласкает слух вновь лирой дорогой,
Живет она средь нас и мыслью и мечтами,
Горит огонь ея под кровлею родной.
С. А. “

სოფიო ამირაჯიბი (ნამდვილად 1847-1906), ვასილ არლუთა-
შვილ-მხარგრძელის ასული, ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნი-
და ქართველ პოეტთა ძემოქმედებას, ჰქონდა რუსული ორიგინა-
ლური ლექსებიც. მან თარგმნა ვახტანგ ორბელიანის, ნიკოლოზ
ბარათაშვილის და სხვ. ლექსები, იხ. „Сборник стихотворений
грузинских поэтов“, Москва, 1909. იგი მეუღლე იყო მიხეილ
ამირაჯიბისი. მას უძღვნა აკაკიმ ლექსი „ფუტკარი“ (1902 წელს).

სოფიო ამირაჯიბი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.
ს. ამირაჯიბის საფლავს ქვას ახლა ეს რუსული ტექსტი აღარა
აქვს. მის გვერდით დასაფლავებულნი არიან მისი შვილები—ბარ-
ბარე მიხეილის ასული (1872-1939) და პროფესორი კ. ამირაჯიბი
(1869-1948).

„Варвара Георгиевна Андреевская Род. 1 ноября 1819 г.

სკონჩ. 28 декабря 1893 г.“

ბ. ანდრეევსკაია დასაფლავებულია მთაწმინდაზე, დავითის ეკლესიაში. ბ. ანდრეევსკაია იყო გიორგი ერისთავისაგან განახლებული ქართული თეატრის პირველი წარმოდგენების მონაწილე სცენისმოყვარე ქალი. 1850 წლის 2 იანვარს მან „გაყრაში“ შეასრულა კნენინა მაკრინეს როლი, ხოლო 3 მაისს, იმავე წელს, „დავაში“ — ნინოს როლი. ბ. ანდრეევსკაია იყო ასული გიორგი თუმანიშვილისა, მეუღლე გრაფ მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმის ერასტი ივანეს ძე ანდრეევსკისა. ანდრეევსკის ოჯახს შეხვდა აკაკი წერეთელი, როცა იგი ოდესის გზით პეტერბურგში გაემგზავრა უმაღლესი სწავლის მისაღებად. აკაკი წერს: „ანდრეევსკი ვარანცოვის სასახლის საკუთარი მკურნალი იყო, შინაური კაცი, და, სადაც უნდა ყოფილიყო ვარანცოვი, ყველგან თან ახლდა. ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, თავად თუმანიშვილისა“ (იხ. „ჩემი თავგადასავალი“). ბარბარე ანდრეევსკაიას გვერდით მარხია მისი ასული ნინო: „Нина Эростовна Андреевская, род. 14 июля 1848 г. сконч. 22 июля 1876 г.“ ამ ნინოს სიკვდილთან დაკავშირებულია დიდი სასამართლო პროცესი (ამის შესახებ იხ. „Дело Давида и Николая Чхотуа и др. Тифлисское дело“, ვლადიმერ სპასოვიჩის სიტყვა წიგნში „Судебные речи известных русских юристов“, Сборник), რის შედეგადაც ოცი წლით კატორღაში იქნა გაგზავნილი დავით ჩქოტუა (დავით ჩქოტუას შესახებ იხ. სიმონ ჯანაშიას შენიშვნები წერილზე „Герои поэмы Руставели и их мировоззрение“, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1, 1936 წ.). ბარბარე ანდრეევსკაიას მეორე ასული — ელენე, მეუღლე იყო პოეტისა და დრამატურგის გიორგი შერვაშიძისა (1846-1918). ელენე დასაფლავებულია მოქვის ტაძარში და საფლავზე აწერია: „Елена Эростовна светлейшая княгиня Шервашидзе ур. Андреевская“. თვით გიორგი შერვაშიძეც იქვეა დასაფლავებული (გიორგი შერვაშიძის შესახებ იხ. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, 1939, III ნაკვ. სიმონ ჯანაშია — „გიორგი შერვაშიძე, ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან“ და გიორგი შერვაშიძე — „ლირიკა, ეპოსი, დრამა“, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, სოხუმი, 1946 წ.). ბარბარე ანდრეევსკაიას შესახებ იხ. ლ. ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, 1953, გვ. 98.



ანდრონიკაშვილი კონსტანტინე

„კონსტანტინე (კოწო) ანდრონიკაშვილი, გარდაიცვალა 1954 წლი ს 26 ივლისს“

ქართული თეატრისა და კინოს მოღვაწე, მსახიობი, რეჟისორი. იგი დაბადებულია 1887 წელს, დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე. მის გვერდით მარხია მისი მეუღლე, მსახიობი ანეტა ქიქოძე.


ანტონ I კათალიკოსი

„საფლავსა ამას შინა მდებარე ვარ საქართველოს მეფის იასეს ძე კათოლიკოსი ანტონი მცხეთისა და ყოვლისა საქართველოსა და ჩლენი უწმინდებისა სინოდისა რომელმანცა შეამკო ეკლესია საქართველოსა სრულითა ტიპიკონითა და საეკლესიოთა ცერემონიითა განაშტქნა ენა ქართულთა ეკლესია მეფერ მეთქულობითა და ღრამატიკა და წიგნი სატილასოფოხონი და ხაღმთოს მტყუტლნი რაოდენნიმე თუით ჰქმნა და რაოდენნიმე გარდმოიღო სხუა და სხუა ენათაგან ქართულთა ენასა ზა და ესე ვითარითა ჰშრომითა დიდითა განამშუტნებელ ქართულისა ენისა და ეკლესიათა მიიცუალა საგლოველად დიდად საზოგადოებისად, წელსა ჩღმ-სა თთუტსა მარტსა კ-სა

F 25.624
3

ქართულთ ერთ ექმნა მეორედ ოქროპირად,
პავლედ მქუხარედ, უმეცართ განაპირად,
გრიგორად მალლად, მგმობთა განაპირად,
აქტუნდა რა იყო, ქესაგან დანაპირად
დასტევა სამწყსო ღთისადმი შენაპირად“.

ანტონ პირველი კათალიკოსი დასაფლავებულია მცხეთის სვეტიცხოველში, როგორც სამეფო საგვარეულოს წევრი და საქართველოს კათალიკოსი. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მდიდარია და მრავალფეროვანი. პლატონ იოსელიანი, ანტონის ნაშრომის გამომცემელი, წერს: „მოწაფემან მისმან ვარლამ არხი-ეპისკოპოსმან (ვარლამ ერისთავი რუსეთს მოღვაწეობდა და იქვე გარდაიცვალა. ვარლამს ეკუთვნის ეპიგრაფიკა, რომელიც შემოუნახავს მცხეთის სვეტიცხოვლის დასავლეთის კარიბჭეს, ქაშვეთის ეკლესიის შესავალს (მარჯვნივ) და სიონის სამრეკლოს აღმოსავლეთ კარიბჭეს-ს. ბ) დაჰსდტუა საფლავსა მისსა მარმარილოჲსა ქტუ შემდეგითა ზედა-წარწერითა...“ და მოჰყავს ეპიტაფია („წყობილ-სიტყვაობა“... 1853 წ. გვ, VX—XVI). ანტონის ეპიტაფია დაიბეჭდა



ა. ნატროშვილის წიგნშიც „Михет и его сонъ, Свети-Цховели“, გვ. 327—328. ანტონ პირველზე ვრცლად იხ. კ. კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, 1941 წ. გვ. 338—352, 1951 წ. გვ. 345—358. ანტონის ცხოვრების თარიღებია 1720—1788 I/III.

არაგვისპირელი (შოა დედაბრიშვილი)

„შოა არაგვისპირელი (შოა დედაბრიშვილი) 1867—1926“

შოა არაგვისპირელი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. შოა არაგვისპირელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 80-იან წლებში, მისი თხზულებები იბეჭდებოდა „მოამბეში“, „კვალში“, „აკაკის კრებულში“.

შოა არაგვისპირელის შესახებ იხ. ს. ქილაიას „შოა არაგვისპირელი“, მწერლის თხზულებათა პირველი ტომის წინასიტყვაობა; მისივე „ლიტერატურული წერილები“, 1946 წ.; იბ. ვართაგავას „ქართველ მწერალთა სილუეტები“, 1956.

არადელი-იშხნელი გიორგი

„მსახიობი გიორგი ნიკოლოზის ძე არადელი-იშხნელი დაიბადა 1883 წ. 3 ივლისს. გარდაიც. 1920 წ. 14 თებერვალს“

ქართული თეატრის მსახიობი არადელი-იშხნელი დამარბულია სოფ. არადეთში (ქარელის რაიონი), იშხნელების საგვარეულო სასაფლაოზე, მამაბაბეულ კოპკთან. გ; არადელი-იშხნელის შესახებ იხ. ნ. გვარამე, „თეატრალური მემუარები“, I; ალ. ბურთიკაშვილი, „სცენის ოსტატები“; მისივე მოწოდება „გიორგი არადელი-იშხნელი“, 1954 წ.

არაყიშვილი დიმიტრი

„დიმიტრი არაყიშვილი“

კომპოზიტორი დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მისი ცხოვრების თარიღებია: 1873—

1953. დიმიტრი არაყიშვილი ავტორია ქართული ოპერებისა, რომელთა მანსებისა და სიმღერებისა, იგი იკვლევდა ქართულ მუსიკას. დ. არაყიშვილზე იხ. გრ. ჩხიკვაძე, „დიმიტრი არაყიშვილი“, წიგნში „საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორები“, 1956 წ., ა. ბეგიჯანოვის მონოგრაფია, „დიმიტრი არაყიშვილი“, გამომც. „ხელოვნება“, 1955 წ.

არდაზიანი ლავრენტი

„Здесь покойтся прах надворнаго советника Лаврентия Петровича Ардазиани скончалс (sic) 1-го дня января 1870 года на 50 году от рождения лаврენტი ардазиани автორი მეჯღანუაშვილისა 1820—1870“

ლავრენტი არდაზიანი დასაფლავებულია ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე (ახლა კიროვის სახელობის ბაღი), დანიელ ჭონქაძის საფლავთან ახლოს. ქვაზე დაბადების წელი შეცდომით არის ამოკვეთილი, უნდა იყოს 1815. ლ. არდაზიანის საფლავის შესახებ იხ. ს. ხუციშვილი, „საყურადღებო შენიშვნები“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1940. № 52. ლ. არდაზიანის შესახებ იხ. ა. გაჩეჩილაძე, „ქართული რევოლუციის ისტორიისათვის“, ჟურნ. „ლიტერატურული ძიებანი“, 6; მისივე „ნარკვევები მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან“, I, 1952 წ.; დ. გამეზარდაშვილი, „ნარკვევები ქართული რევოლუციის ისტორიიდან“, პროფ. მის. ზანდუკელი, „ახალი ქართული ლიტერატურა“, II, 1952 წ. და სხვ.

ასათიანი ეკატერინე

„პროფესორის დედა კატა ასათიანი 1938 3/XII“

ეკატერინე ასათიანი, მეუღლე ცნობილი ქართველი ხალხისნის მიხეილ ასათიანისა, დედა იყო ფსიქიატრის, პროფესორ მიხეილ მიხეილის ძე ასათიანისა. ეკატერინე ქმართან ერთად ეწეოდა მწერლობას, ბეჭდავდა თხზულებებს „იმედში“, „ჯეჯილში“, კორესპონდენტობდა «დროებაში». ეკ. ასათიანი იყო სტეფანე ჭრელაშვილის და. ეკ. ასათიანი დასაფლავებულია შვილის გვერდით ვაკის სასაფლაოზე.

„პოეტი ლადო მექის ძე ასათიანი 1917 14/1—1943 23/VI“

ნიჭიერი პოეტი ლადო ასათიანი დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე. მის შესახებ იხ. ვ. კიკნაძის „სიცოცხლის მომდევრლები“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956 წ. № 26; ს. ჩიქოვანი, „ლადო ასათიანი“, ჟურნ. „მნათობი“, 1956 წ. № 11; ნ. ავიაშვილი, „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, ცისკარი, 5—12, 1960 წ.

ასათიანი მიხეილ

„პროფესორი მიხეილ მიხეილის ძე ასათიანი

Профессор Михаил Михайлович Асатиани

1882 10/V 1938 20/I“

ფსიქიატრი, პროფესორი მიხეილ ასათიანი ვაკის სასაფლაოზეა დასაფლავებული. მის შესახებ იხ. ი. მენტეშაშვილის წიგნაკი „მიხეილ ასათიანი“, 1952 წ.

ასათიანი ლევან

„ლევან ასათიანი 1900—1955“

მწერალი, კრიტიკოსი, მკვლევარი-მეცნიერი ლევან ასათიანი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. მის შესახებ იხ. „ლევან ასათიანის, ხსოვნას“ ჟურნ. „ლიტერატურული ძიებანი“, № 10; ბ. ჟღენტის წერილი ლ. ასათიანის „რჩეული ნაწერების“ პირველ ტომში.

ასლამაზაშვილი ნიკო

„მუშა-მწერალი ნიკო ასლამაზაშვილი 1872—1947“

ნ. ასლამაზაშვილი ვაკის სასაფლაოზეა დამარხული. მის შესახებ იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947 წ., № 19, ნეკროლოგი.

ასლანიშვილი იოსებ

„ი. ასლანიშვილი“

საზოგადო მოღვაწე, ექიმი, მთამსვლელი, მკვლევარი სოსო ასლანიშვილი გარდაიცვალა 1955 წ., იგი დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე. ი. ასლანიშვილზე იხ. დ. ფურცელაძის წერილი „ი. ასლანიშვილი“, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1955 წ., № 10.

აღნიშნული ვლადიმერ

„ლადო აღნიშნული 1860—1904 წ.“

მწერალი, პედაგოგი, მომღერალი, ფერეიდნელი ქართველების ცხოვრების აღმწერი ლადო აღნიშნული კუკიის სასაფლაოზე არის დასაფლავებული. ლ. აღნიშნულის შესახებ იხ. იოსებ იმედაშვილის წიგნაკი „ლადო აღნიშნული, 1860—1904, ცხოვრება და მოღვაწეობა“, 1929 წ.; ს. ცაიშვილის წერილი კრებულში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, II, 1955 წ., ა. მეტრეველი—„ლადო აღნიშნული“. მნათობი, № 6, 1960 წ. ლ. აღნიშნულის საფლავის გვერდით ყოფილა შიო ჩიტაძის საფლავიც, რომელიც ახლახან გაუქმდა. გოგელო ყაზახაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 1908 წლის გაზ. „საქართველოში“ სწერია, რომ იგი (ყაზახაშვილი) დამარხეს ლადო აღნიშნულის, ასიკო ცაგარლისა და შიო ჩიტაძის გვერდით.

ახნაზაროვი არტემ

„არტემ მიხეილის ძე ახნაზაროვი (ჩიორა) 1866—1942“

არტემ ახნაზაროვი—ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ თანამშრომელი, მწერალი-იუმორისტი, „ჩიორას“, „ორონის“ და სხვა ფსევდონიმით. ქართული თეატრისათვის თარგმნიდა პიესებს, ლექსებს ბეჭდავდა „კვალში“. მისი ლექსები და სცენები კ. აბაშიძის წინასიტყვაობით დაიბეჭდა 1912 წ. თარგმნიდა პუშკინის ლექსებსაც (იხ. „პუშკინი საქართველოში“, ი. გრიშაშვილის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია პუშკინის თხზულებათა ქართულად თარგმანებისა).

არტემ ახნაზაროვი დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე. მის შესახებ იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ. № 10, შ. დადიანის წერილი — „არტემ ახნაზაროვი“, „რჩეული ნაწერების“ პირველ წიგნში, 1950 წ. არტ. ახნაზაროვის ბიუსტი გამოკვეთილია იაკობ ნიკოლაძის მიერ.

ბაგრატიონ-მუხრანელი გიორგი

„Сенатор, статс-секретарь, тайный советник князь Георгий Константинович Багратион-Мухранский, родился 1821 г. умер в Париже 13 января 1877 г. на 56 г. жизни, предан земле 16 февраля 1877 г.“

სენატორი, სტატს სეკრეტარი, ტაინი სოვეტნიკი კნიაზი გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, იშვა 1821 წელსა, გარდაიცვალა პარიჟში 13 იანვარს 1877 წელს 56 წლისა. დასაფლავებულ იქნა 16 თებერვალს 1877 წ.“

გიორგი ბაგრატიონი-მუხრანელი მცხეთის სვეტიცხოველშია დამარხული. იგი ავტორია წიგნისა „О существе национальной индивидуальности и о ее образовательном значении крупных народных единиц“, რომელმაც დიდი პოლემიკა გამოიწვია გასული საუკუნის 70-იან წლებში. გიორგი ბაგრატიონის მისამართითაა დაწერილი ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი გამოცანა:

კობტა და ღობემძვრაღა,
პატარა და ჩამომხმარი,
ცხვირ-ნისკარტა, ნიკაპ-წვეტა,
უჟამური, განს გამდგარი.
ჭკვით და გულით მოცვეთილა,
ჭვეყანაზედ უქმად გღია.
თვით მალლა ზის, ჭვეყნის საქმე
მასაც ფეხებზედ ჰკიღია...

გ. ბაგრატიონმა თავისი წიგნი დავით ერისთავს გაუგზავნა სახსოვრად. დ. ერისთავმა უკან დაუბრუნა წიგნი შემდეგი პამფლეტით:

О существе ты написал,
Мой друг, более ста страниц,
Но этим только доказал
То, что мы знали без того:
Что ты совсем не существо,
А нуль меж крупных единиц.

გ. მუხრან-ბატონის წიგნს ბევრი მოღვაწე გამოეხმაურა:
ბ. უმიკაშვილი, ს. მესხი, გაბრიელ ქიქოძე, ხოლო აკ. წერეთელმა
მასზე დაწერა სატხრა „ენების გასამართლება“.

ბაგრატიონი რომანოზ

„Добродетельнейшему человеку, нежнейшему супругу и отцу, генерал лейтенанту князю Роману Ивановичу Багратиону. Скончавшемуся 1834 года 2 марта, от роду 56 лет“

რომანოზ ივანეს ძე ბაგრატიონი ძმა იყო დიდი მხედართ-
მთავრის პეტრე ბაგრატიონისა. თითონაც სამხედრო მსახური, მო-
ნაწილე XIX საუკუნის დასაწყისში სპარსეთის საწინააღმდეგო
ლაშქრობებისა. მონაწილე იყო 1812 წლის ომისაც. თავისი ძმის
დავალებით იგი მოლაპარაკებასაც აწარმოებდა ზოგიერთ გავლენიან
ქართველ თავადთან. 1832 წელს მის სახლში მისი მონაწი-
ლეობით დაიდგა თბილისში ა. გრიბოედოვის პიესა „ვაი ქუთისაგან“.
ამ დადგმაზე წერდა ს. დოდაშვილი: „...ჩემს ქალაქში წარსულს
კვირას იყო თეატრი ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა, საკურვლად
წარმოადგინეს, მერწმუნე უკეთესად არღა შეიძლებოდა“... რ. ბაგ-
რატიონი დაბადებულია 1778 წელს რუსეთში. დასაფლავებულია
მთაწმინდის ტაძარში. რ. ბაგრატიონის შვილი პეტრე ნ. ბარათა-
შვილთან ერთად სწავლობდა თბილისში. ამ პეტრეს ეკუთვნის მო-
გონებები თავის ამხანაგზე (იხ. სამსონ აბაშიძე, ნაწერები, ს. ხუ-
ციშვილის რედაქციით, 1957 წ., გვ. 95—96). რ. ბაგრატიონზე იხ.
ი. ბალახაშვილი, „ქართველი მხედრები 1812 წლის სამამულო ომში“,
1942. აგრ. დ. გვრიტაშვილის „პეტრე ბაგრატიონის ერთი უცნო-
ბი წერილი“, საქართველოს აკადემიის მოაზზე, ტ. V, № 7, 1944 წ.

არც კაცი ვარა თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს!

გასწი, გაფრინდი ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემოხა მას, არც აწ ემოხოს შენი მხედარი.

რა ხელჰყრის პატივს ნაზი ბულბული
გალიაშია დატყვევებული
და კვალად იგი ამხანაგთ შორის
კირსა ვით ლხინსა ერთგვარ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება!

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება...“

ნ. ბარათაშვილის ძეგლის წარწერები, ოთხივე მხარეზე, მისივე თხზულებებიდანაა, პირველია ლექსიდან „ფიქრი მტკვრის პირას“, მეორე და მეოთხე—„მერანიდან“, მესამე—პოემიდან „ბედი ქართლისა“. ნ. ბარათაშვილი 1845 წელს გარდაიცვალა განჯაში ახლა კიროვადი). მის საფლავს იქ ჰქონია წარწერა: „Здесь лежит прах грузинского князя Николая Мелитоновича Баратова, скончавшегося во цвете лет, на 29 году, 9 октября 1845 года“. წარწერის ეს ტექსტი გადმოწერილი ყოფილა პოეტის საფლავიდან მ. შიძინარიშვილისა და გ. განძელის მიერ, გამოაქვეყნა ზ. ტიქინაძემ წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, გვ. 25, 1893 წ. ნ. ბარათაშვილის ნეშტი 1893 წელს თბილისს გადმოასვენეს და დამარხეს დიდუბეში. 1938 წელს, 15 ოქტომბერს, დიდუბის პანთეონიდან ნეშტი გადასვენებულ იქნა შთაწმინდაზე. გადასვენებისა და საცქსპერტო შემოწმების აქტი იხ. „ლიტერატურის მატინე“, 1—2, გვ. 484 და „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წლის ოქტომბრის ნომრები. ძეგლი, რომელიც შთაწმინდაზე დგას ნ. ბარათაშვილის საფლავზე, დადგმულ იქნა დიდუბეში 1905 წელს. ნ. ბარათაშვილის სრული ბიბლიოგრაფია იხ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, წიგნის პალატის გამოცემლობა, 1947 წ. ნ. ბარათაშვილის დედა ეფემია, ზურაბ ორბელიანის ასული, დასაფლავებულია ქაშვეთის ეკლესიაში, ხოლო მამა მელიტონი—სოფელ ოსიაურში.

ფემია ორბელიანსა და მელიტონ ბარათაშვილს თოთხმეტი
შვილი ჰყავდათ, პირმო იყო ნიკო. თოთხმეტი შვილიდან მშობ-
ლებს მხოლოდ ხუთი შერჩათ. ნ. ბარათაშვილის დებიდან ბარბაღე-
იყო ვეზირიშვილის ცოლი (მასთან სტუმრობისას გარდაიცვალა მელი-
ტონი და იმიტომ დაასაფლავეს ოსიურში, ხაშურის რაიონში), ნინო
ბარათაშვილისა, სოფიო სუმბათაშვილისა და ეკატერინე ერისთავისა.
ამ ეკატერინეს გათხოვებაზე წერს ნ. ბარათაშვილი თავის ბიძას ზა-
ქარია ორბელიანს. მელიტონ ბარათაშვილის ქალიშვილთაგან მხო-
ლოდ ამ კატოს საფლავი არის გადარჩენილი ოძისის ეკლესიაში.
მის ქვაზე შემდეგი წარწერაა: „ქრწმე ლოდისა ამის მდებარე არს
თავადი რევაზ ლუარსაბის ძის ერისთავის მეუღლე ეკატერინე ასუ-
ლი თავადის მელიტონ ბარათაშვილისა, შობილამ კმ-სა (28) წლისა,
გარდაცვალებული ამიერ სოფლით ჩყნგ (1853) წელსა მარტის კ-სა
დღესა“. შემდეგ იგივე რუსულად. (ეკატერინე ბარათაშვილი 32
წლისა გარდაიცვალა ნამდვილად, იგი დაბადებულია 1821 წელს.
რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავიც, 1816—1881, იქვე მარხია). ამ
ეკატერინეს შვილი იყო ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი, რომელმაც
საფუძველი ჩაუყარა ნ. ბარათაშვილის თხზულებების 1922 წლის
გამოცემას. ცნობილია, ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში
მონაწილეობდნენ: კიტა აბაშიძე, იოსებ გედევანიშვილი, იოსებ
გრიშაშვილი, თვით ნიკო ერისთავი, გიორგი ვეზირიშვილი (ნ. ბა-
რათაშვილის დის ბარბაღეს შვილი), გიორგი თუმანიშვილი, გი-
ორგი ლასხიშვილი, გიორგი ჟურული, სამსონ ფირცხალავა, დი-
მიტრი შევარდნაძე, ივანე ჯავახიშვილი. კოლა ერისთავი გრ. ორ-
ბელიანთან ცხოვრობდა, იგი ილია ჭავჭავაძის მეგობარი იყო.

ბარათაშვილი რევაზ

[კვლევის ქვაზე] „К Р Б Памяти Штабс-Капитана Нижегород-
ского Драгунского полка Князя Реваза Баратова, умершего на 29-м
году от рождения, среди любящих его сослуживцев-товаришей и вда-
ли от скорбящей матери в станице Майкоп, Кубанской области. Ро-
дился 10-го сентября 1834-го года. Скончался 26 декабря 1863 года.

ამ ლოდის ქრწმე დამარხულ არს გუამი თავადის რევაზ
ბარათაშვილის, რომელმანცა თავი და ყუავილოვანი სიკაბუკე
თვისი დაუზოგველად შესწირა ხელმწიფის სამსახურს და გარდა-

იცვალა მყოფობასა თავსა სასტიკ ომში დასამშვიდებლად მოე-
ლისა კაცებისა, ხოლო დედა თუხი და ნათესავნი გულ მტკივნე-
ული ჰყო სამარადისოდ“.

[იატაკის ქვაზე] „ამ ლოდის ქუცზე დამარხულ არს გუამი
თავადის რევაზ ვახტანგის ძე ბარათაშვილისა, რომელიც დაიბადა
10-ს ენკენისთვეს 1834 წელსა და გარდაიცვალა სტანიცას მაი-
კოპში ყუბანის ობლასტისა 26 ქრისტეშობისთვეს 1863-სა წელსა“.

რევაზ ბარათაშვილის რუსულიდან თარგმნილი მოთხრობები
და ლერმონტოვის ლექსები იბეჭდებოდა „ცისკარში“. იგი დამარ-
ხულია თბილისში, სამეფის ეკლესიაში. მის გვერდით მარხია მისი
დედა „ქენინა დარია იოსების ასული ბარათაშვილისა, აღსრულდა
78 წლისა, დაიბადა 8-სა აპრილსა 1810 წ. გარდაიცვალა 17-სა
თებერვლისა 1888 წ.“

ბარნოვი ვასილ

„ვასილ ბარნოვი 1856—1934“

ისტორიული რომანების ავტორი, სახელგანთქმული ქართვე-
ლი მწერალი ვასილ ბარნოვი მთაწმინდის პანთეონშია დასაფლა-
ვებული. ვასილ ბარნოვის შესახებ იხ. შ. რადიანის „ვასილ ბარ-
ნოვის ისტორიული რომანები“, 1944 წ.; აგრეთვე „სახალხო ვა-
ნათლებლის ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“,
I, 1953 წ., ს. ცაიშვილის წერილი, იბ. ვართაგავას „ქართველ
მწერალთა სილუეტები“, 1956.

ბაქრაძე დიმიტრი.

„საქართველოს ისტორია.“

საქართველოს წარსულის გულმოდგინე მკვლევარს დიმიტრი ბაქ-
რაძეს 1827—1890 ქართველთა საზოგადოება. დ. ვ. Баградзе“

საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი XIX საუ-
კუნეში, ავტორი მრავალი გამოკვლევისა, რომელნიც ქვეყნდებოდა

ქართულად და რუსულად. დიმიტრი ბაქრაძის შესახებ იხ. ზ. ქი-
ქინაძე „დიმიტრი ბაქრაძე“, თბილისი, 1891 წ., აბ. კიკვიძე—„დი-
მიტრი ბაქრაძე“, გაზ. „კომუნისტი“, 1940 წ., 22 თებერვალი.
დიმიტრი ბაქრაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი
ნაშრომი გამოაქვეყნა მამია დუმბაძემ „ისტორიკოსი დიმიტრი ბაქ-
რაძე“, ბათუმი, 1950 წ. დ. ბაქრაძე დიდუბის პანთეონშია დასა-
ფლავებული.

ბაქრაძე იოსებ

„იოსებ ზოხიშვს ძე ბაქრაძე 1850—1904“

პოეტი იოსებ (სოსიკო) ბაქრაძე პეტრე-პავლეს სასაფლაოზეა
დაკარხული. მან თარგმნა კარლ გუტკოვის „ურთილ აკოსტა“, ნად-
სონის ლექსები, ბაირონის თხზულებები, ჰაინეს ლირიკის ნიმუშები,
შილერის „ვილჰელმ ტელი“, ვალტერ სკოტის „აივენგო“, თანა-
მშრომლობდა ჟურნ. „მნათობში“, გაზეთ „დროებაში“, „ივერიაში“,
ჟურნალ „მოამბეში“, იგი არის პირველი მთარგმნელი ოვანეს თუ-
მანიანის თხზულებებისა. ი. ბაქრაძის შესახებ იხ. მისი ლექსების
კრებული, გამოცემული 1948 წ., ს. ყუბანეიშვილის რედაქციითა და
წინასიტყვაობით.

ბოცვაძე ლუარსაბ

„ლუარსაბ ბოცვაძე 1867—1919“

პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ გერასიმეს ძე
ბოცვაძე დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ლ. ბოცვაძე იყო
ჟურნალ „განათლების“ რედაქტორი, მრავალი პედაგოგიური თხზუ-
ლების ავტორი.

ლ. ბოცვაძის შესახებ იხ. არკ. ხუნდაძე—„ლუარსაბ ბოცვა-
ძე“, 1944 წ.; ტ. სარიშვილი—„ლუარსაბ ბოცვაძის ცხოვრება და
პედაგოგიური მოღვაწეობა“, 1950 წ.; ი. ქკუასელი—„ლუარსაბ
ბოცვაძე“, 1954 წ.; ან. ღვინიაშვილი—„ქართული საბავშვო ლი-
ტერატურის მოამაგენი“, 1959.

გაბაშვილი ეკატერინე



„ეკატერინე გაბაშვილი 1851—1938“

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი, რევოზ თარხნიშვილის ასული, დასაფლავებული იყო ვაკის სასაფლაოზე, შემდეგ ნეშტი გადაიტანეს დიდუბის პანთეონში.

ეკ. გაბაშვილის შესახებ იხ. მიხ. ზანდუკელი—„ახალი ქართული ლიტერატურა“, წ. III, 1955 წ.; გ. თავზიშვილი—„ეკატერინე გაბაშვილი,“ წინასიტყვაობა მწერლის რჩეული ნაწერების პირველი ტომისა, 1953 წ.

გაბაშვილი გიგო

„სახალხო მხატვარი გიგო გაბაშვილი 1862—1936“

ქართველ მხატვართა შორის შესანიშნავი ოსტატი, საქვეყნოდ სახელგანთქმული ხელოვანი გიგო გაბაშვილი დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე. გიგო გაბაშვილის შესახებ იხ. მამია დუდუჩავა—„ახალი ქართული ხელოვნება“, თავი მესამე და „მეტეხის“ მიერ 1940 წელს გამოცემული გამოფენის კატალოგი „სახალხო მხატვარი გიგო გაბაშვილი“, აგრეთვე მ. დუდუჩავას მონოგრაფია „გიგო გაბაშვილი“, 1953 წ.

გაბუნია ნატო

„შესწავდა სიცოცხლე ნიჭით ხავსე, დეთხგან ცხებული,
შესწავდა სიცილი ცრემლნარევი, ტანჯვა და ლხენა,
არ დაგივიწყებს შენ სამშობლო დავალებული,
დიღხანს გიგლოვებს საყვარელი ქართული სცენა“.

ნატო გაბუნიას საფლავის ქვის ნაწილია გადარჩენილი, მხოლოდ პოსტამენტი, რომელზეც მწერალი ქალის განდევილის ეს ლექსია ამოკვეთილი. ძეგლის ზევითა ნაწილი, მარმარილო, მწუხარე ქალის გამოსახულება, რომელსაც გვირგვინი მუხლებზე დაუნდ-

ვია, დაქარგულია. ნ. გაბუნიას ძეგლის სურათი დაბეჭდილია „სახალხო გაზეთის“ სურათებთან დამატებაში (1911 წ. № 84). სურათზე მოჩანს წარწერა „ნატო გაბუნია 1856—1910. მადლობელი საზოგადოება“.

ნატო გაბუნია 1879 წელს განახლებული ქართული თეატრის დედამოძთაგანია, დაიბადა გორში, მერაბ გაბუნიათ ოჯახში, 1859 წ. 1882 წელს მისთხოვდა ასიკო ცაგარელს. ცოლიც და ქმარიც დაუღალავად მუშაობდნენ ქართულ სცენაზე. ნატო გაბუნია დამარბული კუკიის სასაფლაოზე, ქმრის—ასიკო ცაგარლის გვერდით.

ნატო გაბუნიას შესახებ იხ. „ნატო გაბუნია“, ქართული დრამატული საზოგადოების გამოცემა, 1909 წ.; ს. მგალობლიშვილის „მოგონებანი“, 1938 წ.; ი. ზურაბიშვილის „ოთხი პორტრეტი“, 1948 წ.; ი. გრიშაშვილის წინასიტყვაობა და შენიშვნები ასიკო ცაგარლის „კომედიებისა“, აღ. ბურთიკაშვილის მონოგრაფია „ნატო გაბუნია“, 1949 წ.; მისივე „სცენის ოსტატები“, 1951 წ.

გამყრელიძე დავით

**„დამსახურებული მსახიობი დავით მერაბის ძე გამყრელიძე
აწყურელი 1864—1928“**

მსახიობი და დრამატურგი, ქართული სცენის მოღვაწე დავით აწყურელი დასაფლავებულია თელავში, ქართველთა სასაფლაოზე. მის შესახებ იხ. აღ. ბურთიკაშვილის „თეატრალური პორტრეტები“, თბილისი, 1956 წ.

გამყრელიძე ვიქტორ

**„რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვიქტორ მერაბის ძე
გამყრელიძე 1866—1942“**

ვ. გამყრელიძე ვაკის სასაფლაოზეა დასაფლავებული. მასთან ერთადაა მისი მეუღლე—„მსახიობი ნინო როსტომის ას. გამყრელიძე 1870—1953 წ.“ ვ. გამყრელიძის შესახებ იხ. აღ. ბურთიკაშვილის „სცენის ოსტატები“, 1951 წ.; გაზ. „კომუნისტი“, 1942წ., 15 აგვისტო, ნეკროლოგი. დ. ჩხეიძე, „ვიქტორ გამყრელიძე“, ცისკარი, № 11, 1959 წ. ილია ჭავჭავაძემ მის თამაშს დავით

ერისთავის „სამშობლოში“ უძღვნა წერილი „ბ-ნი გამყრელიძე სვიმონ ლეონიძის როლში“.

განდევილი (დომინიკა ერისთავი)

„დომინიკა განდევილი ერისთავი Д. Гандегили 1865—1929“

პოეტი და საზოგადო მოღვაწე ქალი, ზურაბ ერისთავის ასული, მდიენის მეუღლე განდევილი დიდუბის პანთეონშია დამარხული. განდევილს დაწერილი აქვს ლექსები, პოემები, მოთხრობები, მისი თხზულებების კრებული რამდენჯერმეა გამოცემული. თხზულებებს ბეჭდავდა „კვალში“, „მომამბეში“, „ჯეჯილში“, „ნაკადულში“. მის მიერ არის თარგმნილი ალ. გრიბოედოვის „ვაი ქუქისაგან“ ქართულად (არსებობს სამი გამოცემა), იგი კრეჟდა და აქვეყნებდა ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

განდევილს შესახებ იხ. ალ. ხახანაშვილი, „ქართული სიტყვიერების ისტორია, მეცხრამეტე საუკუნე“; ლ[ევან] ა[სათიანის] ნეკროლოგი, ყურნ. „ქართული მწერლობა“, 1929 წ., № 1—2; გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939 წ., № 6; ნ. ჩიხლაძის წერილი გაზ. „ვეჩერნი ტბილისი“, 1959 წ., № 25.

გარსევანიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე

„დამსახურებული მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილი 1864—1936“

ალ. გარსევანიშვილი, მწერალი და პედაგოგი, გორში შარხია, ქალაქის სასაფლაოზე. ალ. გარსევანიშვილმა მოღვაწეობა დაიწყო ქუთაისში, ბოლოს მუშაობდა გორში. იგი იყო გამოცემული სალიტერატურო კრებულისა „ცდა“ (1889—1891 წწ.), თანამშრომელი „ახალი ქართლისა“, მას ეკუთვნის პირველი სერიოზული პოპულარიზაცია ქართულად ტარას შევჩენკოს შემოქმედებისა, მიმოხილვა ფორჟ სანდის მოღვაწეობისა, აკაკის შემოქმედების განხილვა რუსულად და სხვ. მან თარგმნა ქართულად ნაწყვეტები ფინური ეპოსის „კალევალასი“, ქართულიდან რუსულად თარგმნიდა ეგნ.



ნინოშვილის თხზულებებს, მან დააარსა ქუთაისის სახალხო უნივერ-
სიტეტი. ალ. გარსევანიშვილს დარჩა საყურადღებო მოგონებები,
რომლის ერთი ნაწილი-იოსებ დავითაშვილისა, ვაჟა-ფშაველასა და
ალ. ხახანაშვილზე გამოქვეყნდა 1934 წელს „გორის მწერალთა
წრის აღმანახში“.

ალ. გარსევანიშვილის შესახებ იხ. მარიამ გარიყული, „გან-
ვლილი გზა“; ს. ხუციშვილის „ალექსანდრე გარსევანიშვილი“, გაზ-
„სახალხო განათლება“, 1946 წ., 20 ივნისის ნომერი; ს. ცაიშვი-
რის წერილი „ალექსანდრე გარსევანიშვილი“ წიგნში „სახალხო
განათლების ქართული მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“,
წ. I, 1953 წ.; ზ. კიკნაძის „ალექსანდრე გარსევანიშვილის პედა-
გოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა“, თბილისი, 1959 წ.

გარსევანიშვილი ალექსანდრე სიმონის ძე

„გარსევანიშვილი ალექსანდრე სიმონის ძე 1831—1913“

ალექსანდრე სიმონის ძე გარსევანიშვილი ადრე ემარბა გო-
რის ოქონის ეკლესიაში (ოქონის ეკლესია გარსევანიანთ საგვა-
რეულოსი იყო და ისინი წინამძღვრობდნენ). ახლა გორის
სასაფლაოზე მარხია. მისი წერილები იბეჭდებოდა „ცისკარში“
და „საქართველოს სასულიერო მახარობელში“. წერდა ისტო-
რიული ხასიათის თხზულებებს: „არბოს ანუ გერისთავის
შშინდის სასწაულთ მომქმედი ოქონის ღვთისმშობლის ხატი“,
„აღწერა სტამბოლის აღებისა ოსმალებისა ანუ თურქების მიერ“
და სხვ. მასვე ეკუთვნის კომედია „ცოლები დაეკარგეთ“. მასთან
ახლოს დამარხულები არიან მისი მეუღლე ანა, ელიაზარ თულა-
შვილის ასული, შვილები: ალექსანდრე, ანასტასია და მარია, სიძე
სერგი რობაქიძე.

გაფრინდაშვილი ვალერიან

„ვალერიან გაფრინდაშვილი 1889—1941“

პოეტი ვალერიან ივანეს ძე გაფრინდაშვილი დასაფლავებუ-
ლია დიდუბის პანთეონში, მის შესახებ იხ. „ლიტერატურული გა-
ზეთი“, 1941 წ., № 6, აგრეთვე მისი ლექსების კრებული, გამო-
ცემული 1956 წ.

„ექიმი მიხეილ გედევანიშვილი 1862—1922“

ექიმი მიხეილ გედევანიშვილი საზოგადო მოღვაწე, ქართული ლიტერატურის მოყვარული და წიგნების გამომცემელი იყო. მან 1914 წელს დაიწყო ილია ჭავჭავაძის თხზულებათა დაბეჭდვა, მოასწრო მხოლოდ პირველი ტომის გამოცემა, მდიდრულად დასურათებული ჰენრიკ ჰრინვესკისაგან, რომელსაც ერთვის გრიგოლ ყიფშიძისაგან შედგენილი ილია ჭავჭავაძის ვრცელი ბიოგრაფია, კიტა აბაშიძის წერილი და კომენტარები. სარედაქციო კომისიაში შედიოდნენ: კიტა აბაშიძე, იოსებ გედევანიშვილი, ივანე გომართელი, ივანე ზურაბიშვილი, გიორგი ლასხიშვილი. იაკობ ფანცხავა, ნიკო ჩიგოგიძე და ივანე ჯავახიშვილი. გამოცემის კონსულტანტი იყო არჩილ ჯორჯაძე. ილია ჭავჭავაძის თხზულებების დანარჩენი ტომების გამომცემას ხელი შეუშალა პირველმა მსოფლიო ომმა. მიხეილ გედევანიშვილი ვერის სასაფლაოზეა დამარხული. მის შესახებ იხ. ა. წულუკიძის წიგნი: „Врачи-грузины XIX столетия“, 1948 წ.; ვახ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957 წ., № 128, კ. დემეტრაშვილის წერილი, „ილია ჭავჭავაძის გამომცემელი მიხეილ გედევანიშვილი“; მ. სააკაშვილის წერილი, „ილიას თხზულებათა პირველი გამომცემელი“, „დროშა“, 10, 1957 წ.; გ. ხვედელიძის „მიხეილ გედევანიშვილი“, თბ., 1960.

გველესიანი გრიგოლ

„გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი 1870—1926“

გრ. გველესიანი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქტიური მონაწილე იყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. კორესპონდენტობდა „კვალში“, „მეურნეში“, „მოამბეში“, იყო სათეატრო დადგმათა მიმომხილველი.

გრ. გველესიანი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მის გვერდითაა დამარხული მელანია ლუარსაბის ასული გველესიანი (1875—1946), გრიგოლის მეუღლე.

გვეტაძე რაქვენ



„რაქვენ გვეტაძე 1897-1952“

მწერალი, პოეტი, მთარგმნელი რ. გვეტაძე დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. რ. გვეტაძის შესახებ იხ. ნელი ღუმბაძე, „რაქვენ გვეტაძე“, 1955 წ.

გოგებაშვილი იაკობ

„იაკობ გოგებაშვილი. დედა ენა. 1840-1912“

იაკობ გოგებაშვილი დასაფლავებული იყო დიდუბის პანთეონში თავის თანამებრძოლთა და მეგობართა—ნიკო ლოლობერიძისა და ნიკო ცხედაძის ახლოს. 1940 წლის 25 ოქტომბერს მისი ნეშტი გადასვენეს მთაწმინდაზე და დაკრძალეს ილია ჭავჭავაძესთან ახლოს. ი. გოგებაშვილის შესახებ იხ. კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913 წ.; „იაკობ გოგებაშვილი“, საიუბილეო კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1940 წ.; დავით კასრაძე, „იაკობ გოგებაშვილი“, ბიოგრაფია, 1940 წ.; დავით ლორთქიფანიძე, „დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი“ 1948 წ.; გიორგი თავზიშვილი, „იაკობ გოგებაშვილი“, 1949 წ.; 1960 წ.; „იაკობ გოგებაშვილი“, საიუბილეო კრებული, 1960 წ.

გოთუა ჰართენ

„ჰართენ გოთუა 1873—1936“

საზოგადო მოღვაწე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთგული მუშაკი, მწერალი, ჟურნალისტი ჰართენ გოთუა ვაკის პანთეონშია დასაფლავებული.



გოგელია გიორგი (კომანდო)

„კომანდო გოგელია 1878-1924“

გიორგი (კომანდო) ილიას ძე გოგელია რევოლუციონერი, ანარქისტი, „Хлеб и воля“-ს რედაქტორი ქენევაში. 1906 წელს ბეჭდავდა თბილისში „ნობათს“. მისი ფსევდონიმი იყო—ორგეიანი. კომანდო გოგელია დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

გომართელი ივანე

„ექიმი ივანე გომართელი 1875 9/X 1938 20/IV“

ივანე გომართელი, საზოგადო მოღვაწე და კრიტიკოსი, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი, გამომცემელი, რედაქტორი, მხატვრულ თხზულებათა და სახელმძღვანელოთა ავტორი იყო. მას ეკუთვნის მაქსიმ გორკის თხზულებათა პირველი სერიოზული მიმოხილვა ქართულ ენაზე (1902 წ.), წინასიტყვაობა ეგნატე ნინოშვილის თხზულებებისა (1904 წ.), წერილები ნიკო ბარათაშვილის, დავით კლდიაშვილის, ალექსანდრე აბაშელისა, გიორგი ჭალადიდელისა, სოლომონ თავაძისა (ობოლი მუშის) და სხვათა შესახებ. მონაწილეობდა „კვალში“, „მოგზაურში“ და სხ. ივ. გომართელი ვაკის სასაფლაოზეა დასაფლავებული.

გომელაური ივანე

„მასწავლებელი ივანე გომელაური 1867—1951“

მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე ივანე გომელაური დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე. ივანე მიხეილის ძე გომელაურის შესახებ იხ. ვ. ქაჯაია—„ივანე გომელაური“, თბილისი, 1947 წ. აგრეთვე „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, I, 1953 წ.

გორგაძე სერგო



„ისტორიკოსი ფილოლოგოსი სერგო რომანის ძე გორგაძე
1876—1929“

სერგო გორგაძე დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. იგი მრავალმხრივი მოღვაწე იყო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები ძველი ქართული ლიტერატურიდან, ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიიდან. მან დიდი ღვაწლი დასდო სალიტერატურო ქართულის ნორმების დამუშავებას, ავტორია სასკოლო სახელმძღვანელო—ქრესტომათიებისა, დამფუძნებელი საენათმეცნიერო საზოგადოებისა და სხვ. ს. გორგაძის შესახებ იხ. ს[იმონ] ჯ[ანაშია]—„სერგო გორგაძე“, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1929 წ. № 6—7.; აგრეთვე გ. გამყრელიძის წიგნი—„თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.

გოცირიძე ნიკო

„ნ. გოცირიძე 1873—1949“

მსახიობი ნ. გოცირიძე დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. ნ. გოცირიძის შესახებ იხ. ი. გრიშაშვილის ბიოგრაფიული ესკიზი „ნიკო გოცირიძე“, 1934 წ.; ალ. ბურთიკაშვილის „სცენის ოსტატები“, 1951 წ.; ნ. გოცირიძის „მოგონებანი“, 1949 წ.; დ. ჯანელიძის „სახიობა“, I.

გრანელი ტერენტი

„ტერენტი გრანელი 1897—1934 წ.“

არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა...“

პოეტი ტერენტი გრანელი დამარხულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, თბილისში. მისი ნამდვილი გვარია კვიციველია.

გუგუნავა სიმონ



„ქ განახვენებს უკვდავი ქართული ქმნილების ავტორი სიმონ
გუგუნავა 1839—1909“

ქართველი მწერალი, „თამარიანის“ ავტორი ს. გუგუნავა დასაფლავებული იყო ქუთაისთან ახლოს სოფ. ბაკისუბანში პლ. კე-შელავა წერდა 1936 წელს, რომ ს. გუგუნავას საფლავზე წარწერილია „თამარიანის“ წინასიტყვაობის უკანასკნელი ტაეპიო და შემდეგ მოყვანილია მთელი სტროფი. ეს ცნობა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა გივი მეფისაშვილმა ჯერ ქუთათურ ლიტერატურულ კრებულში „რიონი“, 1958 წ., შემდეგ იმავე წერილში გაზ. „თბილისი“, 20 თებერვალი, 1960 წ. ს. გუგუნავას საფლავი ახლა ქუთაისშია, მწვანეყვავილას პანთეონში.

გუნია ვალერიან

„საქართველოს სახალხო არტიტი ვალერიან ლევანის ძე გუნია
1862—1938“

ვ. გუნია ვაკის სასაფლაოზე დასაფლავებული. მის შესახებ იხ. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამოცემა „ვალერიან გუნია“, 1953 წ.; ალ. ბურთიკაშვილის „სცენის ოსტატები“, 1951 წ.; ერთდროული გამოცემა ს. მგალობლიშვილის რედაქციით „მადლობის დღე“, მიძღვნილი ვ. გუნიასადმი (1917 წ.); დიმიტრი ჯანელიძე, „სახიობა“, I.

გურამიშვილი ოლგა

„ოლგა გურამიშვილი-ნიკოლაძე 1855—1940“

ოლგა ალექსანდრეს ასული გურამიშვილი მეუღლეა ნიკო ნიკოლაძისა. იგი პირველ რევოლუციონერ ქალთა წარმომადგენელია, სწავლობდა საზღვარგარეთ — შვეიცარიაში, ციურჩიში, ირიცხებოდა ქართველ მოწინავე ახალგაზრდათა საზოგადოებაში („უღელში“). მონაწილეობდა თბილისის რუსულ პრესაში, რევოლუციონერი მუშაობისათვის რამდენჯერმე იყო გადასახლებული. ოლგა გუ-

რამიშვილი დასაფლავებული იყო დიდუბის პანთეონში, 1956 წლის 10 სექტემბერს მისი ნეშტი გადასვენეს მთაწმინდის პანთეონში, ქმრის გვერდით. ო. გურამიშვილის შესახებ იხ. „კომუნისტი“, 1940 წ., № 120.

გურამიშვილი დავით

„მხატვარი დავით გურამიშვილი 1858—1926“

დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილი, მხატვარი-პორტრეტისტი, დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. დავით გურამიშვილის შესახებ იხ. მამია დუდუჩავა, „ახალი ქართული ხელოვნება“, 1950 წ. დავით გურამიშვილი იყო ძმა ოლგა გურამიშვილისა. ნიკო ნიკოლაძის მეუღლისა.

გურიელი მამია

„პოეტი მამია დავითის ძე გურიელი (ფაზელი) 1836—1891“

მამია გურიელი დამარხულია ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების აღწერა იხ. „თხზულებანი მამია გურიელისა“, 1897 წ., იონა მეურნაგიას წერილი. იგივე წერილი წიგნში „ქართველი მწერლები“, ი. მეურნაგიასი, წ. II, 1944 წ.; მიხეილ ზანდუკელი, „ლიტერატურული წერილები“, I, 1958 წ.

დადიანი გრიგოლ

„ლევან დადიანის ძე გრიგოლ გენერალ-ადიუტანტი 1814—1901“

გრ. დადიანი—პოეტი („კოლხიდელის“ ფსევდონიმით) დასაფლავებულია მარტვილის ტაძარში. გრ. დადიანის ეპიტაფია დაბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილმა, იხ. „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, II, 1914 წ. გრ. დადიანის შესახებ იხ. ს. ცაიშვილი—„იოანე გეგეჭკორისა და კოლხიდელის იგივეობის შესა-

ხებ“, ზუგდიდის მუზეუმის „შრომები“, I; იონა მეუნარგია — „ქართველი მწერლები“, I, თბილისი, 1954 წ. გრ. დადიანის შესახებ მოგონება გამოაქვეყნა აკაკი წერეთელმა გაზ. „თემში“, 1914 წ. № 174, სათაურით „ნადირობა“, იხ. თხზულებანი, 1957 წ. ტომი 6.

დადიანი ნიკოლოზ

„ჩუკლ-სა წელსა ფებერვლის კე-სა ქვაჲ ესე ჰფარავს ვიდრე ქვეყნის მეორედ მოხვლადმდე მტვერსა ჩინებულისა მამაკაცისასა ღენარალ-მაიორის და კავალერის ნიკოლოზ გიორგის ძის თავადის დადიანოვისა. წარგზავნილმან სატახტო ქალაქად სანკტ-პეტერბურღს ნათესავისა თვისისა მფლობელის მეგრულიისა მიერ მან გამოითხოვა საერთოდ ერისათვის მეგრულიისა მშვიდობაჲ ბედნიერებაჲ და მყუდროებაჲ საფარველს ქვეშე როსიის ტახტისასა, რომლისთვისაც ცხოვრებასა შინა თვისსა მიიღო კურთხევანი ერისაგან და მრავალნი პატივნი ჯელმწიფისაგან. მიანიჭე მას ჭი უზენაესო საუკუნო განსვენება. ქვა ესე დასდევს და მრავლთ ცრემლითა დააღტვეს დაობლებულთა ძეთა მისთა გიორგიმან, ბესარიონ, პეტრე და პავლეჲმან დადიანოვთა“.

დიდი ნიკო გიორგის ძე დადიანი მარტვილის ტაძარში არის დამარხული. მისი ეპიტაფია გამოაქვეყნა ექ. თაყაიშვილმა წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, II, 1914 წ. ნ. დადიანი დაბადებულია 1764 წელს, გარდაცვალებულია 1834 წლის თებერვლის 26-ს. იგი იყო დიპლომატი, ისტორიკოსი. მისი ისტორიული ხასიათის წერილები შემდეგ იბეჭდებოდა „ივერიაში“, „მოამბეში“. ცნობილია მისი „დასტურ-ლამა“, ლევან დადიანისთვის დაწერილი. მის შესახებ იხ. ი. მეუნარგია „სამეგრელო დავით დადიანის დროს“; აგრეთვე ს. ცაიშვილის წერილი „ლიტერატურულ გაზეთში“ (1944 წ., № 38); ტრ. რუხაძის „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“, 1954 წ. მარტვილშივე არიან დასაფლავებული დადიანები: დავით ლევანის ძე, სიძე ალექსანდრე ჭავჭავაძისა, ეკატერინეს მეუღლე, (1813—1853), რამდენიმე თხზულების ავტორი; ანდრია დავითის ძე (1850—1910), ცნობილი მოქაღრაკე; ნიკოლოზ დავითის ძე (1847—1903), რომელმაც მრავალი ხელნაწერი წიგნი გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და სხვანი.

დავითაშვილი ნინო



„ნინო დავითაშვილი 1882—1957“

ნინო შიოს ასული დავითაშვილი, ქართული თეატრის დამსახურებული მსახიობი დასაფლავებული დიდუბის პანთეონში.

დავითაშვილი იოსებ

„იოსებ სვიმონის ძე დავითაშვილი 1850—1887“

იოსებ დავითაშვილი ემარხა თელავის ქალაქის სასაფლაოზე ბარბარე ჯორჯაძის გვერდით. მას და ბარბარე ჯორჯაძეს ერთი ძეგლი ედგათ ორი ეპიტაფიით. 1939 წელს იოსებ დავითაშვილის ნეშტი თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ალექსანდრე მამულაშვილის თაოსნობით გადაასვენეს ერეკლე მეფის სასახლის გალავანში, სადაც კახეთში ზოღვაწეთა პანთეონი უნდა შეიქმნას. იოსებ დავითაშვილის შესახებ იხ. ილია ჭავჭავაძის „იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გეგმა“; ზაქარია ჭიჭინაძის „იოსებ დავითაშვილი“ 1887 წ.; პირველი (1890), მეორე (1927) და მესამე (1951) გამოცემა მისი თხზულებებისა; ალ. გარსევანიშვილი, „იოსებ დავითაშვილი“, გორის მწერალთა წრის აღმანახში. 1934 წ. იოსებ დავითაშვილის ძეგლზე იხ. ალ. გვენცაძის წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“, 1955 წ., № 45.

დავით აღმაშენებელი

„ქ ესე არს განსახვეწებელი ჩემი [...] რამეთუ ასე მონავს ამას დავემკვიდრო მე“

დავით აღმაშენებელი, საქართველოს მეფე, გელათში განისვენებს. მიხეილ საბინინი წერს („საქართველოს სამოთხე“, გვ. 512, შენიშვნაში): „შემდგომ რაოდენისამე დროისა, ოდეს წმიდა ეკლესიამ შერიცხა დავით მეფე წმიდათა შორის და დააწესა დღესასწაული კვ (26) იანვარსა, დიდის მოწიწებით იქმნა აღმოსვენებული წმიდა ნაწილნი მისნი და დაკრძალულ გაენათის ეკლესიის ტრაპეზსა ქვეშე. არამედ საფლავის ქვა, რომლისა ქვეშე დასაფლავე-



ბულ იყო წმიდა, დაუტევეს თვისსავე ალაგსა, რომლისა სიგრძე 4 არშინი და 6 ვერშოკი არს, სიგანე 1 არშინი და 12 ვერშოკი. ლოდსა ზედამოჭრილი იყო იამბიკო ხუტურის ასოებით, რომელიც მავალთაგან და უდებობითა წაშლილ არს, არამედ ფრიადის ძიებითა და ტანჯვითა აღმოვიციხეთ ესე:

ოდესმე ნაკარმაგვეს შვიდთა მეფეთა მასპინძელ ვექმენ,
 თურქნი, სპარსნი, არაბნი ხაზლუართაგან სამეფოჲსა ჩემისაგან ვიოტე,
 გადავასხე თევზნი მდინარეთაგან ამერისათა მდინარეთა იმერისათა,
 ყოფელი ესე აღუასრულე, გულ-ხელ ვიკრიფე აღმასრულებელ“.

მაგრამ ასეთი გრძელი ტექსტი დავითის ქვას არ აწერია. მ. საბინინი, როგორც ჩანს, ხალხური ეპიტაფიის სახესხვაობას იძლევა. საბინინისეული არც ერთი სიტყვა ქვაზე არ ჩანს.

1842 წელს ნიკოლოზ ჩუბინაშვილს (პროფესორ დავით ჩუბინაშვილის ბიძას) შეუდგენია „საათაბაგოს თუ რამთონნი ეპისკოპოსნი ყოფილან“ ანუ სია ეპისკოპოსთა, რომელსაც მისდევს მოგზაურობის დღიური. იმ წლის ივნისში იგი გელათში ყოფილა და დავითის საფლავის ქვის წარწერა ასე გადმოუღია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი ამას დავემკვიდრო უკუნისამდე“. ეს მასალა გამოაქვეყნა ალექსანდრე ცაგარელმა წიგნში „Сведения о памятниках грузинской словесности“, I, გვ. 38. დავითის ხალხური ეპიტაფია მრავალ ხელნაწერში ინახება, იხ. აგრეთვე ს. ყუბანეიშვილისაგან შედგენილი „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, I, გვ. 377. „კალმასობის“ მეორე ტომში (1948 წ.) იოანე ბატონიშვილს ეპიტაფიის შემდეგი ტექსტი მოუყვანია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი ამიერიდან უკუნისამდე“ (გვ. 72), ხოლო გიორგი წერეთელს უწერია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი, რომელსა შინა დავემკვიდრო მე“ („ჯეჯილი“, 1890, № 6, გვ. 47). პლატონ იოსელიანი წერილში „Дербентския железния врата в Имерети“, რომელიც დაბეჭდილია „Закавказский вестник“-ში (1845 წ., № 6) ასეთ ტექსტს ბეჭდავს: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე ამას დავემკვიდრო რამეთუ მთნავს ესე“.

დავით აღმაშენებლის შესახებ იხ. ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, II, 1948 წ.; ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორია“, I, გვ. 178; ნიკო ბერძენიშვილი, ვარლამ ღონდუა, მამია ღუმბაძე, გიორგი მელიქიშვილი, შოთა მესხია, პროკოფი რატიანი, „საქართველოს ისტორია“ I, 1958 წ., გვ. 154; ბ. ლომინაძე, „გელათი“, 1955 წ.

დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ეძღვნის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დაეითისი“ (ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილისაგან გამოცემული, გვ. 318—368).

დარასელი ვანიონ

„ვ. დარასელი 1900—1954“

დრამატურგი, მწერალი ვანიონ დარასელი (დარასელია) დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ვ. დარასელის შესახებ იხ. ანდრო თევზაძის წერილი ვ. დარასელის „რჩეულში“, 1959 წ., პეტრე შამათავას წერილი—„ნიჭიერი დრამატურგი და ჟურნალისტი“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 12.

დოლიძე ვიქტორ

„ვიქტორ დოლიძე 1890—1933“

ობერების „ქეთო და კოტეს“, „ლეილას“ და სხვათა ავტორი კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ვ. დოლიძის შესახებ იხ. გრ. ჩხიკვაძის „საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორები“, 1956 წ.; მ. ვაჩნაძე „ვიქტორ დოლიძე“, 1958 წ.

ედილაშვილი ზაქარია

„ზაქარია ედილაშვილი (ედილი) 1873—1956 მეუღლისაგან ნიშნად უღრმესი პატივისცემისა“

მწერალი, ეთნოგრაფი, საინგილოს ისტორიისა და გეოგრაფიის მკვლევარი ზ. ედილაშვილი გორის სასაფლაოზეა დაკრძალული.

ევდოშვილი იროდიონ

* იროდიონ ევდოშვილი ხოსიტაშვილი 1873—1916“


პოეტი იროდიონ ევდოშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ირ. ევდოშვილის შესახებ იხ. შ. ჩხეტია—„ისტორიული

საბუთები იროდიონ ევლოშვილის შესახებ“, საქ. სახ. მუზეუმის გამოცემა, 1939 წ.; ერ. ქარელიშვილი „იროდიონ ევლოშვილი“, საბლიტვაში, 1951 წ.; ირ. ევლოშვილის თხზულებათა სამი ტომი შ. რადიანის რედაქციით, ტ. ტ. I—III, 1935—1937; შ. გოზალიშვილის ნაშრომები ი. ევლოშვილის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ.

ერეკლე მეფე

„Здесь покоится Царь Ираклий родившийся в 1716 году взошел на престол Кахетинский в 1747-м на Карталинский в 1762-м и который скончался в 1798-м году. Дабы предать потомству память о сем государе царствовавшем со славою в течении 54-х лет именем Его Императорского Величества Александра 1-го Главнокомандующий в Грузии Маркиз Паулуччи соорудил ему сей памятник 1812-го года. Проектировал и строил инженер подполковник Кондратьев“.

ერეკლე II მცხეთის სვეტიცხოველში განისვენებს. იგი გარდაიცვალა თელავში, თავის სასახლეში. იმ ოთახში, რომელშიც პატარა კახი გარდაიცვალა, 1845 წელს ვორონცოვმა შემორიალური დაფა გააქეთებინა ქართულ-რუსული წარწერით: „აქა აღსრულდა საქართველოს მეფე ერეკლე თეიმურაზის ძე ია-სა (21) იანვარსა ჩღეშ-სა (1798)-სა წელსა. წარწერა ესე ქმნილი არს და სასახლე გასწორებული არს განკარგულებითა კავკასიისა ნამესტნიკის კნიაზის ვორონცოვისათა, რომელმანცა განიხილა ძველი სასახლე საქართველოს მეფეთა ქალაქსა შინა თელავსა ით (19) ნოემბერსა ჩყმე (1845) წელსა“. შემდეგ ასეთივე წარწერა რუსულ ენაზე. წარწერები კედელშია ჩატანებული. ერეკლეს ეპიტაფია და ბეჭდილია გაზ. „Кавказ“-ში, მიხ. თუმანიშვილის წერილში „Возобновление древняго дворца грузинских царей в городе Телави“ (№ 25, 30 ნატი) და ა. ნატროშვილის წიგნში „Михет и его собор Свети-Цховели“, გვ. 322. სვეტიცხოველშივეა დასაფლავებული ერეკლეს დედა, მეუღლე თეიმურაზ მეორისა და ასული ვახტანგ VI-ისა, დედოფალი თამარ, რომლის ეპიტაფია შემდეგია: „აღმაგე მაგემან რომლისაგანაც ყოველი ქმნაჲ სხეულთა ყოველთაჲ მგზავრობით კავშირთათა მოიხელოვნა და ყოველთასა ყოველითურთ შეერთებულად და შეზავებულად, ვითარცა ერთად და სხვად მათ-



გან ქმნილად სხეულად და უღვლით ორთა რომელიობათაგან და წინააღმდეგომ ურთიერთას ორთაგან და წინააღმდეგომ შემხედველობით ურთიერთარს საშუალითა ვინათამე, თვით თავსა შორის თქსსა მყოფად და ესრეთ აცხოვლა ქცევადობისა ქვემდებარობით და ერთისა უკვე აღმატებითა მეორის შორედ ერთობისა ქვეშეთობითა მრჩობლთა თანადადებულთა განუღვლა ებრძანა წყევისა სამაგიერონი კდემის შინანი. რამეთუ რომლისაგანცა მისადვე გარდაქმნა რომ არს ოხჰანი ყოვლისა საზარცემის სიკვდილი, რომელ განსაზღვრეს მეუწყეთა მეცნიერთა მებრძანთა... სიკვდილი არს ხრწნილებად ხორცთაჲ და მან ესენიან მიწდია მეცა და მივეც ვალი სიკვდილისა და შევეძინე მამა-პაპათა ჩემთა ასული ნეტარხსენებულის მეფის ვახტანგისა, თანა მეცხედრე ცხებულის მეფის თეიმურაზისა, დედა კახთა მეფისა ერეკლესი, დედოფალი თამარ, პასაკთა შორისობისა დროსა და შენდობისა მოქენე ვარ სახსენოესა ჩემისა მნახთაგან და ჟამი აქედან მუნენაობობისა ჩემისა აპრილის 12 დღესა, შაბათსა, ჟამსა მესამესა ქრისტეს აქეთ ჩღმე 1746 წ“. (იხ. ან. ნატროშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 318—319). ერეკლეს ახლოსაა დამარხული მისი პირშუო და საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII, გიორგის მეუღლე დედოფალი მარიამ (1770—1850) და სამეფო საგვარეულოს სხვა წევრები. გიორგი XII საფლავის ქვის წარწერაც პაულუჩის მიერაა გაკეთებული. ერეკლე ნამდვილად დაბადებულია 1720 წელს.

P. S. მარკიზ პაულუჩის იმგვარივე სპილენძის ფირფიტა დაუქრავს, თითქმის სტერეოტიპული წარწერით, ოღონდ სათანადო ტიტულების ჩამოთვლით, პავლე ციციანოვისათვისაც, რომელიც ბაქოში იქნა მოკლული და თბილისშია დამარხული. პავლე ციციანოვი მარხია თბილისის სიონში, საკურთხეველთან ახლოს, სამხრეთის კედელთან.

ერთაწმინდელი სეზმან

„მწერალი სეზმან ერთაწმინდელი 25.11. 1890 — 24.6. 1944.“

პოეტი, დრამატურგი სეზმან ერთაწმინდელი, გვარად ბატკუაშვილი, მარხია სოფ. ერთაწმინდაში, წმ. ესტატეს ეკლესიის ეზოში.

„აქ განისვენებს გვამი [გიორგი] დავითის ძის ქსნის ერისთავისა გარდაცვალებულისა თ-სა სექტემბერს ჩუად-სა წელსა, ხოლო შობიდან ნა-ის წლისა. ძემან მისმან კ. დავით მწუსარებით უქმნა სახსოვარი ესე.“

Здесь покоится тело князя Георгия Давидов сына Эристова скончавшегося 9 сентября 1864 года на 51-ом году от рождения, спорный сын его князь Давид посвящает сей памятник»


გიორგი ერისთავი, დრამატურგი და პოეტი, ქართული თეატრის ფუძემდებელი, გორში გარდაიცვალა, წაასვენეს იკორთაში და იქ მიაბარეს მიწას, ქსნის ერისთავების სამარხში. ეპიტაფია დაწერილია თუჯის დაფაზე, რომლის ერთი კუთხე ჩამოტეხილია და წარწერას ჩამოცლილი აქვს ქართული ტექსტის ერთი სიტყვა გიორგი. იმავე ეკლესიაში მარხია მისი მეუღლე—„აქა მდებარეობს თ დავით თარხნიშვილის ასული კნენია მართა თ გიორგი ერისთავის მეუღლე, დაიბადა 1824 წელსა, გარდაიცვალა 16 აპრილს—1908 წ“, რომლის მოგონებები დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში.

გ. ერისთავის უფროსი ძმა—როსტომი დამარხულია ოძისის ეკლესიაში. ქვას აწერია: „აქ განისვენებს მტრში როსტომ დავითის ძის ქსნის ერისთავისა, რომელიც გარდაიცვალა 1847-სა წელსა, ოქტომბრის 8-სა 36 წლისა“. როსტომი დაბადებულია 1811 წელს. ამის დაბადების წელში ხშირად ურვედნენ გიორგის დაბადებისას. ოძისის ეკლესიაშია დამარხული გ. ერისთავის მესამე ძმა—ივანე (ოქრო) ერისთავი, ქართული თეატრის პირველ დადგამათა მონაწილე, მთარგმნელი. ოქროს საფლავი ნანგრევებში არის მოყოლილი.

ერისთავი რაფიელ

„რაფიელ ერისთავი 1824—1901 გადმოხვენებული 1938 წელს“

რაფიელ ერისთავი ქისტაურში იყო დასაფლავებული. საფლავის ქვა არ სდებია. 1938 წელს მისი ნეშტი გადაასვენეს თელავს და დამარხეს ერეკლესეული სასახლის ეზოში, თელავის პან-



თეონში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინ. პოეტის ნეშტის გადასვენებაზე იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1938 წ., № 261.

რაფიელ ერისთავის ასული ანასტასია ერისთავი-კახიძისა (1869—1956) მთარგმნელი იყო, იგი დასაფლავებულია თავის დებთან—ფედოსიასა (1865—1948) და ელენესთან (1871—1950) ერთად ვაკის სასაფლაოზე. ამ ანასტასიას შვილი იყო აგრეთვე მთარგმნელი ქართულიდან რუსულზე მაია ვასილის ასული კახიძე (1901—1958), რომელიც იქვეა დასაფლავებული.

რაფ. ერისთავის მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოქვეყნებულია ოთხ ტომად (1935—1938). რაფ. ერისთავზე იხ. „საერო დღეასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო“, 1899 წ.; მის. ზანდუკელი, „ახალი ქართული ლიტერატურა“, II; შ. რადიანი, „ახალი ქართული ლიტერატურა“, 1954 წ.

ერისთავი დავით

„თ დავით გიორგის ძე ერისთავი

ძღვნად და საკურთხად სამარადისოდ
ხაიშქვეყნით და ხაამხოფლო
ღირსმა ერის ძემ თვით ერისთავმა
სამშობლოხათვის დასდგა „სამშობლო“
აკაკი

Кн. Д. Г. Эристов 1847—1890“

„სამშობლოს“ ავტორი, დრამატურგი, ჟურნალისტი დავით ერისთავი, შვილი გიორგი ერისთავისა, კალოუზნის ეკლესიის გალავანში ემარხა (სადაც ახლა რუსთველის სახელობის კინოთეატრია), შემდეგ მისი ნეშტი მთაწმინდაზე გადაიტანეს. ეპიტაფიის ტექსტი აკაკი წერეთლისაა, დაწერილი 1890 წ. და დაბეჭდილია აკაკის თხზულებათა სრული კრებულის II ტომში, გვ. 208.

დ. ერისთავზე იხ. ს. გერსამია, „დავით ერისთავი და მისი პიესა „სამშობლო“, წიგნში „სამშობლო“, 1947 წ.; ნიკო ტატიშვილი, „დავით ერისთავის „სამშობლო“, „მნათობი“, 1940 წ., № 10.

„აქა მდებარებს გუჯამი ლენერალ ოტინჩანტერის ქსნის ერის-
 თვის გიორგისა, როსიის ორდენთა მქონებულის, ანდრია პირველ-
 წოდებულისა და სხუთათა; გარდაცვალებულისა 4 ნოემბერსა
 1863 წ. 103 წლისა; რომელსა უქმნეს სასოფარი ძეგლი ესე
 ახულთა მისთა კნეიან ქეთევან ორბელიანისაჲმან და კნეინა მა-
 რიამ ერისთავისაჲმან მხილველთაგან წარსათქმელად: წმინდათა
 თანა განუხვენენ უფალს სულსა მონის ამის შენისასა“

სენატორი, დიდი თავადი, „დიდ კნიაზად“ წოდებული გი-
 ორგი იასეს ძე ერისთავი პოეტიც იყო, მისი ერთი თხზულება და-
 ბეჭდა სოლომონ დოდაშვილმა ჟურნალში „სალიტერატურონი
 ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (№ 3), მისი თხზულებები დაი-
 ბეჭდა „ცისკარშიც“. იგი დაიბადა 1760 წელს, ცოლად ჰყავდა
 გიორგი XII-ის ასული გაიანე. გ. ერისთავი დიდი სამხედრო მო-
 ღვაწეც იყო. დასაფლავებულია ერისთავების სამარხში—იკორთაში.
 გ. ერისთავის ძესახებ იხ. ჟურნ. „საქართველოს სასულიერო მახა-
 რებელი“, 1865 წ. აპრილის ნომერი; გრ. ორბელიანის წერილების
 პირველი ტომის შენიშვნები; ნ. ტატიშვილისა და ს. ხუციშვილის
 „ფრაგმენტები—სენატორი გიორგი იასეს ძე ერისთავი“—პუშ-
 კინის სახ. ინსტიტუტის შრომები, II; ჟურნ. „ბიბლიოგრაფიის
 მოამბე“, № 1, ს. ხუციშვილისა და ნ. ტატიშვილის წერილი ს.
 დოდაშვილის ჟურნალის შესახებ. გიორგის გვერდით არიან დასა-
 ფლავებული მისი მეუღლე გაიანე—გიორგი XII-ის ასული და
 ვაჟი—ზაქარია.

გაიანეს საფლავის ქვის წარწერა შემდეგია: «Здесь поκειται
 прах ея светлости царевны Гаяны дщери царя всея Грузии Ге-
 оргия 13-го от сея временныя жизни к неутешному прискорбию
 прах малолетных своих детей и супруга преселившейся в веч-
 ность 22-го июля 1820-го года на 35-м году от рождения бла-
 гочестивой сей царевны памятник сей соорудил супруг ея ко-
 мандир кавказской резервной гренадерской бригады генерал
 маиор и разных орденов кавалер князь Егор Евсеевич Ксанский
 Эристов, оплакивая чувствительнейшую и горестнейшую потерю
 незабвенной супруги своей. უსაზღურისა და დაუსაბამოისა არსთ
 მიზეზის მიერ განდევნილი ზვაით სატანა ბნელისა უფსკრულისა,
 რომელ იქმნა ადამ მამისა ჩუენისა მიერ მთიებდ და მთავრად ამის

სოფლისამან შური მიძია მაცთუნებელთა თვისთა და მიმცა საშინელსა სიკვდილსა რომელი ვიყავ ასულად სრულიად საქართველოს მეფის გიორგი მეათსამეტისა გაიანე და რომელმანცა დავუტევენ ფრიადსა მწუხარებასა შინა ჩივილნი: ძე და ასულნი და მეუღლე ჩემი ღენერალ მაიორი და კავალერი კნიაზი გიორგი ერისთავი. გვედრი აღმომკითხველთა, რათა ევედრნეთ ყოვლისა შემძლებელსა ღმერთსა რათა საბაეთო მწუხარება ესე ჩუენი შეჰსცულოს საუკუნოდ შევბად და სიხარულად. აღვესრულე შობიდგან 35-სა ქრისტეს აქეთ 1820-სა წელსა თთუესა იულისსა 22 დღესა“.

P. S. იკორთის მონასტერში დასაფლავებულნი არიან ძველი საქართველოს გმირები ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები (იხ. პლ. იოსელიანის ნაშრომი «Икортский монастырь в Карталиннии», თბილისი, 1865 წ.).

ერისთავი ივანე

„აქა მდებარებს გვამი თ' ივანე ელიზბარის ძის ერისთავისა შობილი 1846 წ. გარდაცვლილი 1919 წ. Князь Иван Элизбарович Эристов“

ივანე ერისთავი ლიტერატურულ საღამოებს აწყობდა გორში 70-იან წლებში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი ქართველი მწერლები. იგი იყო შვილი 1832 წლის შეთქმულების ერთერთ მეთაურის ელიზბარ შანშეს ძე ერისთავისა. ივანე ერისთავი დასაფლავებულია კუკიის სასაფლაოზე.

ერისთავ-ხოშტარია ანასტასია

„ანასტასია ერისთავ-ხოშტარია 1868 = 1951 წ.“

მწერალი ქალი, სახელგანთქმული რომანების ავტორი ან. ერისთავ-ხოშტარია დასაფლავებულია ქმრის—დუტუ მეგრელის—გვერდით, ვაკის სასაფლაოზე. მის შესახებ იხ. გაზ. „ლიტერატურა

და ხელოვნება“, 1951 წ. № 18; „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“, 1951 წ. 6 მაისი; „თხზულებანი“, ტ. I, 1952 წ. შ. აფხაზის შესავალი წერილი.

ესაძე სიმონ

„ესაძე სიმონ სპირიდონის-ძე
Мсадзе Симон Спиридонович
1868—1927“

ს. ესაძე სამხედრო ისტორიკოსი იყო. მას შეუდგენია რამდენიმე სამხედრო ნაწილის ისტორია. მიწერ-მოწერა ჰქონდა ლეგტოლსტოისთან, როცა ეს უკანასკნელი „ჰაჯი მურატზე“ მუშაობდა. ს. ესაძე ტოლსტოის მასალას აწვდიდა სამხედრო-ისტორიული არქივიდან. სიმონ ესაძე დიდუბის პანთეონში მარხია. ს. ესაძის შესახებ იხ. ნინო ნაკაშიძე—„მოგონებანი“, 1946 წ.; გ. ტალიაშვილი—„Лев Толстой и Грузия“, თბილისი, 1951 წ.

ვაჟა-ფშაველა

„ვაჟა-ფშაველა“

ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი) დაბადებულია 1861 წელს 14 ივლისს, დიდუბის პანთეონში დაასაფლავეს 1915 წლის 2 აგვისტოს, 1935 წლის 16 ოქტომბერს მისი ნეშტი გადასვენეს მთაწმინდის პანთეონში. დიდუბეში, დასაფლავების ადგილზე, დარჩა ნიში წარწერით: „აქ განისვენებდა ვაჟა-ფშაველა 1915 წლის 2/15 აგვისტოდან 1935 წლის 16 ოქტომბრამდე“. 1957 წლის 24 მარტს ვაჟას ნასაფლავარში დაიმარხა მისი მეუღლე თამარ, დიდებანთ ქალი.

ვაჟა-ფშაველას შესახებ იხ. ს. ყუბანეიშვილი, „ვაჟა-ფშაველა, ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“, 1940 წ.; მისივე „ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები“, 1937 წ.; მიხ. ზანდუკელი, „ვაჟა-ფშაველა“, 1953 წ.

ვაჩნაძე ნატა

„ნატო ვაჩნაძე Нато Вачнадзе“

ნატა ვაჩნაძე, გიორგი ანდრონიკაშვილის ასული, ქართული კინემატოგრაფიის ფუძემდებელი მსახიობი, დიდუბის პანთეონშია დასვენებული. მისი ცხოვრების თარიღებია: 1904—1953. ნატა ვაჩნაძის შესახებ იხ. „ნატა ვაჩნაძე“, 1926 წ.; ვლ. კოროლევიჩის (1925 წ.) და პ. ნეზნამოვის (1928 წ.) რუსული წიგნაკები; კარლო გოგოძის „ნატო ვაჩნაძე“, 1949 წ.; აგრეთვე თვით ნატა ვაჩნაძის მოგონებანი ქართულ და რუსულ ენაზე.

ვედრებისელი დარია

„Дарья Константиновна Ведробисели-Калгина, урож.

Малиева 1874—1925 октяб.—30 мая

ღარეჯან ვედრებისელი-მალიაშვილი-კალგინისა“

მწერალი ქალი ვედრებისელი მცხეთის სამთავროს ეკლესიის გალავანში არის დასაფლავებული, თავის ქმრის, არქიტექტორ კალგინის გვერდით. ამ კალგინის პროექტითაა აგებული საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის შენობა თბილისში.

დარია ვედრებისელი ავტორია მოთხრობებისა გლეხთა ცხოვრებიდან. მისი თხზულებები იბეჭდებოდა რუსულადაც თბილისისა და მოსკოვის პრესაში, ასევე ნარკვევებიც. დ. ვედრებისელზე იხ. გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილის „Характеристики и воспоминания“, წიგნი II, 1905 წ., გვ. 22—95.

ვირსალაძე სპირიდონ

„პროფესორი სპირიდონ სიმონის ძე ვირსალაძე 1868—1930“

პროფესორი, ექიმი, მალარიოლოგი, საზოგადო მოღვაწე სპ. ვირსალაძე დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მის შესახებ იხ. ა. წულუკიძის წიგნში: „Врачи грузины XIX столетия“, 1948 წ.

ზაალიშვილი მიხეილ

„მიხეილ ზაალიშვილი 1865—1920“

მიხეილ ზაალიშვილი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ავტორი ქართული სასკოლო სახელმძღვანელოებისა, დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მას დაწერილი აქვს სახელმძღვანელოები გეოგრაფიისა (1919 წ.), ბუნებისმეტყველებისა (1917, 1918, 1919, 1920 წწ.), არითმეტიკისა (1919 წ.), ზოტექნიკისა (1890 წ.), საზოგადო მიწათმოქმედებისა (1891 წ.), მეფუტკრეობისა (1897 წ.) და სხვ. მ. ზაალიშვილი მონაწილეობას იღებდა ჟურნალ „მეურნეში“. მის შესახებ იხ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებული II, 1955 წ.

ზალიკანიანი გიორგი

„მედავითნე გიორგი ვასილის ძე ზალიკანიანი დაიბადა 4 აგვ. 1834 წ. გარდ. 14 იანვ. 1915 წ.“

გიორგი ზალიკანიანი დასაუვლავებულია ქაშვეთის ეკლესიის ეზოში. მან 1881 წელს გამოსცა დავით გურამიშვილის „დავითიანი“. „დროებაში“ ბეჭდავდა წერილებს სახუროთმოძღვრო ძეგლებზე. მას მრავალი წიგნი და ხელნაწერი შეუწირავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავისათვის.

ზურაბიშვილი ილია

„ილია ზურაბიშვილი 1872—1955“

მწერალა ილია ზურაბიშვილი (ელეგთერიძე) დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. მას ეკუთვნის გამოკვლევები ქართულს სიმღერასა და ცეკვებზე, პორტრეტები ქართველი მსახიობებისა (ვასო აბაშიძეზე, ნატო გაბუნიაზე, მაკო საფაროვი-აბაშიძეზე, კოტე ყიფიანზე, ლადო მესხიშვილზე და სხვ.). ილია ზურაბიშვილზე იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1955 წ., № 13, ნეკროლოგი; ალ. ბურთიკაშვილის „თეატრალური პორტრეტები“, 1958 წ.

თათარაშვილი კონდრატე

„კონდრატე დავითის ძე თათარაშვილი უიარალო (1872—1920)“

მწერალი, სახელგანთქმული „მამელუკის“ ავტორი ვერის სა-საფლაოზეა დამარხული. უიარალოზე იხ. მის თბზულებათა ორტომეული გამოცემის წინასიტყვაობა, სოლომონ ცაიშვილის წერილი, თბილისი, 1957 წ.

თარსნიშვილი გრიგოლ

„აკ განისვენებს მონა ღვთისა თავადი გრიგოლ ალექსანდრეს ძე თარხან-მოურავი შობილი 7 აპრილს 1845 წელსა, გარდაცვლილი 2 ოქტომბერს 1898 წელსა“

Здесь похонится раб божий князь Григорий Александрович Тархан-Моуравов родился 7-го Апреля 1845 года, скончался 2-го Октября 1898 года.

კაცი ის არის ვის გულხაც ესმის
ციური სიტყვა „მშობა, ერთობა“
და სიყვარულით აღვხილის გულით
დავრდომილთ მოყვასთ მოეხმარება

მომიხსენე მე უფალო ოღეს მოხვიდე სუფევეითა შენითა“

სოციალისტი გრ. თარხან-მოურავი დასაფლავებულია სოფ. ერთაწმინდაში, წმ. ესტატეს ეკლესიის შესავალთან. გრ. თარხან-მოურავის შესახებ იხ. სიმონ ხუნდაძის „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ტ. I, გვ. 143 და შემდ. ს. ხუნდაძე უჩვენებს წლებს: 1844—1897.

თაყაიშვილი ექვთიმე

„პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი 1863—1953“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. პროფესორი ე. თაყაიშვილი, ისტორიკოსი და არქეოლოგი, ვაკის

სასაფლაოზე დასაფლავებული. მის შესახებ იხ. გ. გამყრელიძის „თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.; გაზეთები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“, 1953 წლის 24 თებერვლის ნომრებში დაბეჭდილი ნეკროლოგები, აგრეთვე მისი „მოგონებები“, გამოქვეყნებული „მნათობში“ 1958-9 წწ.

თედორაძე გიორგი

„ექიმი გიორგი ლევანის ძე თედორაძე 1888—1944
დაუფიწყარ ბიძიას ნადიასაგან“

გ. თედორაძე ავტორია წიგნისა „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, ქართულ მთიანეთში კრეფდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. გ. თედორაძე დასაფლავებულთა ვაკის სასაფლაოზე. მის შესახებ იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944 წ. № 33.

თეკლე ბატონიშვილი

„აქა განიხტყნებხ საქართჳლოს მეფისა ირაკლი მეორისა ასული თეკლა, მეუღლდე ვახტანგ დიმიტრის ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისა, რომელიცა იშუა სეკდეშებერს ჩლოვ წელსა და აღსრულდა ია მარტს ჩყმვ წელსა

Здесь покоится прах Дочери Грузинского Царя Ираклия II-го Феклы, супруга князя (sic) Вахтанга Димитриевича Джамбакуриан-Орбелиани родившейся 20 сентября 1776 г. и скончавшейся 11 марта 1846 г.

ამა ეხე რა ღთი შემწე ჩემდა და ური შემწყნარებელი სულისა ჩემისა

Се Бог помощник мы и Господ прибежище души моей“

თეკლე ბატონიშვილი თავისი მამისა და უფროსი ძმის-გიორგის გვერდით მარხია მცხეთის სვეტიცხოველში. თეკლე დედა იყო პოეტების ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებისა. თვით თეკლეს პოეტი იყო, მისი ლიტერატურული არქივიდან სამი ლექსი დაბეჭდილია ლევან ასათიანის მიერ წიგნში „საქართველოს პოეტი-

ქალები“. თეკლეს წერილი, მიწერილი გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე მაიასთან, დაბეჭდილია „ცისკარში“ 1860 წლის ნოემბრის ნომერში. „ცისკარშივე“ დაბეჭდილი (1860, № 1) „იანბიკო ღვთის მშობლისადმი“, დაწერილი „უცხოებაში მყოფი საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ასულის თეკლასაგან“. ალ. ორბელიანი, თეკლას უფროსი ვაჟი, გადმოგვცემს, რომ მას ჰქონია ეპიტაფია ღვთის საფლავზე დასაწერად: „ბატონიშვილის დედიჩემის საფლავის ეპიტაფია, მაგრამ ველარ-კი დავაწერეთ“. აი იგივე (ხელნ. ინსტ. ხელნაწ. № 1658-S, იხ. ლ. ქუთათელაძე—ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტომი XIV—B გვ. 267): „აჰა, ამომან და ტკბილ-მწარემან სოფელმან ნასესხი ვალი თვისი მესამოცდაათსა წელიწადსა მყოფსა მთხოვა რომელიც სწრაფად და განსვენებულის გულით მივეცი. გარნა მონიჭებული სული ღმერთსავე მივართვი სიხარულით და უკანასკნელი ხორცი ამა საფლავსა დავმიწე საუკუნოთ. კაცო წარმავალო, ნურარაითა ნუ გაამაყდები. სიმდიდრე, პატივი და დიდება ყოველი სიკვდილთანავე ჩაგივლის ამაოდ უკეთუ კეთილად არ მოიხსენიებ მათ. კეთილით შეიძინებ კაცთა და უფროს ღმერთსა მისის ზეციურის უკვადების დიდებითა“.

თოდრია სილიბისტრო

„სილიბისტრო იესეს ძე თოდრია С. Я. Тодрия 1880—1936“

სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი-სატარიკოსი ს. თოდრია (სილია) დასაფლავებულია მთაწმინდის პანთეონში.

თოიძე მოსე

„მოსე თოიძე. საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი აკადემიკოსი მოსე ივანეს ძე თოიძე 1871—1953“

მხატვარი მ. თოიძე დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მის გვერდით დასაფლავებულია „მისი მეუღლე და მეგობარი მხატვარი ალექსანდრა ნიკიტას ასული სუდინა-თოიძე 1875—1920“. მოსე თოიძის შესახებ იხ. შალვა კვასხვაძე, „მოსე თოიძე“, 1949 წ.; ოთარ ფირალიშვილი, „მოსე თოიძე“, 1953 წ.

„დოქტორს სამსონ ბესარიონის ძეს თოფურიას ქუთაისის ქალაქის თვით-მართველობა 1854—1904“

საზოგადო მოღვაწე, ექიმი ს. თოფურია ქუთაისში მთავარანგელოზის ეკლესიის ვალაყანში იყო დასაფლავებული. 1944 წელს მისი ნეშტი საფინიხის სასაფლაოზე გადაიტანეს. ს. თოფურიას შესახებ იხ. „ივერია“ 1904 წ., № 156, აკაკი წერეთლის „სიტყვა“; ა. წულუკიძის წიგნი „Врачи—грузины XIX столетия“, 1948 წ.; გ. მხეიძე „ექიმი სამსონ თოფურია (ცხოვრება და მოღვაწეობა)“, 1959.

თუმანიშვილი-წერეთელი ანასტასია

„ანასტასია თუმანიშვილი - წერეთელი Анастасия Михайловна
Туманова-Церетели 1849—1932“

„კვალისა“ და „ჯეჯილის“ რედაქტორი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე ქალი, გიორგი წერეთლის მეუღლე, მთაწმინდის პანთეონშია დასაფლავებული. მის შესახებ იხ. მიხეილ ხელთუბნელის (მიხეილ გიორგის ძე თუმანიშვილის) წიგნი: „საბავშვო ლიტერატურის მოამაგე“, 1941 წ.; მისივე „სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან“, 1938 წ.; ანა ღვინიაშვილის „ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი“, 1959 წ.

იაშვილი პაოლო

„პაოლო იაშვილი 1894—1937“

სახელოვანი პოეტი პ. იაშვილი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. პ. იაშვილი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე იყო დაკრძალული 1959 წლამდე. პ. იაშვილზე იხ. მისი თხზულებების გამოცემები. 1955 და 1959 წწ., გ. ქიქოძის „პაოლო იაშვილი“, „მნათობი“, 1958 წ., № 8.

იეთიმ გურჯი

„იეთიმ-გურჯი 1875—1940“

იეთიმ გურჯი (ნიშნავს ობოლ ქართველს) სახელგანთქმული თბილისის ქალაქის პოეტი იყო. მისი ნამდვილი გვარია დაბლი-

შეილი. დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე. ადრე მის საფლავზე იყო ასეთი წარწერა: „აქ განისვენებს სახალხო მწერალი აშული იეთიმ გურჯი, დაიბადა 1875 გარდაიცვალა 1940 წ“. ასევე რუსულად. მის საფლავზე ძეგლი დაიდგა 1961 წელს იენისში. იეთიმ გურჯის შესახებ იხ. ი. გრიშაშვილის წიგნში „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“, 1928 წ., ანდრო თევზაძის წინასიტყვაობა იეთიმ გურჯის „რჩეულ ლექსებში“, 1955 წ.; ირაკლი აბაშიძის წერილი—„ერთი გულმართალი ტრუბადური“, ლიტერატურული გაზეთი, 1960 წ., № 28, 8 ივლისი.

იმედაშვილი ალექსანდრე

„სახალხო არტისტი ალექსანდრე სოლომონის ძე იმედაშვილი 1882—1942“

ალ. იმედაშვილი დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე. მასზე იხ. ნ. გვარაძის წიგნში „თეატრალური მემუარეები“, 1949 წ.; ნინო ჩხეიძის „მოგონებები“, 1950 წ. და 1956 წ.; ალ. ბურთიკაშვილის „სცენის ოსტატები“, 1951 წ.; მისივე „ალექსანდრე იმედაშვილი“, 1956 წ.; დიმიტრი ჯანელიძე „სახიობა“, I. ალ. იმედაშვილის გვერდით დასაფლავებულია მისი მეუღლე ანა(პაშა) შოთაძე, მსახიობი (1888—1960).

იმედაშვილი იოსებ

„იოსებ იმედაშვილი“

საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი, ქართული სათეატრო ჟურნალის „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქტორი და გამომცემელი ი. იმედაშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მისი ცხოვრების თარიღებია: 1876—1952. მის გვერდით ასაფლავია მისი მეუღლე ანა ნიკოლოზ ჟურჯულის ასული იმედაშვილისა (1883—1927), სახალხო თეატრის ერთ-ერთი პირველი მსახიობი ქალი, რედაქტორი და გამომცემელი. ი. იმედაშვილზე იხ. ალ. ბურთიკაშვილი—„თეატრალური პორტრეტები“, 1958 წ.

სახელოვანი მომღერალი, სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიის პროფესორი სანდრო ინაშვილი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. ს. ინაშვილის ცხოვრების თარიღებია: 1887—1958.

ინგოროევა ეგნატე

„ე. ნინოშვილი 1859—1894“

ეგნატე ნინოშვილი დასაფლავებულია თავის სამშობლო სოფელში, ჩანჩეთში. მის შესახებ იხ. კ. დონაძე, „ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, 1952 წ.; სიმონ ხუნდაძის რედაქციით გამოსული მწერლის თხზულებების შესამე ტომი, 1933 წ.

იოსელიანი პლატონ

„დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი პლატონ ეგნატის ძე იოსელიანი მიმღები უმაღლესისა განათლებისა. იყო რა წევრად რაფდენთამე სამეცნიეროთა საზოგადოებათა რუსეთისა და ევროპის ქუტყუნებისათა, ამან განამდიდრა სამშობლო ქუტყუნა თუხი—საქართუშლო მრავლითა სხუა და სხუა გუარითა სასარგებლო თხზულებებითა და დასასრულ წმ წლისამ ჰპოვა საუკუნო სადგური სართულსა ქუტყუე ამა მისგანვე აღშენებულისა ამაღლების ეკლესიასა“

Действительный Статский советник Платон Игнатьевич Иоселиани получил высшее образование состоял членом разных ученых обществ в России и Европе, обогатил свою родину Грузию многими разного рода полезными сочинениями и наконец на 66-ом году жизни обрел вечный покой под кровом сей им же воздвигнутой Церкви Вознесения“

პლატონ იოსელიანი დასაფლავებული იყო თავისდავე მიერ აშენებულ ეკლესიაში ამაღლების (ახლანდელი იოსებ დავითაშვილის სახელობის) ქუჩაზე, თბილისში. ეკლესია ქრისტეს ამაღლების

სახელობაზე იყო აგებული თვით პლ. იოსელიანისაგან იტალიიდან ჩამოტანილი გეგმის მიხედვით, ამიტომაც ქუჩას ძველად ამაღლე ბის ქუჩა ერქვა („ვოზნესენსკაია“). თვით პლ. იოსელიანიც ამ ქუჩის დასაწყისში, თავის საკუთარ სახლში ცხოვრობდა ერთხანს. პლ. იოსელიანის ცხოვრების თარიღებია: 1809—1875 წ., 15 ნოემბერი. პლ. იოსელიანის, მრავალრიცხოვანი ისტორიული თხზულებებისა და სხვა მრავალი ნაწერის ავტორის შესახებ იხ. ა. გაწერელიას წინასიტყვაობა წიგნისა „ცხოვრება გიორგი მეცამეტი-სა“, ფედერაცია, 1936 წ., რომელშიც დაბეჭდილია აგრეთვე სრული ბიბლიოგრაფია პლ. იოსელიანისა.

პლ. იოსელიანის საფლავი ახლა დიდუბის პანთეონშია.

პლ. იოსელიანის მეუღლე დამარხულია მცხეთაში, სამთავროს მონასტერში, მის ქვას აწერია: „ამ ლოდის ქვეშ განისვენებს მოლაზონი ანნა თავად ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანსკის ასული პლატონ იოსელიანის მეუღლე 85 წ. გარდ. 1913 წ. 15 დეკემბერს. მხილველნო ლოცვა ყავთ ჩემთვის“. ამ ქალმა სიკვდილის შემდეგ თავისი ქმრის ქონება ქართველ საზოგადოებას უანდერძა. მის შესახებ იხ. ნიკო ბაგრატიონი—„ბურებთან“, საბჭოთა მწერალი, 1951 წ., რ. გვეტაძის წინასიტყვაობა და შენიშვნები.

P. S. ამაღლების ეკლესიის გალავანშივე ემარბა ნუმიზმატი და არქეოლოგი, გენერალ-ლეიტენანტი ივანე ალექსის ძე ბარტოლომეი. მის ქვას ეწერა: „Генерал-лейтенант Иван Алексеевич Бартоломей, род. 1814 г. ум. 5 окт. 1877 г.“ ოთხივე მხარეს ამოკვეთილი იყო სიტყვები: „честь, польза, вера, наука“. საფლავის ძეგლი ახლა აღარ არის. ბარტოლომეი ნამდვილად გარდაიცვალა 1870 წ.

იოსელიანი ეგნატე

„ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი

И. О. Иоселиани 1846—1926“

მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ხალხოსნური მოძრაობის მონაწილე ეგ. იოსელიანი დიდუბის პანთეონშია დამარხული.

ლ. ასათიანს ეგნატე იოსელიანის დაბადების წლად ნაჩვენები აქვს 1843 წელი (იხ. ს. მგალობლიშვილი—„მოგონებები“, რედაქტორის შენიშვნები, გვ. 244).

„მწერალი ქეთევან ირემაძე 1919—1945“



ქ. ირემაძე დიდუბის პანთეონში მარხია. მის შესახებ იხ. კრებული—„ქეთევან ირემაძე“, 1945 წ.

კავსაძე სანდრო

„ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი სანდრო კავსაძე 1874—1939 13/VI“

მომღერალი, ქართლურ-კახური სასიმღერო გუნდების ხელმძღვანელი სანდრო კავსაძე ვაკის სასაფლაოზე მარხია. მის შესახებ იხ. „ლიტერატურული საქარველო“, 1939 წ. № 8, წერილი „სანდრო კავსაძე“; გ. სვანიძე—„სანდრო კავსაძე“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1939 წ. № 6; ლ. გეგეჭკორის წერილი „სანდრო კავსაძე“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1955 წ., № 1; „ქართული ხალხური სიმღერების ვეტერანი“ გრ. კოკელაძისა, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 6.

კავსაძე ვლადიმერ

„Ладო Кавсаძე

ლადო კავსაძე 1886—1953“

მსახიობი, სახალხო არტისტი ლ. კავსაძე დიდუბის პანთეონში დასაფლავებული. ლ. კავსაძის შესახებ იხ. ა. მონიავა და ე. ყუფარაძე—„ლადო კავსაძე“, მონოგრაფია, 1958 წ.

კავსაძე მიხეილ

„ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მიხეილ ლონგინოზის ძე კავსაძე 1882—1951 წ.“

მ. კავსაძე ვაკის სასაფლაოზე არის დასაფლავებული. მის შესახებ იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ. № 1, შ. კაშმაძის წერილი „მიხეილ კავსაძე“.

„დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი 1862—1927“

მწერალი, მასწავლებელი, ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. დ. კარიჭაშვილი აქტიური წევრი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. დ. კარიჭაშვილის შესახებ იხ. „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, 1927 წ., ტ. III; გ. გამყრელიძე, „თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.; ს. ცაიშვილის წერილი წიგნში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრ. II, 1955 წ.

კარგარეთელი ია

„ია კარგარეთელი 1867 წ.—1939 წ.“

კომპოზიტორი და პედაგოგი ია კარგარეთელი დასაფლავებულია ვაკის პანთეონში. ი. კარგარეთელი „მოამბეში“ და „კვალში“ წერილებს ბეჭდავდა ქართული მუსიკის შესახებ. იგი იყო ხალხური პოეტური ფოლკლორის შემკრებიც, მის მიერ არის ჩაწერილი „თავფარავნელი ჭაბუკი“ და მრავალი სხვა. მის შესახებ იხ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრ. I, 1953 წ., წერილი მის. კეკელიძისა; „ია კარგარეთელი“, გ. ლეონიძისა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939 წ., № 12; ლადო გავამელის „ია კარგარეთელი“, საბჭოთა ხელოვნება, 1956 წ., № 5, მისივე წიგნაკი „ია კარგარეთელი“, მონოგრაფია, 1959 წ.

კაშმაძე შალვა

„მწერალი შალვა ეფრემის ძე კაშმაძე 1904—1955“

შ. კაშმაძე—კრიტიკოსი, თეატრმცოდნე, ვაკის სასაფლაოზეა დასაფლავებული.

„პროფესორი ნიკოლოზ კახიანი 1884—1928“

დასტაქარი ნიკოლოზ საულის ძე კახიანი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. მის შესახებ იხ. ვახტანგ კახიანი, „გამოჩენილი ქართველი ქირურგი ნიკოლოზ კახიანი“, 1951 წ.

კეხელი დავით

„დავით იოანეს ძე კეხელი მწერლობაში „ზოილ, დავით სოსლანის“ ფსევდონიმით ცნობილი, სიმართლისათვის მებრძოლი. აწ კალამ გადატეხილი. ვარდიაცვალა 24 მარტს 1907 წ. შობიდავან 53 წ.“

დ. კეხელი დამარხულია ქ. დუშეთში. პუბლიცისტი, პოლემისტი, წერილებს ბეჭდავდა „დროებაში“, „თეატრში“, თანამშრომლობდა თბილისურ რუსულ გაზეთ „Новое издание“-ში და სხვ., ფსევდონიმებით: დ. სოსლანი, ზოილი, არაგველი.

კერესელიძე ივანე

„ივანე კერესელიძე И. И. Кереселидзе 1829—1892“

მწერალი, პოეტი, დრამატურგი, ჟურნალისტი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი 1857—1875 წლებში, ქართული თეატრის ერთერთი ხელმძღვანელი ივ. კერესელიძე დიდუბის პანთეონშია დამარხული. ივ. კერესელიძის შესახებ იხ. ზ. ჭიჭინაძე-ივ. ივ. კერესელიძე“, 1902 წ., აკაკი წერეთელი „ჩემი თავგადასავალი“, მისივე „ორი შეხვედრა“, „კვალი“, 1898 წ. № 2—3, ვახტანგ ვახანიანი „ივანე კერესელიძის ცხოვრება და თეატრალური მოღვაწეობა“, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წ. III, 1948 წ.; ალ. კალანდაძის „მასალები ივანე კერესელიძის ლიტერატურული მოღვაწეობისათვის“, ლიტერატურული მუზეუმის შიფრით, თბილისი, 1956; ალ. კალანდაძე—ივანე კერესელიძე“, 1958.

კიკვაძე თედო

„მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედორე გაბრიელის ძე კიკვაძე ქალარა 1870—1939“

თ. კიკვაძე ვერის ძველ სასაფლაოზეა დამარხული. იგი მონაწილეობას იღებდა „კვალში“, ბეჭდავდა რეცენზიებს, მხატვრულ თხზულებებს ფსევდონიმით ზღვისპირელი; ავტორია ლექსების, ჰუმორული სცენებისა და სხვ.

კირიონ მეორე

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კირიონ მეორე დაიბადა 1855 წ. 1 იანვარსა მამათ მთავრად არჩეულ იქმნა საეკლესიო კრების მიერ 1917 წ. 17 ნოემბრისთვის ღვთივ განისვენა 1918 წ. 12/26 იანვარს“

კირიონ მეორე, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი, ავტორია რამდენიმე ნაშრომისა საქართველოს ისტორიიდან და ლიტერატურიდან. გრ. ყიფშიძესთან ერთად დაწერა „სიტყვიერების თეორია“ (არსებობს სამი გამოცემა), რუსულად დაწერა «Культурная роль Иверии в истории Руси», რუსულადვე ისტორია საქართველოს საეგზარქოსოსი. წერილებს ბეჭდავდა „მწყემსში“. კირიონ მეორე დასაფლავებულია თბილისის სიონში. კირიონზე იხ. მ. ჯანაშვილის „მისი უწმინდესობა კირიონი—უნეტარესი და უკეთილმსახურესი კათალიკოს-პატრიარქი ყოვლისა საქართველოსა“, 1917 წ. თბილისის სიონში დამარხულნი არიან აგრეთვე საქართველოს ეკლესიის სხვა კათალიკოსები: ლეონიდე, ოქროპირიძე, ამბროსი ხელაია, ქრისტეფორე ციციქიშვილი, კალისტრატე ცინცაძე და მელქისედეკ ფხალაძე.

კლდიაშვილი დავით

„დავით კლდიაშვილი 1862—1931“

მწერალი დავით კლდიაშვილი მთაწმინდის პანთეონშია დასაფლავებული. დავით კლდიაშვილზე იხ. მისი თხზულებები ორტომად, რომელშიც მოთავსებულია მისი „ჩემი ცხოვრების გზაზე“;

სერგო კლდიაშვილის „დავით კლდიაშვილის ბიოგრაფია“, 1930 წ.; მისივე „მოგონებანი დავით კლდიაშვილზე“, 1933 წ.; ნელი დუმბაძის მონოგრაფია „დავით კლდიაშვალი“, 1949 წ.; იპოლიტე ვართაგავას „ქართველ მწერალთა სილუეტები“, 1956 წ.

კლდიაშვილი სიმონ

„სიმონ კლდიაშვილი 1865—1920“

არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. მისი ღვაწლი დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის აგებასთან. მის შესახებ იხ. ვახტანგ ბერიძე, „ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი“, უნივერსიტეტის შრომები, XXXIII, 1948 წ.; ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1954 წ., № 1—2, ვ [ახტანგ] ბერიძის „ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი“, მისივე წერილი გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, 1945 წ. № 17; ნანა ლვინეფაძის წიგნაკი „ეფრო კლდიაშვილი“, თბ., 1958 წ. ს. კლდიაშვილი შვილი იყო სახელგანთქმული მსახიობი ქალის ეფრო კლდიაშვილისა.


კონჭოშვილი პეტრე

„აქ განისვენებს გვამი გორის ეპისკოპოსის ყოვლად უსამღვდელოესის პეტრესი (კონჭოშვილისა)“

Здесь покоится прах преосвященнейшаго Петра епископа горийского скончался 5 февраля 1909 года 73 лет от роду“

პეტრე დავითის ძე კონჭოშვილი „ივერიასა“, „კვალში“ და „მოამბეში“ მონაწილეობდა, წერდა უმთავრესად საეკლესიო ლიტერატურის შესახებ. ბრიტანეთის საზოგადოებისათვის იგი ლეონიდე ოქროპირიძესთან ერთად ქართული „დაბადების“ ტექსტზეც მუშაობდა. ცალკე წიგნად გამოცემული აქვს მოგზაურობა იერუსალიმში და ათონის მთაზე. ბეჭდავდა ილწობელის ფსევდონიმით.

პეტრე კონჭოშვილი დასაფლავებულია ალავერდის ტაძარში.



კურდღელაშვილი ნიკო

„მწერალი ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი) 1872—1938“

რედაქტორი და გამომცემელი გაზ. „ზარისა“ (1906—1907 წწ.), „სახალხო გაზეთისა“ და მისი სურათებიანი დამატებისა, თანამშრომელი „ნიშადურისა“, პოეტი და მთარგმნელი ნ. კურდღელაშვილი დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე. ნ. კურდღელაშვილი შეუღლე იყო მწერალი ქალის ბაბილინა ხოსიტაშვილისა, ირ. ველოშვილის დისა. მის შესახებ იხ. „ნიკო კურდღელაშვილი“, ალ. სანადირაძის წერილი, „ლიტერატურული გაზეთი“, № 44, 1958 წ.

ლაისტი არტურ

„გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი
Hier ruhet in Gott Artur Leist * in Breslau

18 $\frac{8}{VII}$ 52 † in Tiflis 19 $\frac{22}{III}$ 27

Wohl dir du Kind der Treue
Du hast und tragst da
Mit Ruhm und Dankgeschraie
Den Sieg und Ehrenkron
Gott gibt dis selbst die Palmen
In deine rechte Hand
Und du singst Freudenpsalmen
Dem der dein Leid gewandt“

საფლავის ქვის წარწერა, გერმანულ ენაზე, ზოგან შეცდომითაა. ეპიტაფიის შინაარსი შემდეგია: „აქ ღვთით განისვენებს არტურ ლაისტი, დაიბადა ბრესლაუში 1852 წლის 8 ივლისს, გარდაიცვალა თბილისში 1927 წლის 22 მარტს. ნეტარება ზენ, სიმართლის ზვილო. სახელგანთქმული და შექცეული ზენ ატარებ გამარჯვებისა და დიდების გვირგვინს. თვით ღმერთმა მოგცა მარჯვენა ხელში პალმა და ფსალმუნს უგალობ იმას, ვინც წარმართავდა ზენს სიმღერას“.

არტურ ლაისტმა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და დავით ერისთავის დახმარებით გაიცნო საქართველო, შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა და ბოლოს საქართველოში დასახლდა. რამდენიმე ნაშრომი გამოსცა გერმანულად საქართველოსა და ქართველების შესახებ. მისი თხზულებები იბეჭდებოდა ქართულადაც.

არტურ ლაისტზე იხ. ლევან ასათიანის შენიშვნები სოფრომ მაგლობლიშვილის „მოგონებებში“, გვ. 136; თეიმურაზ ფირალიშვილის „არტურ ლაისტი და საქართველო“, „მნათობი“, 1956 წ., № 1.

ლალიონი

„ლალიონი არსენ ნამჟღაიშვილი 1866—1918“

მწერალი-ბელეტრისტი ლალიონი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. ლალიონზე იხ. ივანე გომელაურის (გ-რი) წინასიტყვაობა ლალიონის თხზულებების 1920 წლის გამოცემისათვის, აგრეთვე ალექსანდრე წულუკიძის „თხზულებები“, ვ. ცისკარიძე-ლალიონის შემოქმედება“, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63.

ლასხიშვილი გიორგი

„გიორგი ლასხიშვილი 1866—1931“

გიორგი ლასხიშვილი მონაწილეობდა „მომამბეში“, „კვალში“, „ცნობის ფურცელში“, რედაქტორობდა გაზ. „საქართველოს“ პარიზში. გ. ლასხიშვილი წერდა „ლალის“ ფსევდონიმით. იგი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მასზე იხ. მისი მშვენიერი „მემუარები“, 1934 წ.

ლომთათიძე ჭოლა

„ჭოლა ლომთათიძე 1879—1915“

ქართული პროზის სახელოვანი ოსტატი ჭოლა ლომთათიძე კუკიის სასაფლაოზე იყო დასაფლავებული. 1957 წელს მისი ნეშტი

დიდუბის პანთეონში იქნა გადატანილი. ქ. ლომთათიძეზე იხ.
გ. მანუკაძე, „ქოლა ლომთათიძე“, 1926 წ., ს. ქილაია, „მეოცე საუ-
კუნის ქართული მწერლობა“, ნაწილი პირველი, 1956 წ.

ლომოური ნიკო

„ნიკო ლომოური 1852—1915“

რის მაქნისია ბუნების სიმშვენიერე, თუ აღმზანის გულსა
და ხულში აღზნებული ცეცხლი ანთია, თუ ნამდვილი არსება
ისე დატანჯულა და იტანჯება, რომ დამიწებული გვამის მდგო-
მარეობა მისთვის სანატრელი გამსდარა.

ნიკო ლომოური. 1878 წ.“

მწერალი და მასწავლებელი ნიკო ლომოური დამარბული იყო
გორის წმ. სამების ეკლესიის გალავანში, შემდეგ მისი ნეშტი გა-
დატანილ იქნა გორის საქალაქო ბაღში. საფლავის ქვის ტექსტი
ამოღებული მოთხრობიდან „ალი“, ახლა აღარ არსებობს, ნ. ლო-
მოურის შესახებ იხ. მიხ. ზანდუკელი—„ახალი ქართული ლიტერა-
ტურა“, III, 1955 წ., ნ. ლომოურის „მოთხრობები“ ს. ხუციშვილ-
ლის რედაქციით, 1951 წ.; ს. ხუციშვილის „ნიკო ლომოური“
1955 წ.

ლორთქიფანიძე ელენე

„ქენინა ელენე დიმიტრის ასული ლორთქიფანიძისა დაიბადა 19
მაისს 1855 წ. გარდაიცვალა 23 ნოემბერს 1890 წ.“

ელ. ლორთქიფანიძე იყო დიმიტრი ყიფიანის ასული, ანტონ
ლორთქიფანიძის მეუღლე. იგი დასაფლავებულია ქუთაისში, წმ.
გიორგის ეკლესიაში. ასეთივე წარწერა აქვს კედელში საფლავთან
დატანებულ ქვას. ელენე ყიფიანის ქალი მამისა და ძმების (ნიკო-
ლოზ, კოტე) მსგავსად ბევრს იღწვოდა ქართული მწერლობისა და
თეატრისთვის. მას თარგმნილი აქვს მოლიერის, დიუმასი და
სხვათა პიესები და მოთხრობები. მთარგმნელობით მუშაობას ეწე-
ოდა ეკ. მელიქიშვილსა და ეკ. გაბაშვილთან ერთად, მისი ორიგი-
ნალური და თარგმნილი თხზულებები იბეჭდებოდა „ქართულ

ბიბლიოთეკაში“, „თეატრში“, „მნათობში“, „ნობათში“, თამაშობ-
და სცენაზეც. ანტ. ფურცელაძემ მის ხსოვნას უძღვნა პირველი
„ცისკარა“. ელ. ლორთქიფანიძის მოკლე ბიოგრაფია დაიბეჭდა
1893 წ. „საქართველოს კალენდარში“, ნეკროლოგი დაწერილი აქვს
ანასტასია თუმანიშვილ—წერეთლისას („კვალი“, 1894 წ. № 45).

ლორთქიფანიძე ნიკო

„ნიკო ლორთქიფანიძე 1880—1944“

გამოჩენილი მწერალი-პროზაიკოსი ნიკო მერაბის ძე ლორ-
თქიფანიძე დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ნ. ლორთქი-
ფანიძეზე იხ. ს. ჭილაია, „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა“,
ნაწ. მეორე, დ. ბენაშვილი, „ნიკო ლორთქიფანიძე“, მწერლის
თხზულებების აკადემიური გამოცემის პირველი ტომის წინასიტყვა-
ობა, 1958 წ.

ნ. ლორთქიფანიძის მამა—მერაბი (1818—1904) ყოფილა თა-
ვისი დროის სახელმოხვეჭილი და მოწინავე ადამიანი, ილია ჭავ-
ჭავაძესავეთ ჯუზებე გარიბალდის თაყვანისმცემელი, ნაცნობ-მეგობ-
რობა ჰქონია ბევრ დიდ თანამედროვესთან, მონაწილეობა მიუ-
ღია „დროებასა“ და „შრომაში“. მერაბ ლორთქიფანიძის შვილი
იყო იასონ ლორთქიფანიძე (1866—1949), რომლის ორტომიანი
მოზრდილი ნაპრომი „ქვემო ქართლი“ მნიშვნელოვანი ცნობების
შემცველია საქართველოს ისტორიისათვის. მერაბ ლორთქიფანიძის
ოჯახთან იყვნენ დანათესაებულები ილია ჭყონია და ალექსანდრე
(საშა) წულუკიძე. პირველის მეუღლე იყო ანა, ხოლო მეორისა
ელენე (ლოლა) მერაბის ასულნი. მერაბის ასულებმა ივდითიმ,
ფეოდოსიამ და ანამ თარგმნეს და დაბეჭდეს „მეცდომათა კომე-
დია“ (1883 წ.) და პ. სენკევიჩის „ბარტეკ ძღვევამოსილი“ (1903 წ.)

მერაბ ლორთქიფანიძესთან სტუმრობისას (1885 წ.) დაუწერია
ილია ჭავჭავაძეს ლექსი „ძვირფას კოლხიდელო“ (იხ. „მნათობი“,
1957 წ., № 10, პუბლიკაცია და შენიშვნა ს. ხუციშვილისა).

მამაცაშვილი კონსტანტინე

„გენერალ ლეიტენანტი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცა-
შვილი 1814—1900“

Генерал-лейтенант Константин Христафорович Мамაცев 1814—1900“

კ. მამაცაშვილი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. მას ეკუთვნის ბიოგრაფიული ცნობები ნ. ბარათაშვილზე („დროება“, 1881 წ., № 206). იგი პირადად იცნობდა მიხეილ ლერმონტოვსაც. კ. მამაცაშვილზე იხ. ლ. ასათიანის „ლერმონტოვი და ჩვენი ქვეყანა“, ჟურნალი „ჩვენი თაობა“, 1937 წ., № 9; აგრეთვე „ნეკროლოგი“ ჟურნ. „მწყემსი“, 1900 წ., № 17.

მარგიანი აკაკი

„აკაკი მარგიანი 1891—1945“

აკაკი მარგიანი (აკაკი სვანი), პოეტი, ვაკის სასაფლაოზეა დასაფლავებული.

მარიამ დედოფალი

„ასული დადიანისა დედოფალი საქართველოჲსა მარიამ დავემ-
კვიდრე მცირესა ამასა საფლავსა მხილველნო შენდობას გვიბრძა-
ნებდეთ ღვთის გულისათვის ქრისტეს აქეთ ჩქპ“

მარიამ დადიანის ასული ჯერ გურიელზე იყო გათხოვილი, შემდეგ როსტომ მეფეზე. მარიამის ბრძანებით შედგა „ქართლის ცხოვრება“, რომელსაც „მარიამ-დედოფლისეული“ ეწოდება. მარიამი გარდაიცვალა 1680 წელს და მარხია მცხეთას, სვეტიცხოველში, სადაც მისი ძე, ოტია გურიელი არის დამარხული. მარიამისა და ოტიას სახეებიც იქვე, ფრესკაზეა გამოხატული. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ერთი საბუთია ასეთი: „ქნებითა და შეწვევითა ღთისაჲა ჩჴშნ დადიანის ასულმა დედოფალმა მარიამ ესე საბოლოოდ გასათავებელი მტკიცე და მოუშლელი შეწირულობის წიგნი და სიგელი დაგიდეთ და [...] ჩუენგან

აშენებულს თავარ ანგელოზის საყდარსა მას უამსა, ოდეს მეფემ როსტომ ქართლს დედოფლად მოგვიყვანა, თან ძე გურიელის ჩუშნი თვალის სინათლე შვილი ოტია და იმიზგან მოვძულდით ღსა და მიიცვალა ქვეყანასა ამას ქართლისისა, სანახებსა გორისასა. მისა საწოლსა ზედან ეკლესია ავაშენეთ, დავახატინეთ და შევაპყვეით... ოტიას ეპიტაფია, შემოკლებით, გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ („ქრონიკები...“ ტ. II, გვ. 460), ხოლო მარიამისა ანტონ ნატროშვილმა („Михет и его собор светилховели“, გვ. 317—318). მარიამ დედოფალზე იხ. კ. კეკელიძე, „ქართული მწერლობის ისტორია“, II, 457; ს. ყაუხჩიშვილისაგან გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, ტომი I; ივანე ჯავახიშვილის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“.

მაყაშვილი კოტე

„კოტე მაყაშვილი 1875—1927“

პოეტი კოტე მაყაშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. კოტე მაყაშვილზე იხ. შალვა აფხაიძის წერილი „კოტე მაყაშვილი“, „ლიტერატურულ გაზეთში“, 1956 წ., № 24; მიხეილ ზანდუკელის „ლიტერატურული ნარკვევები“, ტომი I, 1958 წ.

მაჩაბელი მიხეილ

„მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი 1858—1927“

ჟურნალისტი, გაზ. „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი, სოფლის მეურნეობის მცოდნე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული საზოგადოების წევრი მ. მაჩაბელი დიდუბის პანთეონშია დამარხული. მის შესახებ იხ. ს. ხუციშვილის წერილი „შირვანზადეს ორი წერილი“, ჟურნ. „დროშა“ № 1, 1959 წ.; მისივე „Александр Ширванзаде и его грузинский друг“, ჟურნ. „Литературная Армения“, № 2, 1959 წ.

მახარაძე ფილიპე

„ფილიპე ესეს ძე მახარაძე 1868—1941 ფ. ი. Махарაძე“

პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე ფ. მახარაძე დასაფლავებულია მთაწმინდის პანთეონში. მასზე იხ. ს. ჩხარტიშვილის წერილი გაზ. „კომუნისტი“, 1958 წ. № 67; ნიკო მახარაძის ბიოგრაფიული ნარკვევი „ფილიპე მახარაძე“, 1958 წ.

მგალობლიშვილი მიხეილ

„პროფესორი მ. ფ. მგალობლიშვილი Профессор М. Ф. Мгалоблишвили 1887—1931“

პროფ. მიხეილ ფილიპეს ძე მგალობლიშვილი ჟურნ. „თანამედროვე მედიცინის“ რედაქტორი იყო, სამედიცინო სამეცნიერო ნაშრომთა ავტორი, უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი. იგი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

მგალობლიშვილი სოფრომ

„სოფრომ მგალობლიშვილი 1851—1925“

ხალხოსანი მწერალი ს. მგალობლიშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მასზე იხ. მიხეილ ზანდუკელი, „ახალი ქართული ლიტერატურა“, III, 1955 წ.; გიორგი თავზიშვილის „სოფრომ მგალობლიშვილი“, 1956 წ.

მგელაძე საფო

„მწერალი ქალი საფო მგელაძე-გიგინეიშვილი 1891 19/11 1936 9/9“

პოეტი ქალი საფო მგელაძე ვაკის სასაფლაოზეა დასაფლავებული.

მელანია (ნიკოლოზ ნათიქე)

„დეკანოზი ნიკოლოზ გიორგის ძე ნათიქე (მწერლობაში
მელანია) 1853—1921 წ.“

ბელეტრისტი მელანია (ავტორი „ბნელოსი“, „მტრედის ღუ-
ღუნისა“, „მამა ქრისტეფორესი“ და სხვათა) დასაფლავებულია
სოფელ მელანში, სამების ეკლესიის ეზოში. ქვა ასეთივე წარწერით
ნიშნად დევს თბილისში, ვერის ძველ სასაფლაოზეც, მისი მეუღლის
გვერდით. თბილისის ქვაზე თარიღები უფრო დაზუსტებულია:
1853 15/VIII—1921 4/II. ნ. მელანიას შესახებ იხ. „ბნელო“, საბ-
ჭოთა მწერალი, 1951 წ. გ. ქიქოძის ბოლოსიტყვა.

მელიქიშვილი ლევან

„Генерал Адъютант Генерал от Кавалерии князь Леван Иванович Ме-
ликов родился 14 октября 1817 года, скончался 22 февраля
1892 года

აკა განისვენებს გვამი თავადის ლევან ივანის ძის მელიქიშვილი-
სა დაიბადა 14 ოქტომბერს 1817 წელსა აღსრულდა 22 თებერვალს
1892 წელს“

ლ. მელიქიშვილი მარხია მთაწმინდაზე, წმ. დავითის ეკლესიაში. ლ. მელიქიშვილი აღრესატი იყო გრ. ორბელიანისა, ნიკ. ბარათაშვილისა, უკანასკნელის მეგობარი და ტოლი, შამილის წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილე. მის შესახებ იხ. გ. თუმანიშვილის „Характеристики и воспоминания“, წ. III, 1907 წ., გვ. 100—111.

მელიქიშვილი პეტრე

„პეტრე მელიქიშვილი 1850—1927“

პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი (1918 I—1919 XII,) ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი, მრავალრიცხოვან ნაშრომთა ავტორი ქიმიის მეცნიერებაში პ. მელიქიშვილი დასაფლავებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში, ბიუსტი გამოკვეთილია მოქანდაკე იაკობ ნიკო-

ლადის მიერ. პ. მელიქიშვილის შესახებ იხ. მისი მოგონება „ჩემი ცხოვრება“, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, № 5; გაზ. „საქართველოს მუნიციპალიტეტი“, 1850 წ., № 148, წერილები კ. კეკელიძისა, მ. ბეჟიაისა, ნ. ციციშვილისა და სხვათა, გ. გამყრელიძის წიგნი „თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.; ვეგენი წულაძე—„ორი ქიმიკოსი“, ნარკვევი ე. პეტრიაშვილსა და პ. მელიქიშვილზე, თბ., 1953 წ., კრებული „პეტრე მელიქიშვილი“, 1850—1937, სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, აგრეთვე—Материалы по истории отечественной химии, კრებული, რომელშიც დაბეჭდილია პროფ. ნინო ციციშვილის წერილი—„Петр Григорьевич Меликишвили“.

მესხი სერგი

„სამაგალითო მოღვაწე
ერთგული შეიღო ქართლისა
რწმუნება გქონდა მომავლის
გიყვარდა ძებნა მართლისა
მაგრამ უდროოდ გავვიჭრი
ერთი ძმა პირველთაგანი
საფლავში ჩაგყვა ნატვრის თვლად
ხსნის იმედისა საგანი
აქ კი დაგვიგდე ანდერძად
კვალში რომ მივყვეთ იმ თქმულსა
ამინ მსხვერპლი ვართ ამ აღთქმის
კიდობნათ მივხცემო ჩვენს გულსა

გარდაიცვალა ჩუპგ წელსა ივლისის თვის კა დღესა შობიდან ლქ
წელის სერგი სიმონის ძე მესხი“

ს. მესხი მარხია თავის სამშობლო სოფელ რიონში, ქუთაისის ახლოს. ეპიტაფიის ტექსტი აკაკი წერეთლისაა (იხ. თხზულებები ტ. I, გვ. 389, „სახსოვრად (სერგი მესხი)“. ეპიტაფიაში კიდურწერილობაა „სერგი მესხს აკაკი“. ს. მესხი „დროების“ რედაქტორი იყო, მრავალრიცხოვან წერილთა ავტორი (იხ. მისი „ნაწერები“, ტ. I, 1903 წ.), ჟურნალისტი. ს. მესხის შესახებ იხ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1, 1935 წ.; „წერილები“, ი. ბოცვაძის რედაქციით გამოცემული, სუხუმი, 1950 წ.; გამომცემლობა „ხელოვნებას“ მიერ დაბეჭდილი წიგნი „სერგი მესხი—წერილები თეატრის შესახებ“, 1958 წ. ეპიტაფიის ტექსტი იხ. დ. მესხი—„მოგონებანი“, გვ. 28. ს. მესხი დაიბადა 1844 წელს, გარდაიცვალა 1883 წ.

მესხი ივანე

„ივანე მესხი 1849—1932“



ივანე მესხი ს. მესხის ძმა იყო, თავადაც მწერალი, თეატრალი, დასაფლავებულია ვერის სასაფლაოზე. მისი წერილები იბეჭდებოდა „კრებულში“, „დროებაში“. მის შესახებ იხ. დ. მესხი—„მოგონებანი“, 1940 წ.

მესხი კოტე

„მსახიობი კოტე მესხი 1859—1914 წ.“

კოტე მესხი, შესანიშნავი მსახიობი, დამარხებულია კუკიის სასაფლაოზე. კ. მესხის შესახებ იხ. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნი „კოტე მესხი“, 1953 წ. სერგი, ივანე და კოტე მესხები ძმები იყვნენ. მათი ძმა იყო დავათი, ხოლო და ეფემია მესხი—ქართული თეატრის ბრწყინვალე მსახიობი.

მეუნარგია იონა

„იონა მიზაილის ძე მეუნარგია 1852—1919“

ი. მეუნარგია მკვლევარი, ჟურნალისტი, ქართველი მწერლების ბიოგრაფიების შემდგენი, ქართულ კულტურულ და საგანმანათლებლო წამოწყებათა და დაწესებულებათა ორგანიზატორი და წევრი დასაფლავებულია თავის სამშობლო სოფელში—ცაიშში, ღვთისმშობლის ეკლესიაში. იქვეა დასაფლავებული მისი მამა—მიხეილ, დედა-სუსანა, და ბარბარე და შვილი—მიხეილი. ი. მეუნარგიას შესახებ იხ. მისი „ქართველი მწერლები“, ტ. I და II ს. ცაიშვილის შესავალი წერილით. ცაიშშივეა დამარხული პეპუ ხუტუს ძე მეუნარგია (იონას პაპა). მხატვარი და მოქანდაკე (1776—1851), მისი საფლავის ქვას აწერია: „აქა მდებარე არს აზნაური პეპუა მეუნარგია, გარდაიცვალა 1851-ს წ.“

„აქა განისვენებს გვამი აზნაურის კოლეჟსკი ასესორის დიმიტრი კონსტანტინეს ძისა მეღვინეთუხუცესის შვილისა იშვა 1815 მიიცვალა 6 დეკემბერს 1878 წ. დასდო ღვაწლი მამულს არხეოლოგიურის შრომით, რომელიც გამოიცა სანკტპეტერბურღს სამეცნიერო აკადემიის მიერ“

დ. მეღვინეთუხუცესიშვილი ცხოვრობდა გორსა და ხიდისთავში, თანამშრომელი იყო „ცისკრისა“, „სასოფლო გაზეთისა“ და კორესპონდენტი მარი ბროსესი. მარი ბროსეს გორში ყოფნის შესახებ მან წერილი დაბეჭდა „ცისკარში“. სხვათა შორის, მარი ბროსემ გორის საზოგადოებას წიგნი უძღვნა წარწერით. ეს წიგნი გორის მუზეუმშია შენახული. დ. მეღვინეთუხუცესიშვილს ეკუთვნის კომედიები: „ექიმბაში“, „კატა აწონა“. მისი მოკლე ბიოგრაფია იხ. „საქართველოს კალენდარში“, 1893 და 1895 წლებისათვის. დ. მეღვინეთუხუცესიშვილი დასაფლავებულია სოფ. ხიდისთავში, გორთან.

მირიან მეფე

„წმ. მირიანი საქართველოს პირველი ქრისტიანე მეფე, რომელმაც 326 წ. დაამკვიდრა ქრისტიანობა საქართველოში
Первый христианский грузинский царь св. Мириан, утвердивший в 326 году христианство в Грузии
აღმართული იქმნა 1906 წ. თავადის კ. ი. ბაგრატიონ მუხრან-ბატონიშვილის და სხვათა შემოწირულებით“

მირიან მეფის საფლავი, გადმოცემით, მცხეთის სამთავროს მონასტერშია, იქ, სადაც მან და მისმა მეუღლემ, დედოფალმა ნანამ ქრისტიანობა მიიღეს. მირიანის საფლავის გვერდით არი, საფლავი ნანა დედოფლისა, რომელზეც იმავე ბაგრატიონ-მუხრანელს აღუმართავს ძეგლი წარწერით: „მეუღლე მირიანისა დედოფალი ნანა, რომელმაც წმ. ნინოს მიერ მიიღო პირველად ქრისტიანობა 326 წ.“ და შემდეგ იგივე რუსულად. მირიან მეფისა და საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შესახებ იხ. „საქართველოს ისტორია“ I, § 23-„ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად ქართლში“.

„პეტრე ვრიგოლის ძე მირიანაშვილი 1860—1940 წ.“

პ. მირიანაშვილი ვაკის სასაფლაოზე დამარხული, თანამშრომელი იყო „ივერიისა“, „მწყემსისა“, „ჯეჯილისა“. მუშაობდა ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრების დარგში. მისი თარგმნილია ჰომეროსის ამბები (კლდიას ფსევდონიშით). მას ეკუთვნის ნაშრომები გრამატიკიდან, არის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს ავტორი პ. მირიანაშვილის შესახებ იხ. ს. ცაიშვილის წიგნაკი „სახალხო განათლების მოღვაწეები“, თბ. 1954 წ., იგივე კრებულში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრ. II, 1955 წ.

მირიანაშვილი ალექსი

„ალექსი ივანეს ძე მირიანაშვილი 1860—1925 წ.“

თანამშრომელი „ნობათისა“, „ივერიისა“, „იმედისა“, „ჯეჯილისა“, „ნაკადულისა“, „ცნობის ფურცლისა“, შემკრები ქართული ხალხური შემოქმედებისა, საბავშვო თხზულებათა ავტორი, „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ „გასართობის“ გამგე, ქართული ფრთოვანი სიტყვების შემკრები, მხატვრული თხზულებების ავტორი ალ. მირიანაშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ალ. მირიანაშვილის შესახებ იხ. ს. ცაიშვილის წერილი წიგნში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, I, 1953 წ.; ან. ღვინიაშვილი—„ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი“, 1959 წ.

მიქაბერიძე ალექსანდრე

„ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიქაბერიძე 1869—1942“

ალ. მიქაბერიძე მონაწილეობას იღებდა უმთავრესად საბავშვო ჟურნალებში, „ჯეჯილში“ ბეჭდავდა ქართულად თარგმნილ ბერძნული ლიტერატურისა და მითოლოგიის ნიმუშებს, მისი ფსევდონიმები იყო „ყუმისთაველი“, „პელაგიაშვილი“ და სხვ. ალ. მიქაბერიძე დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე.

მიქელაძე ვლადიმერ



„აქ განისვენებს ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძე 1856—1926“

საზოგადო მოღვაწე და პოეტი, ილ. ჭავჭავაძის „ივერიის“ კორესპონდენტი და თანამშრომელი ვლ. მიქელაძე ვაკის სასაფლაოზე დასაფლავებული.

მოსაშვილი ილო

„ილო მოსაშვილი И. О. Мосашвили 1896—1954“

პოეტი, დრამატურგი ილო მოსაშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

მრეველიშვილი ალექსანდრე

„ალექსანდრე რომანოზის ძე მრეველიშვილი 1866—1933“

მხატვარი და პედაგოგი ალ. მრეველიშვილი ვერის სასაფლაოზე დასაფლავებული. ალ. მრეველიშვილზე იხ. მაყვალა მრეველიშვილი, „ალექსანდრე მრეველიშვილი“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1939 წ., № 7—8; მამია დუდუჩავა, „ახალი ქართული ხელოვნება“, 1950 წ. მეოთხე თავი; დიმიტრი ჯანელიძე, „ალექსანდრე მრეველიშვილი“, 1956 წ.

მუსხელიშვილი ვახტანგ

„ვახტანგ მუსხელიშვილი 1869—1933“

ოკულისტი, საზოგადო მოღვაწე ვ. მუსხელიშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მასზე იხ. ა. წულუკიძის წიგნი: „Врачи-грузины XIX столетия“, 1948 წ. ვახტანგ მუსხელიშვილის შვილი იყო ისტორიკოსი ლევან (ლენკო) მუსხელიშვილი (გარდ. 1942 წ.), ბევრი ისტორიული გამოკვლევის ავტორი.

„აკ განისვენებს რედაქტორი ჟურნალ „ჯვარი ვაზისა“ დამფუძნელი ს. ბეთლემისა პატრი დომინიკე მულაშაშვილი (პაწაძე) დაიბადა 1864 წ. სოფ. ხიზაბავრაში, ტრალიკულად მოკლული ავაზაკთაგან ს. ხკრაში 28 ოქტ. 1911 წ. განსვენება საუკუნო მიაწიქე მას უფალო Pater Dominicius Mugashati Requiem aeternam Dona ei Domine“

დ. მულაშაშვილი იყო ყოველკვირეული საეკლესიო ჟურნალის „ჯვარი ვაზისა“ რედაქტორი. ჟურნალი გამოდიოდა 1906 წელს. დ. მულაშაშვილის საფლავი იყო გორის კათოლიკეთა ეკლესიის გალავანში; მარმარილოს ქვა. წარწერით ახლა გორის მუზეუმში ინახება. დ. მულაშაშვილზე იხ. კ. თ.-ს წერილი „თემში“, 1911 წ. № 45.

მღვიმელი შიო

„შიო მღვიმელი ქუჩუკაშვილი 1868—1934“

ქართული საბავშვო ლიტერატურის დიდი მოამაგე, ქართველი მწერალა შიო მღვიმელი ქუჩუკაშვილი, „ძია შიო“, დაბადებულია 1866 წელს. იგი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. შიო მღვიმელის შესახებ იხ. ი. გრიშაშვილის წინათქმა წიგნისა „სიმღერები“, 1938 წ.; გ. კაჭახიძის წიგნაკები „შიო მღვიმელი“ და „შიო მღვიმელის ცხოვრება“. ერ. ასტვაცატუროვის ბიოგრაფიული ნარკვევი შიო მღვიმელზე; იპ. ვართაგავას „ქართველ მწერალთა სილუეტები“, 1956.

ნათაძე გიორგი

„გიორგი გრიგოლის ძე ნათაძე 1870—1946“

საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი, მწერალი გ. ნათაძე, აღ. ყაზბეგის პირველი ბიოგრაფი, ვაკის სასაფლაოზეა დამარხული. მის შესახებ იხ. „ხალხური სიტყვიერება“ ს. ხუციშვილის რედაქციით, 1950 წ.; გაზ. „ლიტერატური და ხელოვნება“, 1946წ. № 30, ნეკროლოგი.

ნათაძე გრიგოლ

„გრიგოლ იასონის ძე ნათაძე 1878—1951“

პროფესორი, ისტორიკოსი გრ. ნათაძე ვაკის სასაფლაოზეა დასაფლავებული. მის შესახებ იხ. გ. გამყრელიძე—„თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.

ნაკაშიძე ილია

„ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე 1866—1923“

საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი ილ. ნაკაშიძე დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ილ. ნაკაშიძის შესახებ იხ. ვლ. ზამბახიძე—„ილია ნაკაშიძე“, 1947 წ.

ნატროშვილი ანტონ

„ანტონ ნატროშვილი A. M. Natroes 1852—1930“

ანტონ ნატროშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მას ეკუთვნის რუსულად დაწერილი წიგნები ათონის ივერიის მონასტრის, მცხეთის სვეტიცხოვლისა და სხვათა შესახებ. ანტონ ნატროშვილზე იხ. მარო მაჭავარიანის წერილი წიგნში: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებული II, 1955 წ.

ნიკოლაძე ნიკო

„ნიკო ნიკოლაძე 1843—1928“

ქართველი სამოციანელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი ნიკო ნიკოლაძე დასაფლავებულია მთაწმინდის პანთეონში. ნიკო ნიკოლაძეზე იხ. 1931 წელს გამოცემული ნიკო ნიკოლაძის რჩეულ თხზულებათა პირველი ტომის შესავალი წერილი სიმონ ხუნდაძის „ნიკო ნიკოლაძე“; ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალო-

გი, ნაწილი I, შედგენილი თამარ მაჭავარიანისაგან 1954 წ.

ნ. ნიკოლაძის მშობლები ბაგრატის ტაძრის გალავანში ემარ-
ხნენ. მათ ქვას ეწერა: „იაკობ მათეს ძე ნიკოლაძე 1798—1871 და
მისი მეუღლე ელისაბედ ფირანის ასული ნიკოლაძე, შვილი ლორ-
თქიფანიძისა 1826—1878“. ეს საფლავის ქვა ახლა მწვანეყვავი-
ლაზეა.

ნიკოლაძე გიორგი

„გიორგი ნიკოლაძე 1888—1931“

პროფ. გიორგი ნიკოს ძე ნიკოლაძე, გამოჩენილი მათემატი-
კოსი, ინჟინერი-მელითონე, ალბინისტი, „შევარდენის“ ორგანიზა-
ტორი, დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მასზე იხ. ალ.
კაიშაური, „მეცნიერი-სპორტსმენი“, 1957.

ნიკოლაძე იაკობ

„ი. ნიკოლაძე“

მოქანდაკე, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი
იაკობ ნიკოლაძე დაიბადა 1876 წელს, გარდაიცვალა 1951 წლის
10 მარტს, დასაფლავებულია მთაწმინდის პანთეონში. ი. ნიკოლა-
ძეზე იხ. მამია დუდუჩავას „ახალი ქართული ხელოვნება“, „იაკობ
ნიკოლაძე“ რჩეულ ნაწარმოებთა ალბომი მ. დუდუჩავას რედაქციი-
თა და შესავალი წერილით, 1955 წ. ი. ნიკოლაძის საფლავზე დგას
ძეგლი მოქანდაკის ბიუსტით, რომელიც შესრულებულია ი. ოქრო-
პირიძისაგან.

ორბელიანი მსუჭაბუკე

„ქეხით ჩლულ აპრილს კე
ლოცვამან ანნა

მყოფ ოთხთაგან ნივთთა რომელეებულთ
წესთ მამყოფისა ხატად გაგუარებულთ
ვიდემს ოდესმე ათ ორ მადლ ნიჭებულთ



პირთ არ თან ღვენით თავს უფლად გებული
 აწ მათ ყთათ ურჩებით განკვეებული
 ბრძანება ვრცელი ჳმა ბატოე განჩენითი
 უკუდავების ყოველთ კაცთ ბუნებათად თქმითი
 კლ ესევე მეწია თქმაჲ სჯიითი
 ვინაიდგან წყალი წყალადვე ვარ დათხევითი
 ხ პაერი შაერად განბნევიითი
 ხარისხი ჩემი მსაჯულთ ყოფად ირწმუნეთ
 და გუაროვნება ორბელითად ისმინეთ
 სახელი თუ გივმსთ კიდურით მომიხსენეთ
 ეს არს შემცველი ადგილი მიინიშნეთ
 ტომი [...] ნით ზესთა ოჯანი მაცემთ“

მზეჭაბუკ ორბელიანი ბესიკ გაბაშვილის თანამედროვეა. მზე-
 ჳაბუკ ანუ, როგორც მას ბესიკი და შინაურები უწოდებდნენ—ჭა-
 ბუა, უკვდავი დარჩა, როგორც ბესიკის მძაფრი სატირის ობიექტი.
 მზეჭაბუკი XVIII საუკუნის სახელმწიფო მოღვაწე იყო, სამეფოს
 მდივანბეგი, მეცნიერი და ფილოსოფოსი. „კალმასობა“ მას ახა-
 სიათებს როგორც „ძველთა ფილოსოფოსთა ზედმიწეენილი, ღვთის
 მეტყველებასა შინა გამოცდილი და პაექრობასა შინა მარჯვე; აგ-
 რეთვე ხუმარსიტყვაობასა შინაცა მარჯვე და პასუხისა უტხოთ
 მომგები. მესტიხეობისა შინაცა ქებული და მსაჯულისა საქმეთასა
 შინა გამოცდილ“.

მზეჭაბუკი მეფე ერეკლესაც ჳყვარებია. იგი „გონებით უტხო“,
 მაგრამ ფიზიკურად მახინჯი ყოფილა. მზეჭაბუკის საფლავი თბი-
 ლისშია, სიონის ტაძარში, საკურთხეველის მარჯვენა ფრთაში.
 ეპიტაფიის მიხედვით გარდაცვლილა 1794 წლის 25 აპრილს. კი-
 დურწერილობაში გამოდის—მზეჭაბუკ. მის საფლავს მიმაგნებინა
 სრულიად საქართველოს კათოლიკოსმა კალისტრატემ.

ორბელიანი გრიგოლ

„აქ განისტმნებს გუამი ღენერალ-ადუტანტის ღენერალ-ოტინ-
 ფანტერის თავადის გრიგოლ ზურაბის ძის ჯამბაკურ-ორბელიანისა
 დაბადებული 1800 წ. გარდაცუალებული 1883 წ. მარტის 21 დ-ა“

გრ. ორბელიანი დასაფლავებულია ქაშვეთის ეკლესიის ქვემო
 სართულში, ძველ ქაშვეთში, თავისი ძმების—ზაქარაისა (1805—1846)
 და ილიას (1814—1853) გვერდით. გრ. ორბელიანის დაბადების

თარიღი საცილობელი იყო. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ იგი დაბადებულია 1804 წელს. ამის შესახებ იხ. გრიშაშვილი — „ლიტერატურული ნარკვევები“ და ი. მეუნარგია — „ქართველი მწერლები“, I, ს. ცაიშვილის შენიშვნები. გრ. ორბელიანზე იხ. მისი თხზულებების 1959 წლის გამოცემა აკ. გაწერელიასი და ჯ. ჭუმბურიძის რედაქციით.

ორბელიანი ალექსანდრე

„Князь Александр Вахтангович Джамбакуриани-Орбелиани Сын Грузинской Царевны Теклы Ираклиевны родился 1802 года Мая 27 Скончался Декабря 13 1869 года

თავადი ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურიანი ორბელიანი საქართველოს მეფის ირაკლის ასულის თექვსმეტე დაიბადა 1802 წელსა 27 მაისა (sic) მიიცვალა დეკემბრის 13 1869 წელსა“

კრიტიკოსი, პოეტი, დრამატურგი, ისტორიულ თხზულებათა ავტორი, XIX საუკუნის 60-იან წლებში ძველი თაობის ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, 1832 წელს შეთქმულების ორგანიზაციის ძირითადი წევრი აღ. ორბელიანი დამარხულია სიონის ტაძარში, თბილისში. აღ. ორბელიანის ნაწერთა ბიბლიოგრაფია იხ. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XIV, 1947 წ. ლ. ქუთათელაძე — „ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები“.

ორბელიანი ვახტანგ

„Князь Вахтанг Вахтангович Джамбакур-Орбелиани родился 5-го Апреля 1812 года, скончался 29-го Сентября 1890 года.

თავადი ვახტანგ ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი დაიბადა 5-სა აპრილს 1812 წელსა გარდაიცვალა 29-სა სექტემბერსა 1890 წელსა“

პოეტი ვახტანგ ორბელიანი თბილისში, სიონის ტაძარშია დამარხული. ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების მესამე ძმა დიმიტრი, რომელიც თეკლესა და ვახტანგთან ერთად იყო გადასახლებული 1832 წელს შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, მარ-

ხია ქაშვეთში. მის საფლავს აწერია: თავადი დიმიტრი ვახტანგის ძე ჯამბაკურიანი-ორბელიანი დაიბადა 1808 წელსა 25-სა მარტსა მიიცვალა 1882-სა წელსა იანვრის 22-სა დღესა“.

ორბელიანი ნინო

„ნინო ორბელიანი 1838—1919“

პოეტი ქალი ნინო აბაშიძის ასული გიგო ორბელიანის შეუღლე დიდუბის პანთეონშია დამარხული. მის შესახებ იხ. ქ. ირემაძე—„ნინო ორბელიანი“, წიგნში „ლიტერატურული მემკვიდრეობები“, 1945 წ.

ორბელიანი მანანა

„თავადის დავით ჯამბაკურ-ორბელიანის მეუღლე მირმანოზ ერისთავის ასული კნენა მანანა დაიბადა ივ-სა აგვისტოს ჩყუ-სა წელსა, გარდაიცვალა ივნისის ა-სა ჩყო-სა წელსა ესე არს განსახტმწნებელ ჩემი უკუნითი უკუნიხამდე მას დავემკვიდრო რამეთუ მონავს ესე“

მანანა ორბელიანი, როგორც საფლავის ქვა გვამცნობს, დაბადებულია 1807 წლის 15 აგვისტოს და გარდაცვლილია 1870 წლის ივნისის პირველს. იგი მოესწრო ვაჟის-ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის გარდაცვალებას 1869 წელს. მანანა ქართველი პოეტების ქომაგი, ხელისმემწყობი და შთამაგონებელი იყო. დასაფლავებულია სოფ. კუმისში, სამების ეკლესიაში. მანანა ორბელიანის შესახებ იხ. ი. ბალახაშვილი—„მანანა ორბელიანი“, ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა, 1941 წ.

ორბელიანი ქეთევან

„Кавалерственная дама Супруга Генерал Майора Княгиня Кетевана Георгиевна Джамбакуриан-Орбелиани рожденная Эрнстова родилась 13 мая 1806 г. скончалась 16 ноября 1897 г.“

მეუღლე გენერალ მაიორის კნენა ქეთევან ჯამბაკურიან-ორბელიანისა გიორგი ერისთავის ასული დაიბადა 13 მაისს 1806 წ. გარდაიცვალა 16 ნოემბერს 1897 წ.“


ქეთევან ორბელიანი პირველი სცენის მოყვარე ქალია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გიორგი ერისთავის მიერ აღდგენილი ქართული თეატრის პირველ წარმოდგენებში. 1850 წლის 2 იანვარს (ძვ. სტილით) ქეთევან ორბელიანმა „გაყრაში“ შეასრულა მიკირტუმ გასპარიჩის ცოლის თათელას როლი, ხოლო 3 მაისს „დავაჟი“ ითამაშა გამდელის ლომისეულის როლში. ქ. ორბელიანი იყო ასული გიორგი იასეს ძე ერისთავისა, „დიდ კნიაზად“ წოდებულისა, შვილიშვილი გიორგი XII-ისა და მეუღლე მამუკა (მეკარ) ორბელიანისა. ქეთევან ორბელიანის შესახებ იხ. აკაკი წერეთელი — „სამძიპარი“, აკაკი: „კრებული“, 1897 წ. № 4. სხვათა შორის, აკაკი წერს: „განსვენებულმა ქეთევანმა რომ თეატრი არ დაივიწყა და ის მცირე წვლილი დაუტოვა, კარგი ჰქმნა და აქაც გონივრულად მოიქცა. ადრე ისე სასირცხვილოდ მიაჩნდათ ჩვენში თეატრში სცენაზე გამოსვლა, რომ თავის მოჭრა ეგონათ. ვორონცოვის დროს რომ „გაყრა“ ითამაშეს, პირველი მაგალითი კნენა ქეთევანმა უჩვენა ყველას; ითამაშა და მით აგრძნობინა სხვებსაც, რომ აქ სასირცხვიო არა არის რაო“. ქ. ორბელიანი თბილისის ჭიონშია დამარხული, ქმრის, მამუკა ორბელიანის გვერდით.

ოქრომჭედლიშვილი ილია

„Профессор Илья Лазаревич Окромчедлов-Серебряков род. 24 Апреля 1838 Сконч. 3 января 1898“

ილია ოქრომჭედლიშვილი დამარხულია დიდუბის პანთეონში. იგი 60-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, თანამშრომლობდა ილ. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“, იყო პროფესორი ლაზარაანთ ინსტიტუტისა მოსკოვში, მონაწილეობას იღებდა „ვისრამიანის“ ბეჭდვაში, საქართველოში სხვადასხვა სკოლების დაარსებაში, ხე-ტყის ქარხნის მოწყობაში და სხვ. ილია ჭავჭავაძემ გარდაცვალებულ მეგობარს გვირგვინი მიუძღვნა წარწერით: „ჩემს გულითად მეგობარს და დაუფიწყარ ამხანაგს—ილია ჭავჭავაძე. 3 იანვარი 1898 წ.“ ილ. ოქრომჭედლიშვილის შესახებ იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 4—5, ს. ხუციშვილისა და ნ. ტატიშვილის წერილი „საქართველოს მოამბე“; შ. გოზალიშვილი—„ილია ოქრომჭედლიშვილი“, ლიტერატურული გაზეთი, 1958, № 22. კ. მეძვე-

ლიას თავის წიგნში ი. ოქრომქედლიშვილის დაბადების წელი 1836 უწერია, იხ. „თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, I“, გვ. 257.



ოქროპირიპე ალექსანდრე

„განუსვენე უფალო, მონასა შენსა, საქართველოს ჭეშმარიტ შვილს და მოღვაწე ბერს, შიო მღვიმის დიდებულის ლავრის აღმადგენელს შენს სადიდებლად მას შინა სამუდამო კრებულის დამაარსებელს და მის ნივთიერად უზრუნველყოფელს, საკუთარის საფასით ორისავე ტაძრის განმანათლებელს და ყოვლისა სამკაულით აღმავსებელს, წინამძღვრისა და კრებულისათვის სახლების ამგებელს და ლავრის გამამდიდრებელს ვენახებით, ბაღებით, სახნავის მიწებით, წისკვილით, სამუშაო იარაღით და საქონლით ყოვლად უსამღვდელოესს ალექსანდრეს 1822 9/XI—1907 9/XI“

ალექსანდრე ოქროპირიპე, ეპისკოპოსი, ქართული მწერლობის მოამაგე იყო, მისი ხარჯითა და ინიციატივით ბევრი ქართული წიგნი გამოვიდა. თავისი წინასიტყვაობით დაბეჭდა ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი (1881 წ.), გამოსცა გიორგი ავალიშვილის „ხმა ცოდვილისა“, რაფიელ ერისთავთან ერთად სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ანტონ პირველის „ქართული ღრამატიკა“ და „მზა-მეტყუტშლება“, თედო ჟორდანიას „ისტორიული საბუთები“, იპოლიტოვ-ივანოვის მიერ შეკრებილი „ქართული გალობა“ და სხვ. საკუთარი საფასით განაახლა ბევრი ეკლესია-მონასტერი და სხვათა შორის შიომღვიმის ლავრაც, სადაცაა დასაფლავებული. ალექსანდრეს შესახებ იხ. ნებოძირელი (ალ. ფერაძე)—ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე“, 1898; „გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე“, ზ. ჭიჭინაძის გამოცემული 1903 წელს და მის მიერვე დაბეჭდილი „სიტყვები და წერილები“, 1903 წ., აგრეთვე „ძველი საქართველო“, ტ. I.

ოქროპირიპე ლონგინოზ

„ხრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი ლეონიდი 1861 15/II 1921 11/VII“

ლეონიდე კათალიკოსს, ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიპეს, რამდენიმე ნაშრომი აქვს დაბეჭდილი: „ორი სიტყვა დიდე-

ბულის საქართველოს მეფის ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების გამო“, 1898 წელს. მელიტონ კალენჯერიძის დესტან ერთად: „წმ. ნინოს დღეობა და მისი მნიშვნელობა“, 1912 წ. „სიტყვანი და მოძღვრებანი“, ტ. I, 1914 წ. „სიტყვა წმ. თამარ მეფის დღეს 1-ლ მაისს“, 1915 წ. და სხვ. იგი იყო ალექსანდრე ეპისკოპოსის ძმისწული და მისი აღზრდილი. ლეონიდი დიდხანს მუშაობდა საინგილოსა და ჯავახეთში, განსაკუთრებით გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის, იგი იყო ქართული „დაბადების“ ტექსტის შემსწორებელი კომისიისა და მცხეთის ტაძრის განმაახლებელი კომისიის წევრი. ლეონიდი დასაფლავებულია თბილისის სიონში. ლეონიდზე იხ. ილია ფერაძის (ნებოძირელის, ჩხერიმელისპირელის) წიგნაკი „იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი“, 1902 წ.

ოცხელი იოსებ

„გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და თვალსაჩინო მოღვაწე იოსებ ივანეს ძე ოცხელი 1865—1919“

სახელმოხვეჭილი პედაგოგი, ქართულ სახელმძღვანელოთა ავტორი, განათლების დაუცხრომელი მოღვაწე იოსებ ოცხელი ქუთაისში, მწვანეყვავილას ბანთეონშია დასაფლავებული. ი. ოცხელზე იხ. ვ. ქაჯაიას წერილი—„იოსებ ოცხელი“ წიგნში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, I.

ომელაშვილი არსენა

„აქ განიხვენებს ყაჩაღი
ყველგან ცნობილი არსენა,
ხალხისგან კურთხეულია,
ღმერთმაც კურთხევით ახსენა.“

ეს ლოდი დაადო დავით კეზელმა“

არსენა მარაბდელი მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, მოკლეს 1842 წლამდე. არსენა მცხეთაში მარხია. ხალხური ლექსი ამბობს:

მარმარილოს ქვა გათალეს, დასწერეს და დაადგეს:
აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგეს.



არსენას საფლაგზე ქვა დაუდვია დ. კეხელს, ხალხს კი მარმარილოს ღირსად უცენია თავისი ვაჟაკი და საყვარელი გმირი.

არსენაზე იხ. ზ. ტიჭინაძე, „ბატონყმობის ფაქტიური მასალები“, ტ. 4; პლ. კეშელავა, „არსენა ოძელაშვილი“, წიგნში „არსენას ლექსი და კაკო ყაჩაღი“, 1939 წ.; იაკობ ბალახაშვილის წიგნაკი „არსენას ცხოვრება“, 1941 წ., მდიდარი ბიბლიოგრაფიით; არჩილ ფანცხავეს წერილი „ზარია ვოსტოკაში“—„Архивные документы об Арсене Одзелашвили“, 1952 წ., № 257.

საქართველოში ორი სახალხო გმირისა და ვაჟაკის ძეგლი დგას, ერთია მცხეთაში, ხოლო მეორე ქვემო ალვანში. მცხეთაში, საქართველოს სამხედრო გზის პირას, არსენას საფლავის ცოტა ზემოთ, დასავლეთით, დგას ამ ლეგენდური ადამიანის ძეგლი, რომელზეც ამოკვეთილია შემდეგი: „სახალხო გმირი არსენა ოძელაშვილი“ და შემდეგ თარიღები: 1802—1843.

ქვემო ალვანში 1956 წელს დაიდგა ძეგლი მეორე სახალხო გმირისა—ზეზვა გაფრინდაულისა; მის კვარცხლბეკზე ამოჭრილია შემდეგი: „თუში სახალხო გმირი ზეზვა გაფრინდაული“. მარჯვენა მხარეს აწერია ვაჟა-ფშაველას სიტყვები „ბახტრიონიდან“:

ზეზვაი, ძმაო, ზეზვაი,
მთელი თუშეთის ღარია,
თუ გაზრდის—ღედამ გაზარდოს
ე მაგისტანა ხარია.

(ვაჟა)

ხოლო მარცხენა მხარეს შემდეგი:

ხმალს ზვერავს გაფრინდაული,
თორმეტი მოვკალ ამითა,
ავავსე ალვანის მინდორი
თათრის ხოჯაის ძვალითა.
(ხალხური)

ზეზვა გაფრინდაულზე გ. ლეონიძეს პატარა, მაგრამ კარგი გამოკვლევა აქვს დაწერილი (იხ. გ. ლეონიძე, „გამოკვლევები და წერილები“, 1959 წ.).

ოურეშიძე დომენტი

„დომენტი თომაშვილი 1876—1952“

პოეტი დ. თომაშვილი დასაფლავებულია ქუთაისში, მწვანე-ყვავილას სასაფლაოზე, ქუთაისელ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მასზე იხ. წინასიტყვაობა, „ლექსების კრებული“, 1956 წ.; ან. ლვინიაშვილი, „ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი“, 1959 წ.

ჟორდანია თედო

„თედო ჟორდანია 1854—1916“

ისტორიკოსი თედო ჟორდანია დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული, იგი მრავალი გამოკვლევის ავტორია საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის დარგში, თანამშრომლობდა „ივერიაში“, „მომხმეში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში; გამოცემული აქვს „ქრონიკები“ და მრავალი საბუთი საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა; აღწერილი აქვს საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები და სხვ. თ. ჟორდანიაზე იხ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებული I, 1953 წ.

რაზიკაშვილი ნიკო

„ბაჩანა (ნიკო რაზიკაშვილი) 1866—1928“

პოეტი ბაჩანა, ვაჟა-ფშაველას უმცროსი ძმა, დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ბაჩანაზე იხ. ტიციან ტაბიძის წერილი „ბაჩანა“, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ., თებერვალი—მარტი; ბაჩანას „ლექსები და პოემები“ ს. ყუბანეიშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ფედერაცია, 1938 წ.; აბ. მახარაძის „ნარკვევები...“ წ. II.

ბაჩანა ნამდვილად გარდაიცვალა 1927 წლის დეკემბერში.

„თედო რაზიკაშვილი 1869 — 1922“

ვაჟა-ფშაველასი და ბაჩანას ძმა თედო რაზიკაშვილი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. თედო რაზიკაშვილს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქართული ხალხური შემოქმედების შეკრების საქმეში, ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. თ. რაზიკაშვილზე იხ. წინასიტყვაობა წიგნისა „საბავშვო მოთხრობები“ დაწერილი ანა ლვინიაშვილისაგან, 1947 წ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. 6, მიხ. ჩიქოვანის წერილი—„ხალხური სიტყვიერების შესწავლის პრობლემა მე-19 საუკუნეში“.

რაზმაძე ანდრია

„ანდრია რაზმაძე 1893—1929“

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, გამოჩენილი მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. ანდრია რაზმაძეზე იხ. „თბილისის მათემატიკური ინსტიტუტის შრომები“ II, 1937 წ. და ანდრია რაზმაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომის მოხსენებები 1944 წლის 21 ოქტომბერს; ლევან გოკიელის „გამოჩენილი ქართველი მეცნიერი“, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ., № 44; გიორგი გამყრელიძე—„თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.

რობაქიძე სერგო

„დამსახურებული მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე და ძველი რევოლუციონერი სერგო ისიდორეს ძე რობაქიძე 1869—1934“.

სერგო რობაქიძე დასაფლავებულია გორის სასაფლაოზე. იგი იყო მაქსიმ გორკის თხზულებების ერთი პირველი მთარგმნელი ქართულად, მონაწილე იმ წრისა, რომელიც ეგნატე ნინოშვილისა და მაქსიმ გორკის ირგვლივ იყრიდა თავს, ავტორი „სამშობლოს აღწერისა“. ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ 1928 წელს (№ 5) დასტამბა წერილი „მაქსიმ გორკი საქართველოში“. სერგო რობაქიძის მეუღლე იყო ალექსანდრე გარსევანიშვილის და—ანასტასია

(გარ. 1957 წ.). სერგო რობაქიძეზე იხ. ტრ. ხუნდაძის წერილი „რობაქიძე სერგო“ კრებულში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებული II, 1955 წ.

როინაშვილი ალექსანდრე

„სამაგალითო ქველმოქმედსა და თავის ქვეყნისათვის სიყვარულით სავსეს ალექსანდრე როინაშვილს + 1898 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“

საზოგადო მოღვაწე, ფოტოგრაფი ალ. როინაშვილი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. მის ღვაწლზე იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი II, გვ. 539—540, 1941 წ. ალ. როინაშვილის ეპიტაფია შემოკლებით დაიბეჭდა გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ (1948 წ., № მარტი) ბეს. ტაბიძის წერილში. როინაშვილზე იხ. აგრეთვე იმავე ბ. ტაბიძის „ალექსანდრე როინაშვილი“, ჟურნ. „დროშა“, 1952 წ., № 3. როინაშვილი დაბადებულია 1846 წ.

როსტომაშვილი ივანე

„ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი 1852—1924“

ივანე როსტომაშვილი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. იგი იყო მწერალი, მასწავლებელი, სახელმძღვანელოთა შემდგენელი, ბეჭდავდა წერილებს ბუნებისმეტყველებიდან, პოპულარულ-სამედიცინო თხზულებებს. 1896 წელს გამოსცა ალბომი „ქართველთა ტომი“, „გამოსადეგი ცნობები“ ექვს წიგნად, იყო რედაქტორი ჟურნალ „მოგზაურისა“, ყოველდღიური გაზეთისა „სიმართლე (1910—1911 წწ.) და სხვა. ივანე როსტომაშვილზე იხ. „ივანე როსტომაშვილი“, ს. ცაიშვილის წერილი გაზ. „სახალხო განათლებაში“, 1953, № 3; მისივე წერილი კრებულში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“ I, 1953 წ.; გრიგოლ მკვათარიანის წერილი „ივანე როსტომაშვილი“, მნათობი, № 9, 1959 წ.; ანა ღვინიაშვილის წიგნი „ქართველი საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი“, 1959 წ.

ივანე როსტომაშვილის მეუღლე ელისაბედ დავითის ასული, აგრეთვე საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1958 წ. (იხ. „სახელ-ხო განათლება“, 1958 წ., № 5) დასაფლავებულია დიდუბეში ქმრის გვერდით.

რცხილაძე ვასილ

„ვასილ რცხილაძე 1861—1920“

ართიმეტიკის სახელმძღვანელოს ავტორი და ბუნებისმეტყვე-ლი, საბუნებისმეტყველო წიგნების გამომცემელი, დასაფლავებუ-ლია დიდუბის პანთეონში.

რცხილაძე გრიგოლ

„გიგო რცხილაძე 1876—1934“

გრ. რცხილაძე დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული, იგი თანამშრომელი იყო ჟურნალ „მომამბისა“, გაზეთ „ცნობის ფურ-კლისა.“ გრ. რცხილაძეზე იხ. გიორგი გამყრელიძე, „თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.

საიათნოვა

„საიათნოვა + 1795“

ამენ მართ ჩი კანა სმი იმ ჯურ ურის ჯურენე
ამენ მართ ჩი კანა კართა იმ გირენ ურის გრენე
ბუნიათის ავას ჩიშანას ქარაფე ქარუ კრენე
საიათ-ნოვა Саят-Нова“

საიათნოვას სიკვდილი ლეგენდად იქცა. სულ რაღაც ასსამო-ცი წელიწადი გვაშორებს მეფე ერეკლეს ამ საზანდართან და მაინც არაა ცნობილი სად დააღამა მან თავისი სიცოცხლე და როდის! მისი გარდაცვალებისა და დასაფლავების შესახებ რამდენიმე აზრი არსებობს. საიათნოვას ბიოგრაფი ახვერდიანი 1795 წლისა და იმ ამბების მომხრეა, რომ საიათნოვა წმ. გიორგის (სურფ გეგორქის) ეკლესიის კარებში სპარსელებმა აკუწეს ქრისტეს სახელის დაც-ვისას და მოკვდა სიტყვებით: „არ დაუტევებ ჩემსა იესოს, არ

დაუტყვებ ტაძარსა წმინდასა. ასეთივე აზრისა იყო რუსი პოეტის
იაკობ პოლონსკიც, რომელსაც საიათნოვას ამ სიტყვებში დაწმინდა
ლეგენდურ სიკვდილში ეგზოტიკურობა უფრო იტაცებდა (როგორც
მის სხვა ლექსებში, თბილისს რომ ეხება), ვიდრე სინამდვილის
რკვევა. ასეთივე აზრისა იყო პოტტოც, ესევე გაიმეორეს სხვებმა
(ზაქარია ჭიჭინაძემ, კორნელი კეკელიძემ, იოსებ გრიშაშვილმა,
ალექსანდრე ხახანაშვილმა, ვალერი ბრიუსოვმა, ქიშიშიშოვმა, ჰო-
ვანეს თუმანიანმა). პლატონ იოსელიანის ცნობით საიათნოვა
გარდაიცვალა 1801 წელს. ამას ემყარებიან გიორგი ლეონიძე,
ლეონ მელიქსეთბეგი. საიათნოვას გარდაცვალების თარიღთან ერ-
თად იცვლება გარდაცვალების ადგილიც: ხან წმიდა გიორგის
ეკლესიის კარიბჭეა, ხან ახპატი. ამ ეკლესიის ახლანდელი შესასვ-
ლელის მარჯვნივ (რადგან საიათნოვა ამ ადგილს დაუმარხავთ,
სადაც მტერმა განგმირა, ამისათვის ეკლესიის კარი აღმოსავლე-
თით გადაუადგილებიათ) სადაც დამთავრებულია პოეტის სიცოცხლე,
ახლა ძეგლი დგას და ზედ აწერია ეს სომხური სიტყვები, რაც
ი. გრიშაშვილის მიხედვით (იხ. „საიათნოვა“, გვ. 84) ქართულად
ნიშნავს:

„ჩემი წყარო, სხვა წყაროა, ყველას არ ძალუძს მისი დაღვეა.
ჩემი სიმღერა, სხვა სიმღერაა, ყველა ვერ მიხვდება, ყველა ვერ გაიგებს.
ჩემი საძირკველი ქვიშაზედ აგებული კი არ გეგონოთ!
ჩემი საძირკველი აგებულია ქარაფოვან კლდეზე ნაქედ დუღაბითა და
ქვითკირით!“

სიტყვა-სიტყვით სომხურად სწერია: „ყოველ კაცს არ შეუ-
ძლია შესვას ჩემი წყალი, (იგი) სხვა წყალია, ყოველ კაცს არ შეუ-
ძლია წაიკითხოს ჩემი წიგნი, (იგი) სხვა წიგნია, ჩემი საძირკველი
ქვიშაზედ არ არის აგებული, (იგი) ქარაფის ქვა-კირია“ (ილია
აბულაძის თარგმანით).

საიათნოვას ძეგლი დგას თბილისში, სომხების წმინდა გიორ-
გის (სურფ გევორქის) ეკლესიის გალავანში, ჩრდილოეთის შესასვ-
ლელის მარჯვნივ (ეს ეკლესია ძველად ქართველ მართლმადიდე-
ბელთა სალოცავი იყო—ციხის საყდარი ერქვა).

P. S. საიათნოვას საფლავის მარჯვნივ, ჩრდილოეთის კედლის
ძირში, დამარხულია ნიჭიერი მხატვარი გევორქ ბაშინჯალიანი
(1857—1925).

საყვარელიძე ჰავლე

„ჟურნალისტი და პუბლიცისტი ჰავლე დავითის ძე საყვარელიძე
1882—1937“

ჰავლე საყვარელიძე დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე.
პ. საყვარელიძე წერდა „საქარელის“ ფსევდონიმით, იყო სხვადა-
სხვა ქართულ გაზეთთა თანამშრომელი და რედაქტორი.

სახოკია თედო

„თედო სახოკია 1868—1956“

მწერალი, საზოგადო მოღვაწე თ. სახოკია დასაფლავებულია
დიდუბის პანთეონში. მასზე იხ. ნეკროლოგები „სახალხო განათლე-
ბაში“ (1956 წ., № 8) და „ლიტერატურულ გაზეთში“ (1956 წ.,
№ 8), აგრეთვე მისი წიგნი „როგორ ვიზრდებოდით ძველად“,
1955 წ.

სოლომონ პირველი მეფე

„აქა განისვენებს გუამი იმერეთის მეფისა სოლომონ 1-სა დაიბადა
1735 წ. და მიიცვალა 22-ს აპრილს 1782 წ. ჰყავდა ერთი ვაჟი
ალექსანდრე და ორი ასული მარიამ მეუღლე ქსნის ერისთავის
ელიზბარისა და ღარეჯან მეუღლე თავადის ქაიხოსრო აბაშიძისა“

სოლომონ პირველი, იმერეთის მეფე, გელათში მარხია. სოლო-
მონ I-ის საქმიანობა აღნუსხულია ერთ ლექსში, რომელიც „იმედ-
ში“ დაიბეჭდა 1883 წლის მესამე ნომერში (გვ. 45): „იმერთა მე-
ფის სოლომონ I საფლავზე დაწერილი“:

ამის ავი კაცი ვიყავ, ტყვე არვის ვაყიდვინეო,
შვიდი წლის ხმელი მამალა ხეს შევსვი, დავაყივლეო,
მწყემსი ვახუჭე, ვალადე, ჩიროს ქვეშ დავაძინეო,
ოსმალთ ქვეყნებო წავართვი, მათგან ხარაჯა ავიღე,
ამდენი საქმის მომქმედმან ცხრა აღლი ტილო წავიღე.

ლექსი გამართულია დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის
ხალხური ეპიტაფიის მსგავსად. სოლომონ პირველზე იხ. „საქარ-

თველოს ისტორია“, ტ. I, ნიკო ბერძენიშვილისა, ივანე ჯავახი-
შვილისა და სიმონ ჯანაშიასი; „გელათი“ ბ. ლომინაძისა, 1955 წ.
სოლომონ I-ის ასული, ელიზბარ ერისთავის მეუღლე მარიამი და-
სათლავებულია იკორთაში, ხოლო დარეჯანი, ქაიხოსრო აბაშიძის
მეუღლე, მოსკოვშია დამარხული.

სოლომონ I ნამდვილად 1784 წელს გარდაიცვალა.

სონღულაშვილი იროდიონ

„დამსახურებული მოღვაწე, ირადიონ თომას ძე სონღულაშვილი
1880—1958“

ირ. სონღულაშვილი, მწერალი, ისტორიკოსი, ვაკის სასა-
ფლაოზეა დასათლავებული, პროფ. ე. თაყაიშვილის გვერდით.

სულხანიშვილი იოსებ

„იოსებ ალექსანდრეს ძე სულხანიშვილი

Иосиф Александрович Сулханов

* 2 Августа 1848 г. † 15 Сентября 1909“

ი. სულხანიშვილი უმთავრესად „სასოფლო გაზეთში“ მონა-
წილეობდა, ბეჭდავდა წერილებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე.
ი. სულხანიშვილი მარხია კუკიის სასაფლაოზე, გვერდით უმარხია
ძმა ვასილი (1862—1909), რომელიც აგრეთვე ბეჭდავდა წერილებს
სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში იმავე საკითხებზე.

სულხანიშვილი ნიკო

„ნიკო სულხანიშვილი 1871—1919“

კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი დამარხულია დიდუბის
პანთეონში. ნ. სულხანიშვილის შესახებ იხ. გ. ნადირაძე—„ნიკო
სულხანიშვილი“, მონოგრაფია, სახელგამი, 1937 წ.

„ღვთაებრივსა განგებასა ვერვინ შესცვლის კაცთაგანი,
მოსასვლელი აღსრულდების ჩვენთვის ხვედრად დანიშნულნი,
მორჩილობენ ღვთის ნებასა გენიოსნი, ბრძენთა ბრძენნი,
ძლიერნი და შეძლებულნი, მეფენი და ქვეშევრდომნი,
ხვედრი ესე მეც მხვდა წილად და აწ მხედავთ მიწად ქმნილსა,
ალექსანდრე ზაქარის ძეს, გვარ-ტომობით სულხანოვსა,
ეკალთ შორის ამა ქვეყნის ტანჯვით და კშუნვით აღზრდილსა,
მისთვის ვითხოვ ზე ქვეყანას ვარდ შორის განხვეწებასა
გარდაიცვალა დეკემბრის 22-ს 1874 წელსა 65 წლისა

Коллежский советник Александр Захариевич Сулханов скончался 22-го декабря 1874-го года 65-ти лет от рождения

[წარწერა დაბლა] Прах коллежского советника Сулханова скончавшегося 21-го декабря 1874 года на 64 году Помян господи во царствии твоём“

აღ. სულხანიშვილი პედაგოგიურ წერილებსა წერდა, ბეჭდავდა „ცისკარში“. თარგმნილი აქვს მხატვრული თხზულებები, და ბეჭდილი ისევ „ცისკარში“. აღ. სულხანიშვილი მარხია მანგლისის სიონის გალავანში. აღ. სულხანიშვილის ლექსების ხელნაწერები დაცულია ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 855), მოწერილი ფსევდონიმებით: ბანდაყული, ბალი-აღა და ალექსანდრე მწირი. აღ. სულხანიშვილი დაბადებულია 1809 წ.

ტარსაიძე გიორგი

„გიგო ტარსაიძე

Георгий Александрович Тарсаидзе

* 8 Августа 1857 г. † 24 Декабря 1904 г.

შეიყვარეო მოყვასი უენი
ეს იყო ქვეყნად ქრისტეს მოძღვრება
და ამანაც ეს შეიხისხლხორცა
ვით წმინდა მცნება და ნეტარება
ჟუვარდა მოძმე გაურჩეველად
გვარტომობისა ეპირა თვალთ
და ხორციელად თვალის ექიმი
სულიერადაც იყო მკურნალი



მაგრამ სოფელმა აღარ აცალა
 ქვეყნით მუშაკი მოხპო უდროოდ
 და უწყინარი მოხიყვარული
 აქ განიხვეწებს ამიერ მყუდროდ
 „იყო სოფელში და სოფელს არგო“
 დასტოვა ქვეყნად წმინდა სახელი
 სამაგალითო იყოს ამ ქვეყნად
 მისი ნეტარი სახსენებელი

აკაკი

Мир праху твоему“

თვალის ექიმი და ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე გ. ტარსაიძე კალოუბნის ეკლესიის ეზოში ემარხა, ახლა კი ვერის სასაფლაოზეა დამარხული. გ. ტარსაიძის ეპიტაფია აკაკი წერეთლისაა. ეპიტაფიის ტექსტი ერთი, სახელდობრ, უკანასკნელი სტროფით მეტია აკაკი წერეთლის თხზულებათა მეორე ტომში დაბეჭდილ ტექსტთან შედარებით. ამის შესახებ იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1943 წ., № 19, „ფრაგმენტები“ ს. ხუციშვილისა. გ. ტარსაიძის ხსოვნის უძღვნა ნიკო ლომოურმა მშვენიერი მოთხრობა „ბაწია მეგობრები“, იხ. ნ. ლომოურის „მოთხრობები“ ს. ხუციშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, შენიშვნა გვ. 371—372. გ. ტარსაიძეზე იხ. ა. წულუკიძის წიგნი: «Врачи-грузины XIX столетия», 1948 წ., აგრეთვე გაზ. „კომუნისტი“, 1957 წ., № 186, ნ. ბერაძის წერილი—„გამოჩენილი ოფთალმოლოგი“; ნ. ბერაძისა და ლ. ჩიქოვანის წიგნაკი „გიორგი ტარსაიძე“, სამედიცინო გამომცემლობა, 1957 წ.

ტატიშვილი იოსებ

„იოსებ გრიგოლის ძე ტატიშვილი Иосиф Григорьевич Татишвили 1886—1952“

მწერალი-პროზაიკოსი ი. ტატიშვილი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. მასზე იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., № 30. ნეკროლოგი. ი. ტატიშვილი შვილია სახელგანთქმული ქართველი ქსილოგრაფისა და მხატვრის გრიგოლ ტატიშვილისა, რომელმაც დავით ერისთავის დახმარებით და ხელისშეწყობით შეისწავლა ხეზე ამოჭრის ოსტატობა.

„ერეკლე ტატიშვილი 1884—1946“

სახელმწიფო დრამატიული თეატრებისათვის კლასიკურ პიესათა მთარგმნელი, პედაგოგი ერეკლე დიმიტრის ძე ტატიშვილი ვაკის პანთეონშია დასაფლავებული. მასზე იხ. გ. გამყრელიძის წიგნი—„თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.

ტუსიშვილი სოლომონ

„თავადი სოლომონ გიორგის ძე ტუსიშვილი დაიბადა 9 იანვარს 1859 წ. გარდ. 3 ივნისს 1903 წ. Князь Соломон Георгиевич Тусиев род. 9 января 1859 г. сконч. 3 июня 1903 г.“

ს. ტუსიშვილი საბავშვო მწერალი იყო. მისი მოთხრობები იბეჭდებოდა 80-იან წლებში. ს. ტუსიშვილი დასაფლავებულია სოფ. ერთაწმინდაში, წმ. ესტატეს ეკლესიის გალავანში.

უზნაძე დიმიტრი

„აკადემიკოსი დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძე 1886—1950“

პროფესორი, აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე, ფსიქოლოგთა ქართული სკოლის დამაარსებელი, უნივერსიტეტის ერთერთი პირველ პროფესორთაგანი ვაკის სასაფლაოზეა დასაფლავებული. დ. უზნაძეზე იხ. ჟურნ. „ფსიქოლოგია“, ტ. III, 1945, რომელიც მიეძღვნა დ. უზნაძის მეცნიერული მოღვაწეობის 35 წელს; დ. უზნაძის „შრომები“, ტ. I, 1956 წ., რომელსაც ერთვის დ. უზნაძის ბიოგრაფია და შრომების ბიბლიოგრაფია.

P. S. დიმიტრი უზნაძესა და სხვა აკადემიკოსებს, რომელნიც ვაკის სასაფლაოზე არიან დასაფლავებულნი, ერთგვარი წარწერები აქვთ გაკეთებული: აკადემიკოსი ალექსანდრე სტეფანეს ძე ალადაშვილი (1876—1950); აკადემიკოსი ა. ი. დიდებულიძე (1882—1951); აკადემიკოსი გ. ა. წულუკიძე (1889—1950).

უმიკაშვილი პეტრე



„აქ განისვენებს პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი, დაიბადა რუსეთის იმპერიაში 1838 წ. გარდაიცვალა 25 მაისს 1904 წ. Здесь покоится Петр Иосифович Умикашвили 1838—1904“

მწერალი, პუბლიცისტი, დაუღალავი მოღვაწე ხალხური სიტყვიერების შეკრებისა პ. უმიკაშვილი დასაფლავებული იყო კუკიის სასაფლაოს კათოლიკეთა ნაწილში. 1946 წლის 30 ნოემბერს მისი ნეშტი გადატანილი იქნა დიდუბის პანთეონში. პ. უმიკაშვილზე იხ. ფილიპე გოგიჩაიშვილის წერილი—წინასაატყვაობა წიგნისა „ხალხური სიტყვიერება“, 1937 წ.

კუკიის სასაფლაოზე პ. უმიკაშვილის საფლავის ძეგლთან იყო ქვა ასეთი წარწერით: „უმიკაანთ იოსებას ცოლი, პეტრეს დედა“.

ფალიაშვილი ივანე

„ვანო ფალიაშვილი 1868—1934“

გამოჩენილი დირიჟორი, ქართული მუსიკური კულტურის მოღვაწე, ზაქარია ფალიაშვილის ოპერების ხელმძღვანელ—დირიჟორი ვანო ფალიაშვილი დასაფლავებულია მთაწმინდის პანთეონში.

ფანცხავა იაკობ

„იაკობ სპირიდონის ძე ფანცხავა (ფხა) 1867 30/IV ორშაბათი—1955 26/IX ორშაბათი“

პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე ი. ფანცხავა ვაკის სასაფლაოზე არის დასაფლავებული. მისი პატარა მოგონება დაბეჭდილი იაკაკის შესახებ, იხ. „ლიტერატურის მატთანე“, 3—4, ი. ფანცხავას შესახებ იხ. ნეკროლოგი, „ლიტ. გაზეთი“, 1955 წ., № 39.

„რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავა (ხომლელი) 1861—1928 წ.“

რომანოზ ფანცხავა თანამშრომლობდა „თეატრში“, „კვალში“, „აკაკის კრებულში“, წერდა თეატრალურ დადგმათა რეცენზიებს და კრიტიკულ წერილებს ნ. ბარათაშვილზე, დ. კლდიაშვილზე, ეგნ. ნინოშვილზე, მელანიანზე, ი. დავითაშვილზე და სხვ. ცნობილია მისი დიდტანიანი ნაშრომი „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“. რ. ფანცხავა დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. რ. ფანცხავას შესახებ იხ. მისი „ცხოვრების მოედანი“, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, № 8, 9, 11, 12 და 1928, № 1; ს. ხუნდაძის ნეკროლოგი ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ. № 4; იბ. ვართაგავას „ქართველ მწერალთა სილუეტები“, 1956; გ. აბზიანიძის „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან“, 1959.

ფურცელაძე დიმიტრი

„დიმიტრი ფურცელაძე 1825—1891“

დიმიტრი ფურცელაძე დამარხულია დიდუბის პანთეონში. მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები შესანიშნავი ისტორიული მასალაა საქართველოს სოციალური ისტორიისათვის. დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძის ნაშრომები გამოცემულია რუსულ ენაზე „Грузинские церковные гуджары“, 1881 წ., „Грузинския крестьянския грамоты, крепостные и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ“, 1882 წ. მას ეკუთვნის ბოდბის მონასტრის ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერილობა (1888 წ.) და სხვ. დ. ფურცელაძე იყო კავკასიის არქეოლოგიური კომისიისა და მოსკოვის ძველ ნაშთთა საზოგადოების წევრი. დ. ფურცელაძის შესახებ იხ. „მწვემისი“, 1891 წ. № 11; „საქართველოს კალენდარი“ 1894, 1895 და 1898 წლისა, სალიტერატურო ნაწილი.

ფურცელაძე ანტონ

„მე წილათა მხვდა ხვედრი მწარე ძნელად ხაამო,
ჩვენს იარებსა და წყლულებში ხელების რევა,
მით წყლულს ვამტკივნებ მე ხნეულთა და ამის გამო“

შევიძინევი მოძმეთაგან ლანძღვა და წყევლა
ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე
1 ნოემბერი 1839 წ. 4 ნოემბერი 1913“



ანტონ ფურცელაძე დამარხულია სოფ. მერეთის სოფლის სასაფლაოზე. ეპიტაფიის ტექსტი აღებულია ანტ. ფურცელაძის პოემის „თამარ ლაზნელის“ მეორე თავიდან. მის შესახებ იხ. მის. ზანდუკელი—„ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. III, 1955 წ.; ს. ჭილაია—„ანტონ ფურცელაძე“, წერილი მწერლის „რჩეული ნაწერების“ 1951 წლის გამოცემისათვის; ვახტანგ ვახანიას „ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა“, თბ. 1958.

ქართველიშვილი გიორგი

„საფლავსა ამას შინა განისვენებს გვამი გიორგი დავითის ძის ქართველიშვილისა. დაიბადა 10 ნოემბერს 1827 წ. გარდაიცვალა 26 სექტემბერს 1901 წ.“

Под сим камнем покоится прах Георгия Давидовича Картвелишвили, скончавшегося 28 сентября 1901 года от роду“

მცენატი, ქველმოქმედი, ქართულ კულტურულ საქმიანობათა ხელის შემწყობი გ. ქართველიშვილი მარხია დიდუბის ეკლესიაში, საკურთხეველის მარცხენა შესავალთან. გ. ქართველიშვილის სახელი დაკავშირებულია „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემასთან, რომელიც განხორციელდა 1888 წელს. ეს გამოცემა, მდიდრულად შემკული და ზიჩის სურათებით დამშვენებული, გამოიცა ქართველიშვილის საფასით, ამიტომ მას „ქართველიშვილისეული“ ეწოდება. გ. ქართველიშვილის შესახებ იხ. „საქართველოს კალენდარი“, 1903 წ., გვ. 460—461; ნ. ხიზანაშვილის „ნეკროლოგი“, „ივერია“, 1901 წ., №. 210.

ქართველიშვილი ნიკო

„ქართველიშვილი ნიკო 1871—1922“

ნიკო გიორგის ძე ქართველიშვილი, მუსიკოსი, პირველი ქართული ოპერის დამდგმელი, ქართული სიმღერის პოპულარიზატორი, დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

ქიქოძე გერასიმე


„ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, მაქსიმე მღვდლის შვილი, ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე, დაიბადა 1825 წ. პირველად სწავლობდა მამასთან. შემდეგ—თბილისის და პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში 1849 წ. და დანიშნულ იქნა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად. 1850 წ. მიიღო მადისტრის ხარისხი, 1854 წელში დანიშნულ იქნა იმავე სემინარიაში მატემატიკის პროფესორად და ამიერ-კავკასიის საქალებოს ინსტიტუტში საღმრთო სჯულის მასწავლებლად. ამავე წელში იქმნა ხელდასხმული მღვდლად. 1856 წ. აღიკვეცა ბერად. 1858 წ. აყვანილ იქმნა არქიმანდრიტობის და მღვდელ მთავრობის ხარისხზე და დაინიშნა გორის ეპისკოპოსად. 1860 წ. დანიშნულ იქმნა იმერეთის ეპისკოპოსად. 1869—1886 წლებში მართავდა აფხაზეთის ეპარქიას და მიაქცია ქრისტიანობაზე 18000 აფხაზი. 1873—1886 წლებში მართავდა სამეგრელოს ეპარქიას და სვანეთს. უკანასკნელში აღადგინა დაცემული ქრისტიანობა და დაქცეული ტაძრები, ჰქონდა ყველა მაღალი ორდენები, წმ. აღექსანდრე ნეველის და ორდენი ანნა. უმაღლესად დაჯილდოებული იყო ოქროს პანაღით, წარმოთქვა მრავალი ქადაგებანი, აწ უკვე გამოცემული რუსულს, ინგლისურს და ქართულს ენებზედ. გარდაიცვალა 26-ს იანვარს 1896 წ. და დაკრძალულ არს გელათის მონასტერში“

გაბრიელ ეპისკოპოსი გელათში არის დასაფლავებული. გაბრიელი დიდი ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე და მოქადაგე იყო, მას დაბეჭდილი აქვს რამდენიმე წიგნი და, სხვათა შორის, „Основания опытной психологии“, დაბეჭდილი 1858 წელს, რომელსაც ნ. დობროლოუბოვი გამოეხმაურა. გაბრიელ ეპისკოპოსზე იხ. ილია ქავჭავაძე, ტ. II, 1941 წ., გვ. 541; მელიტონ კელენჯერიძის „გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა“, 1913 წ.; ბ. ლომინაძე, „გელათი“, 1955 წ.

ქურხული ილია

„მსოფლიო მიხეტიალე მუსიკოსი ილიკო პეტრეს ძე ქურხული 1885—1954“

ილიკო ქურხული დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე. მასზე იხ. „ლიტერატურული გაზეთი“. 1954 წ., № 40, ნეკროლოგი; ანა



დენიაშვილის წერილი „ხალხური მუსიკის დაუცხრომელი ერთ-
ზიასტი“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1955 წ. № 3; მისივე წიგ-
ნაკი „მოხეტიალე მუსიკოსი“, 1959 წ.

ქუჩიშვილი გიორგი

„გ. ქუჩიშვილი G. Kuchishvili 1886—1947“

პოეტი გიორგი ანდუყაფარის ძე ქუჩიშვილი (ჩხეიძე) დასა-
ფლავებულია დიდუბის პანთეონში. გ. ქუჩიშვილზე იხ. მისი თხზუ-
ლებების პირველი ტომი, ავტობიოგრაფია „ჩემი ვინაობა“.

ღამბაშიძე შალვა

„შალვა ღამბაშიძე 1899—1955“

რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა ღამბაშიძე დიდუბის
პანთეონშია დასაფლავებული. მასზე იხ. რ. სისორდიას წიგნაკი
„შალვა ღამბაშიძე“, 1954; ალ. ბურთიკაშვილის „თეატრალური
პორტრეტები“, 1958 წ.

ღოღობერიძე ნიკოლოზ

„ნიკო ღოღობერიძე N. B. Gogoberidze 1888—1911“

ნ. ღოღობერიძე ილია ჭავჭავაძის თაობის კაცი იყო, „სამო-
ციანელი,“ მონაწილე ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ორგანიზა-
ციისა და გამოცემისა, წიგნების გამომცემელი, მასწავლებელი, მეს-
ტამბე. მასზე იხ. ზაქარია ჭიჭინაძის „ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღო-
ღობერიძე და ქართული სტამბა 1627—1913 წ.“ აგრ. კ. მეძველია,
„თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონე-
რი მოღვაწეები.“ ნ. ღოღობერიძე დასაფლავებულია დიდუბის
პანთეონში.

ყაზბეგი ალექსანდრე

„ალექსანდრე (მოჩხუბარიძე) ყაზბეგი A. Kasbek 1848 8/I
1893 10/XII“

ალექსანდრე ყაზბეგი დასაფლავებულია თავის მამაბაბულის
სახლის წინ სოფელ ყაზბეგში (სტეფანწმინდაში). ალექსანდრე ყაზ-

ბეგზე იხ. მისი თხზულებების ხუთტომიანი გამოცემა, წინასიტყვაობა და ავტობიოგრაფიული მასალა. ძეგლზე ეს წარწერა გაუკეთებულია შემდეგ. დავით ფურცელაძისაგან შედგენილი წიგნის „კავკასიონზე“ (თბილისი, 1959 წ.) შენიშვნაში 24-ე გვერდზე სწერია: „ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლის წარწერა 1924 წლის დამლევს თუ 1925 წლის დამდეგს გაუკეთდა. ხევის ახალ ამბებს შორის იაგორ კაზალიკაშვილი პირველად ამას ატყობინებს გიორგი ნიკოლაძეს. 1925 წლის აპრილში იგი მას წერს: „სანდროს ძეგლს წარწერა გაუკეთეს, მშვენიერი ბაღა-ყვავილოვანი გარემო მოუწყვეს, რკინის მოაჯირი გაუკეთეს...“

ყარაშვილი ანდრია

„კომპოზიტორი ყარაშვილი ანდრია ნიკოლოზის ძე 1857—1925“

ანდრია ყარაშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მის შესახებ იხ. პ. ხუჭუა—„ანდრია ყარაშვილი“, 1949 წ.; შ. კაშმაძე—„ანდრია ყარაშვილი“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ. № 9.

ყიფიანი დიმიტრი

„Д. И. Кипиани

დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი 1814—1887 24 ოქტომბერს“

დიმიტრი ყიფიანი მთაწმინდის პანთეონში მარხია. ძეგლი დაედგა 1898 წელს. მის გვერდით დამარხულია მისი მეუღლე ნინო გიორგი (იაგორ) ჭილაშვილის ასული, რომელიც 1902 წელს გარდაიცვალა ქვიშხეთში. ნინოს ეკუთვნის მოგონებები ნ. ბარათაშვილის შესახებ (იხ. ნ. ბარათაშვილი, 1922 წლის სამსონ ფირცხალავასეული გამოცემა, გვ. 244—245). დიმიტრი ყიფიანის შესახებ იხ. ს. ხუნდაძის ვრცელი მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“, უნივერსიტეტის გამოცემა, 1936 წ.; ს. ხუნდაძისავე რედაქციით გამოცემული ყიფიანის „მემუარები“, 1930 წ.; დ. ყიფიანის საარქივო დოკუმენტების პუბლიკაცია იხ. „საისტორიო მოამბე“, № 3 შ. ჩხეტიას შესავალი წერილით; „დიმიტრი ყიფიანის არქივი“, შედგენილი და დასაბუთებელი მომზადებული შალვა გოზალიშვილის მიერ, 1951 წ.

„ქართული სცენის დიდათ დამსახურებული მოღვაწე და მალაღნიჭიერი მსახიობი კოტე დიმიტრის ძე ეიფიანი 1849—1921
К. Д. Кипиани“

კ. ეიფიანი 1879 წელს განახლებული ქართული თეატრის ერთი ბურჟუაზიანი იყო. მსახიობი და მწერალი კ. ეიფიანი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. კ. ეიფიანის შესახებ იხ. ი. გომართელი. „კონსტანტინე დიმიტრის ძე ეიფიანი. 45 წლის მოღვაწეობის იუბილეს სახსოვრად“, 1914 წ.; ილ. ზურაბიშვილი—„ოთხი პორტრეტი“, 1948 წ.; ალ. ბურთიკაშვილი—„სცენის ოსტატები“, 1951 წ.

ეიფიანი ნინო

„მწერალი ნინო ბეჟანის ასული ეიფიანისა 1867—1937“

ნინო ბეჟან ტატიშვილის ასული, კოტე ეიფიანის მეუღლე, დიმიტრი ეიფიანის რძალი, ქვიშხეთში მარხია. ნინო ეიფიანი მწერალი იყო, მთარგმნელი. მის მიერ ნათარგმნი საბავშვო მოთხრობები იბეჭდებოდა „ჯეჯილში“. მას ეკუთვნის ივანე ფრანკოს ერთი მოთხრობის—„ნაძირალნი“-ს (იხ. „მოამბე“, 1903, № 7 და 8), და ჯიოვანოლის სახელგანთქმული რომანის „სპარტაკის“ თარგმანი, რომელიც ორჯერ დაიბეჭდა. მისი ორიგინალური თხზულება „სიზმარი“ ი. გრიშაშვილმა გამოსცა 1916 წ. ნინოს ეკუთვნის მოგონებები დიმიტრი ეიფიანზე, იხ. „Закавказье“, 1912 წ. ივლისი.

ეიფიანი მისეილ

„მისეილ ზაალის ძე ეიფიანი 1833 წ. 12 აპრილს 1891 წ. 2 მარტს“

მის. ეიფიანი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში, იგი ილ. ჭავჭავაძის ჯგუფის თეატრისა ჩინო მოღვაწე იყო, „საქართველოს მოამბეში“ სპირიტონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით წერდა პუბლიცისტურ წერილებს. მის. ეიფიანს უძღვნა ლექსი კოსტა ხეთაგუროვმა გარდაცვალების გამო. მ. ეიფიანის შესახებ იხ. „Памяти Михаила Зааловича Кипиани“, 1892 წ., კავკავი; „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 4—5, ს. ხუციშვილი და ნ. ტატიშვილი—„სა-

ქართველოს მოამბე“, შენიშენები, გვ. 348—350; აგრეთვე მხ. კეკელიძის წერილი კრებულში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, I, 1953.

ეიფშიძე გრიგოლ

„გრიგოლ თევდორეს ძე ყიფშიძე 1858—1921 წ. 12 ნოემბერსა“

გრიგოლ (გიგა) ყიფშიძე ილ. ჭავჭავაძის თანამშრომელი „ივერიაში“, ამ გაზეთის სტილისტი, მწერალი, მთარგმნელი „ლალატისა“, პოლ ბურჟეს თხზულებებისა, სენკევიჩის „ცეცხლითა და მახვილითა“. თარგმნებსა და ორიგინალურ მხატვრულ-პუბლიცისტურ თხზულებებს ბეჭდავდა „მოამბეში“, მან შეადგინა ილ. ჭავჭავაძის ვრცელი ბიოგრაფია. გრ. ყიფშიძე დასაფლავებულია სოფ. სალოლაშენში, ღვთისმშობლის ეკლესიის ვალავანში. გრ. ყიფშიძის შესახებ იხ. სოფ. მგალობლიშვილი—„მოგონებანი“; ს. ცაიშვილის წიგნაკი „სახალხო განათლების მოღვაწეები“, 1954 წ., „გრიგოლ ყიფშიძე“, აგრეთვე მისივე წერილი წიგნში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებული II, 1955 წ.

სალოლაშენშივე მარხია გრიგოლ ყიფშიძის მეუღლე, მსახიობი ბარბარე კორინთელი-ყიფშიძისა, რომელიც განახლებული ქართული სცენის მსახიობი იყო 80-იანი წლებიდან.

ეიფშიძე ალექსანდრე

„ალექსანდრე ყიფშიძე ფრონელი 1861—1916“

ალექსანდრე ფრონელი ისტორიულ თხზულებათა ავტორია, მას ეკუთვნის გამოკვლევა „მთიულეთი 1804 წელს“, „ამბოხება კახეთისა“, „დიდებული მესხეთი“ და სხვა მრავალი. თანამშრომლობდა ჟურნალ „მოამბეში“, გაზ. „სახალხო ფურცელში“ და სხვ. ალ. ყიფშიძე-ფრონელზე იხ. „ლიტერატურის მატიანე“, 3—4, „ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) დღიურები“, პუბლიკაცია და შენიშენები გიორგი ნათაძისა.

ალ. ყიფშიძე დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული.

„იოსებ ალექსის ძე ყიფშიძე 1883 — 1919“

იოსებ ყიფშიძე იყო თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი და მის ერთ-ერთი დამაარსებელი, ენათმეცნიერი, მეგრულ-ქანური ენების სპეციალისტი. იოსებ ყიფშიძე დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. იოსებ ყიფშიძეზე იხ. „მომომხილველი“, I, 1926 წ., სერგო გორგაძისაგან დაწერილი მიმოხილვა იოსებ ყიფშიძის ცხოვრებისა და მეცნიერული მუშაობის შესახებ; აგრეთვე გიორგი გამყრელიძის „თბილისის უნივერსიტეტი“. იოსებ ყიფშიძე დაბადებულია 1885 წელს.

ეიფშიძე დავით

„დავით ალექსის ძე ყიფშიძე 1890 — 1919“

დავით ყიფშიძე, ძმა იოსებ ყიფშიძისა, პეტერბურგის სტუდენტთა წრის აქტიური წევრი, ისტორიკოსი და ლიტერატორი, არქეოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის მუშაკი, ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი, დასაფლავებულია ძმის გვერდით დიდუბის პანთეონში.

ყუბანეიშვილი ნესტორ

„ეპისკოპოზი ნესტორი (ყუბანეიშვილი) 1853 — 1936 წ.“

ნესტორ ყუბანეიშვილი ლექსებსა წერდა და ბეჭდავდა „იმედში“, თანამშრომლობდა ჟურნალ „მწყემსში“, ავტორი იყო სკოლაში სახმარ სახელმძღვანელოებისა. ნესტორ ყუბანეიშვილი დასაფლავებულია ქუთაისში, საფიჩხიას სასაფლაოზე.

შარაბიძე იოსებ



„Здесь покоится прах протодиакона Иосифа П. Шарабидзе
1840—1898 г.“

აქ განისვენებს გვამი არსი დიაკვნის იოსებ პ. შარაბიძისა
1840—1898 წ.“

ი. შარაბიძე ბაგრატის ტაძრის გალავანში იყო დასაფლავებული, ქუთაისში, ახლა მწვანეყვავილაზეა გადასვენებული. ი. შარაბიძე ავტორი იყო ქართული გალობის სახელმძღვანელოსი, მისი წიგნი „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა ანუ ნოტების პირველი ანბანი“ ორჯერ გამოიცა: 1890 და 1892 წწ. მისი საფლავის ქვაზე მუსიკის ნიშნებია (ნოტები) ამოკვეთილი, რომლებშიც ჩაწერილია „Вечная память“. იოსებ შარაბიძის შვილი იყო მიხეილ შარაბიძე (1872—1932), პედაგოგი და ქართული სიმღერების შემკრები (მიხეილ შარაბიძეზე იხ. ს. იობაშვილის წერილი—„ლოტბარი და მუსიკის პედაგოგი“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957 წ., № 83).

შარაშიძე ერმალოზ

„დამსახურებული მასწავლებელი, მწერალი ერმალოზ დავითის ძე
შარაშიძე 1860—1939“


დამსახურებული მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე ე. შარაშიძე ვაკის სასაფლაოზეა დასაფლავებული. ე. შარაშიძეზე იხ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებული I, 1953 წ.

შიუკაშვილი ნიკო

„დრამატურგი ნიკოლოზ ივანეს ძე შიუკაშვილი
1870—14/VIII 1938“

პედაგოგი და დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე. ნიკო შიუკაშვილზე იხ. მისი „პიესები“,

1953 წელი, შალვა დადიანის წინასიტყვაობა; გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ., № 20.



ჩერქეზიშვილი ელისაბედ

„რესპუბლიკის სახალხო არტისტი ელისაბედ ალექსანდრეს ასული ჩერქეზიშვილი (1862—1948)“

ქართული თეატრის საუკეთესო მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული.

ელ. ჩერქეზიშვილზე იხ. წიგნაკი „ელისაბედ ჩერქეზიშვილი“, შედგენილი სოსო გრიშაშვილისაგან, საიუბილეო კომიტეტის გამოცემა, 1926 წ.; კრებული „ელისაბედ ჩერქეზიშვილი“, საიუბილეო კომიტეტის გამოცემა, 1937 წ.; თვით ელისაბედ ჩერქეზიშვილის „მოგონებანი“, 1941 წ. (მასში დაბეჭდილია ელ. ჩერქეზიშვილის წერილები, მოთხრობები და პიესა); ალ. ბურთიკაშვილის „სცენის ოსტატები“, 1951 წ.; დიმიტრი ჯანელიძე, „სახიობა“, I.

ჩერქეზიშვილი ვასილ

„ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი В. Н. Черкезишвили 1857—1910 Тифлисский городской голова თბილისის ქალაქის თავი“

ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის ქალაქის მოურავი ვასილ ჩერქეზიშვილი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მასზე იხ. გიორგი თუმანიშვილის „Характеристики и воспоминания“, წიგნაკი 1, 1913 წ., გვ. 68—78.

ჩოლოყაშვილი ბიძინა

„აქა განიხვენებს გენერალ ლეიტენანტი ბიძინა ოთარის ძე ჩოლოყაშვილი 1830 $\frac{18\text{IX}}{28\text{XI}}$ 1902 Здесь покойтся генерал-лейтенант князь

Бидзина Отарович Челок ...“

ამ ბიძინა ჩოლოყაშვილისაგან ჩაიწერა იონა მეუნარგიაშვილი ზოგერთი ცნობა ნიკო ბარათაშვილზე. ბ. ჩოლოყაშვილი იყო მე-106

ცენატი, წერდა ლექსებსაც. მისი ლექსი ნიკო ბარათაშვილის შესახებ „კვალში“ დაიბეჭდა 1891 წელს. ბ. ჩოლოყაშვილი დასაფლავებულია ქაშვეთის ეკლესიაში.

ჩოლოყაშვილი ნინო

„აკ განისვენებს თ. დავით წერეთლის ასული კნ. ნინო ჩოლოყაშვილისა დაიბადა 1847 წ. გარდაიცვალა 16 დეკემბერს 1922 წ.“

ნინო ჩოლოყაშვილი სცენაზე გამოდიოდა, უმთავრესად ქუთაისში, 80-წლებში. იგი იყო ბიძინა ჩოლოყაშვილის მეუღლე. დასაფლავებულია ქაშვეთის ეკლესიაში. ნინო ჩოლოყაშვილზე იხ. ილია ჭავჭავაძის ლექსის „ძვირფას კოლხიდელთ“ პუბლიკაციის შენიშვნები ს. ხუციშვილისა, „მნათობი“, № 10, 1957 წ., აგრეთვე ბ. გორდენიანის წიგნი „ზიჩი საქართველოში“, გვ. 41.

ჩხეიძე უშანგი

„უშანგი ჩხეიძე“

უშანგი ჩხეიძის დაბადება-გარდაცვალების თარიღებია 1898 წლის 28 ნოემბერი და 1953 წლის 1 დეკემბერი. უშანგი უბრწყინვალესი მსახიობი იყო კოტე მარჯანიშვილის თეატრში, ვერიკო ანჯაფარიძის უბადლო პარტნიორი ბევრ პიესაში. უშანგი ჩხეიძე დიდუბის პანთეონში არის დასაფლავებული. მასზე იხ. ანდრო თევზაძის წიგნი „უშანგი ჩხეიძე“, 1955 წ.

ჩხიკვაძე ნოე

„ნოე ჩხიკვაძე 1888—1920“

პოეტი ნოე ჩხიკვაძე დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ნ. ჩხიკვაძეზე იხ. ალექსანდრე აბაშელის „ნოე ჩხიკვაძე“, ჟურნ. „ცისარტყელა“, 1920 წ., № 7; სერგი ქილაია, „მეოცე საუკუნის ქართული ინფერლობა“, წ. 1, 1956 წ.

„პანტელეიმონ ჩხიკვაძე 1903—30/V 1940—15/IX

ხალხში ცოცხლობენ უენი წიგნები
გმირულ სიმართლით ახლაც ქებული,
ცოცხალთ რიგებში მუდამ იქნები,
ძრწოდეს სიკვდილი დამარცხებული“

პროზაიკოსი, მწერალი პანტელეიმონ ჩხიკვაძე ვაკის სასაფლაო-ზე დასაფლავებული.

ცაგარელი ალექსანდრე

„პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი Профессор Александр Анто-нович Цагарели 1844—1929“

ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი ენათმეცნიერი, ისტორიკოსი და ფილოლოგი იყო. პროფ. დავით იასეს ძე ჩუბინაშვილის შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრა მას ებარა. ქართული უნივერსიტეტის გახსნისათანავე იგი თბილისში დაბრუნდა. ალექსანდრე ცაგარელი დასაფლავებულია, მისი სურვილის თანახმად, თავის თანამებრძოლთა (დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის) გვერდით მთაწმინდის პანთეონში. აღ. ცაგარელზე იხ. მისი „ჩემი იუბილე“, ჟურნალი „ქართული მწერლობა“, 1927 წ., მარტი-აპრილი; აკაკი შანიძის „პროფ. აღ. ცაგარელი“, უნივერსიტეტის მოამბე, 10, 1930 წ.; თორნიკე ჭყონიასი „აღ. ცაგარელი და ძველი ქართული ლიტერატურა“, ჟურნ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. 4, 1947 წ.; გიორგი გამყრელიძის „თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.; შოთა ძიძიურის „ქართული ენისა და ლიტერატურის გამორჩენილი მკვლევარი“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ., № 4.

ცაგარელი ავქსენტო

„დრამატურგი ავქსენტო ცაგარელი 1857—1902“

სახელგანთქმული დრამატურგი ავქსენტო (ასიკო) ცაგარელი დასაფლავებულია კუკიის სასაფლაოზე, თავისი მეუღლის—ნატო

გაბუნიას გვერდით. ასევე ცაგარელზე იხ. „კომედიები“ იოსებ გრიშაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით 1936 წ.; ს. ხუციშვილის „ავქსენტი ცაგარელი“, 1958 წ.; ალ. ბურთიკაშვილის „თეატრალური პორტრეტები“, 1958 წ.; დიმიტრი ჯანელიძის „სახიობა“, I.

ცაიშვილი სოლომონ

„სოლომონ ცაიშვილი 1900—1957“

მკვლევარი, გამომცემელი და პედაგოგი სოლომონ ცაიშვილი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. ს. ცაიშვილზე იხ. შ. ძიძიგურის წერილი „სოლომონ ცაიშვილი“, „ლიტერატურული გაზეთი“, № 9, 1960 წ.

ციმაკურიძე ალექსანდრე

„ალექსანდრე ციმაკურიძე 1882—1954“

მხატვარი ალ. ციმაკურიძე დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ალ. ციმაკურიძეზე იხ. თინათინ ვირსალაძის წერილი ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომებში „ARS Georgia“, 4, „Александр Григорьевич Цимакуридзе“.

ცისკარიშვილი იოსებ

„აქ განისვენებს გვაში იოსებ დავითის ძის ცისკარიშვილისა დაიბადა 1854 წელსა და გარდაიცვალა 1898 წელს. საუკუნოდ იყოს სხენება მისი“

იოსებ ცისკარიშვილი თელავშია დასაფლავებული, ქართველთა სასაფლაოზე. იგი, ქართული ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი, იყო მხატვრული თხზულებების რუსულიდან მთარგმნელი. მისი კორესპონდენციები, ეთნოგრაფიული ხასიათის მიმოხილვები, იბეჭდებოდა „ივერიაში“, „თეატრში“, „მოამბეში.“ წერდა სოფლის მეურნეობის საკითხებზედაც და წერილებს ბეჭდავდა „მეურნეში“. მისი წიგნი „როგორ ცხოვრობენ ჩინელები“, გამოცემულია 1896 წელს. წერილებს ბეჭდავდა „ი. კახელის“ ფსევდონიმით.

ცხველაძე ნიკო

„ნიკო ცხველაძე 1845—1911“

ნიკო ზებედეც ძე ცხველაძე, მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე, უნივერსიტეტის შენობის ამშენებელი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. ნიკო ცხველაძეზე იხ. ვარლამ ქაჯაიას წიგნი „ნიკო ცხველაძე“, 1946 წ.; გიორგი გამყრელიძე „თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.

ცხაკაია მიხეილ

„მიხა (მიხეილ) გრიგორის ძე ცხაკაია 1865—1950 М. Г. Цхакаია“

პროფესიონალი რევოლუციონერი, მუშათა მოძრაობის მოღვაწე მიხა ცხაკაია მთაწმინდის პანთეონშია დასაფლავებული. მის შესახებ იხ. სოფიო ბერიძის ბიოგრაფიული ნარკვევი „მიხა ცხაკაია“, 1959 წ.

ძნელაძე ბორის

„ფოლადისებურ ლენინელს საქ. კომკავშირის ორგანიზატორს აშხ. ბორის ძნელაძეს Стальному ленинцу организатору комсомола Грузии тов. Борису Дзнеладзе 1901—1923“

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ორგანიზატორი ბ. ძნელაძე დასაფლავებულია კომუნარების ქსახელობის ბაღში, თბილისში. ბორის ძნელაძეზე იხ. გრ. ჟვანიას წიგნი „ბორის ძნელაძე“, 1950 წ.

წერეთელი აკაკი

„აკაკი“

აკაკი წერეთელი მთაწმინდაზეა დასვენებული. აკაკის ცხოვრების თარიღებია 1840—1915, მისი ვრცელი მეცნიერული ბიოგრაფია იხ. ლევან ასათიანის წიგნში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, ორი გამოცემით.

წერეთელი გიორგი

„გიორგი წერეთელი 1842—1900“

ბელეტრისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, „სამოციანელი“ გ. წერეთელი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. გ. წერეთლის შესახებ იხ. ს. ხუნდაძე — „გიორგი წერეთელი“, წინასიტყვაობა მწერლის თხზულებების პირველი ტომისა, 1931 წ. აგრეთვე „გიორგი წერეთელი“, ბიოგრაფია, სიტყვები, წერილები გარდაცვალების გამო, 1900 წ.

წერეთელი ეკატერინე

„ამა ლოდსა ზედა წარვსწერ გლოვის ხმასა
ეპიტაფიებრ ცრემლ სადენ საწუხ ხმასა
თუმცა ვერ შევმზადებ ღირს შენდა ქების თქმასა
ვით დებს მატებდი მარადღე დიდებასა
დედა ვგოდებ ასულის მოკლებასა“

Под сим камнем покоится дочь князя Ивана Еристова Екатерина княгиня Церетели, скончавшаяся 1870 г. декабря 4 дня

ვით დავითმინო მწუხარებანი,
ეკატერინას მოშორებანი
მათმან დედამან მოგონებანი
და ვაებისა დამონებანი“

ეკ. წერეთელი, ერისთავის ასული, პოეტი ქალი იყო, რომლის ლექსები იბეჭდებოდა „ცისკარში“, მისი სიკვდილის შემდეგ, 1871—1872 წლებში. ერთი ლექსი „უსტარი თ. გ. ერი—ბუნებით შენში იხილვება გონიერება“ — დაბეჭდილია „ცისკარში“, 1852წ., № 4 კ. ე. წ.-ს ხელმოწერით (კენიან ეკატერინე წერეთელი). ეკ. წერეთელი დასაფლავებულია იკორთაში, ერისთავების საგვარეულო სამარხში. აქვე დამარხულია ეკატერინეს და — ანასტასია, რომლის ქვაზეც დედას შემდეგი ამოუკვეთია.

ვგოდებ ტკბილს ასულს, ამიერ გახულს,
ეპიტაფიებრ ცრემლ მჩქეფრად დახმულს,
ანასტასიას, ჩემს გულსა და სულს,
ვაი მშობელსა და მზეებრ დახულს,
გთხოვ ავედრებდეთ მართალს ამის სულს

წინამძღვრიშვილი გრიგოლ



„დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გრიგოლ ბეჟანის ძე წინამძღვაროვი გარდაიცვალა ენკენისთვის 15-სა 1901 წელსა შობიდან 78 წლისა. განიხვენე ძვირფასო ბიძავ“

Действительный Статский Советник Григорий Бежанович Цинамзгваров скончался 15 сентября 1901 года на 78 году от рождения. Мир праху твоему“

გრ. წინამძღვრიშვილი 1823 წელს დაბადებულია. ვორონცოვის დროს მეფის ნაცვლის კანცელარიაში მსახურობდა, შემდეგ თბილისის საოლქო სასამართლოს წევრი იყო. იგი უმთავრესად „ცისკარში“ მოღვაწეობდა. თარგმნიდა სომხურიდან. მას ეკუთვნის გრიბოედოვის პიესის თარგმანიც, რომელიც 1853 წელს დაიბეჭდა: „ვაი ჭკუისაგან, კომედია ოთხ მოქმედებად. თხზულება ალექსანდრე გრიბოედოვისა, ნათარგმნი გრიგოლ წინამძღვაროვის მიერ. წინასიტყვაობა—მოკლე მოთხრობა ალექსანდრ სერგეი გრიბოედოვზე და მის კომედიაზე, პოლევოის თხზულებისაგან გამოკრეფილი“. მანვე თარგმნა ლერმონტოვის „მასკარადი“ („ცისკარი“, 1864 წ., VIII).

გრ. წინამძღვრიშვილი დასაფლავებულია თბილისში, პეტრე-ბავლეს სასაფლაოზე. მასზე იხ. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1934 წ., № 11, დიმიტრი ჯანელიძის წერილი.

წუწუნავა ალექსანდრე

„ალექსანდრე რაჟდენის ძე წუწუნავა 1881—1955 წ.“


ქართული თეატრის მოღვაწე, რეჟისორი ალ. წუწუნავა დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. ალ. წუწუნავაზე იხ. როდიონ ქორქია „ალექსანდრე წუწუნავა“, ჟურნ. „მნათობი“, 1956 წ., № 10; დავით კასრაძე „ალექსანდრე წუწუნავა“, 1956 წ.

წუწუნავა ცეცილია

„ცეცილია რაჟდენის ას. წუწუნავა 1892—1956“

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ცეცილია წუწუნავა დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მასზე იხ. ნ. ქოჩაკიძის, ქ. ტუს-

კიას და ლ. ლომთათიძის წიგნაკი „ცეცილია წუწუნავა“; ალ. ბურ-
თიკაშვილის „თეატრალური პორტრეტები“, 1958 წ.



ჭავჭავაძე ალექსანდრე

[კედელში] „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე მიიტყალა ა წლისა ვ
ნოემბერსა ჩუშვ წელსა მწუხრსა განისვენოს ტირილმან და ცის-
კარსა სინარულმან ფსალ. კთ.

Няньз Александр Чавчавадзе, скончался 60 лет 6 ноября 1846 года.
Вечер водворится плачь, а завтра радость. Псал. XXIX

[იატაკზე] „მარად საუფიწყოახსა სიმამრისა სამარესა დავსდევ
ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა“

ალ. ჭავჭავაძე დასაფლავებულია შუამთის მონასტერში. საფ-
ლავის ქვა ორია: ერთი—კედელში, თეთრი მარმარილო, ღერბით;
ქართულ-რუსული წარწერით, ხოლო მეორე, საფლავზე დადებული,
სამეგრელოს მთავრის, ალ. ჭავჭავაძის სიძის, დავით დადიანის
სასახსოვრო. ასეთივე ქვა დავით დადიანს დაუდგია ალექსანდრეს
მეუღლისათვის—სალომე ორბელიანის ასულისათვის, რომელიც
მთაწმინდის დავითის ეკლესიაშია დამარტებული: „მარად საუფიწყოახსა
სიდედრისა სამარესა დავსდევ ფიქალი ესე მთავარმა დავით და-
დიანმა“. ალ. ჭავჭავაძის მამა, მეფე ერეკლეს დიპლომატი დავით
ჭავჭავაძე, იგივე გარსევან, 1811 წელს გარდაიცვალა პეტერბურგში
და დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში. მის საფლავ-
ზე ქვა დაუდგია და ეპიტაფია დაუწერია გიორგი ავალიშვილს,
გარსევანის მეუღლის, მაიას, ძმას. ეპიტაფია გარსევანისა შემდე-
გია: „ქჷს სახსოვრისა ამის მდებარებს კახეთის თავადი დავით
ჭავჭავაძე, გარსევანად ცნობილი

არ არსის არხად მომცვლელმან მოქმედმან მან
ათას ახ შჷდ ახსა ხუთ ათ შჷდს ღმერთ მამამან
ოცსა ივლისსა მშჷა მიბრწყინვა მყისვე ცამან
თანა-მდებ მყო წარმხლომ საწუთრომ ამან
მცემად მისდა აწ ესთა ხარკისა მან
მიმცტალა კვალად ათ ახს რვა ახ ათ ერთ მეტხ
აპრილის მშჷდსა ბრწყინვალეს პარასკევს დღეს
შემდგომ შუა-დღის უამს ნახევარ მესუთეს
მოხეთ მღრთისად მხილველნი ჰკრტიტეთ რა ეს
ვინათ ყოველთად ხვედრი ესე არს ნაწეს
თ. გ. ა. მიერ

აპა ესე-რა ღმერთი შემწე ჩემ და და უფალი შემწყნარებელი
სულისა ჩემისა

Здесь почивает Действительный статский советник, Кахетинский князь
Давид Чавчавадзе, род. 20 июля 1757 г.—умер 7 апреля 1811 г.

გარსევან ჭავჭავაძის ეპიტაფიის ტექსტი, ნაწილობრივ, გა-
მოაკვეყნა ი. გრიბაშვილმა, იხ. აღ. ჭავჭავაძე—„თხზულებანი“,
გვ. XV. სრული ტექსტი დაბეჭდილი აქვს მარი ბროსეს „Inscrip-
tion...“-ში, გვ. 34. გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე, ივანე ავალი-
შვილის ასული, დაა გიორგი ავალიშვილისა და დედა ალექსანდ-
რე ჭავჭავაძისა—მაია—დამარბულია შუამთაში. მის საფლავს აწე-
რია: „ეკლესიას ამას შინა მდებარე მარიამ თავადის გარსევან
ჭავჭავაძის მეუღლე ასული ავალიშვილისა თავადის იოანესი შობი-
ლი აპრილის 1-სა წელსა 1758 და გარდაცუტილი 19 მაისს 1836.
ეკალთა ზედა ამის სოფლისათა აღსრულებული ყუბვილთა შორის
სასუფეველისა შენისათა ღირს მყავ მე განღვიძებად უფალო“. ეს
ეპიტაფია ნაწილობრივ და შეცდომებით გამოკვეყნებული აქვს
ექვთიმე თაყაიშვილს, იხ. „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შე-
ნიშვნანი“, წ. 1, გვ. 269—270, იგი დაბეჭდილია აგრეთვე „Закав-
казский Вестник“-ში, 1845 წ. № 27.

აღ. ჭავჭავაძეს ოთხი შვილი ჰყავდა, უფროსი ასული ნინო,
აღ. გრიბოედოვის მეუღლე, დამარბულია მთაწმინდაში, ქმრის
გვერდით. მის საფლავს აწერია: „Нина Грибоедова, родилась 4
ноября 1812 года, скончалась 25 июня 1857 года“. ნინომ თავის
ქმარს დაღუპვის სამი წლის თავზე აუშენა აკლდამა და თაღ-
ზე წააწერა: „აქა მდებარებს გუამი გრიბოედოვისა. მას აღუშენა
ძეგლი ესე მეუღლემან თვისმან ნინა თავადის ალექსანდრე ჭავჭა-
ვაძის ასულმან წელსა 1832“. საფლავის ქვაზე კი ნინომ ამოაკვე-
თინა შემდეგი: „Александр Сергеевич Грибоедов, родился 1795
года генваря 4 дня, убит в Тегеране 1829 г. генваря 30 д. Ум
и дела твои бессмертны в памяти русской, Но для чего пере-
жила тебя любовь моя.

Незабвенному его Нина“.

ნინო ჭავჭავაძე მძვინვარე ხოლერით მოკვდა 1857 წელს (მი-
სი დედა სალომეც ხოლერამ მოკლა 1847 წელს). ნინო ჭავჭავაძე
ბევრი ქართველი პოეტის შთაგონების წყარო იყო. ჩვენ დროს
გ. ლეონიძემ ლამაზი ლექსი უძღვნა ნინო ჭავჭავაძეს:

თუ გადაქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
 ახლაც მინათებს შენი მშვენება,
 შენგან შევიტყე, რომ სილამაზეს
 არ უწერია გადაშენება!
 შენ ცოცხალი ხარ, შენი მგონებშიც
 და გაურუოლება მათი გულისა,
 თავშესაფარი რამდენ ოცნების
 იყავ ბანაკი გაზაფხულისა.
 შენ სილამაზის იქით ბნელდება,
 დაიხურება ცისკრის კარები,
 შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
 მკერდზე რომ ვარდსაც არ იკარებდო!

ასეთივე სიყვარულითა და პატივისცემით აღსავსე წერილი უძღვნა ნინოს ტიციან ტაბიძემ (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1958 წ, № 24 და 25).

ქმარი ნინოს თურმე მურილიოს მადონას ეძახდა!

ალ. ჭავჭავაძის მეორე ასული, „ღვთაებრივი“ ეკატერინე, დავით დადიანზე—სამეგრელოს მთავარზე იყო გათხოვილი. ეკატერინემ ნ. ბარათაშვილის მუხას შედეგრი დააწერინა. ეკატერინე დადიანი მარტვილის მონასტერშია დამარხული, მის საფლავზე წერია: „Владетельница Мингрелии Екатерина Александровна Даднан მთავრინა მინგრელიისა ეკატერინე“ (იხ. ექვ. თაყაიშვილი—„არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, ტ. II, გვ. 127). ეკატერინე დაიბადა 1816 წელს და გარდაიცვალა 1882 წ.

მესამე ასული ალექსანდრესი, სოფიო, გათხოვილი იყო ბარონ ნიკოლაიზე, იგი კიევში გარდაიცვალა და ვიბორგში დაუმარხავთ. მისი ეპიტაფია (გამოაქვეყნა ი. გრიშაშვილმა, იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941, № 19) შემდეგია: „София Александровна Николаи рожденная княжна Чавчавадзе, род. в Тифлисе 22 сентября 1833 г. сконч. в Киве 18 марта 1862 г.“ ამ სოფიოს დაბადებაზე დაწერა გრ. ორბელიანმა „სიხარულო, შეებაე, ლხინო, ახლისა აკვნის გუშაგნო!“

ალ. ჭავჭავაძის ვაჟი, დავითი (1818—1884), თავისი ცოლით, ილია ბატონიშვილის ასულით, ანათი, (1828—1905) დამარხულია მამის გვერდით, შუამთაში. დავითსა და ანას (ანა ილია ბატონიშვილის ასული იყო, შვილისშვილი გიორგი XII-ისა) ბევრი შვილები ჰყავდათ: ალექსანდრე, არჩილი, სალომე ოსტენსაკენისა,

ილია, ელენე ასტაფიევისა (ამისი პატარა ბავშვი მარხია ნინო ქავჭავაძისა და ალ. გრიბოედოვის აკლდამაში), თამარ, მეუღლე ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონისა (ამისი შვილი იყო მთარგმნელი ქართულიდან ფრანგულ ენაზე და უნივერსიტეტის პირველი მასწავლებელი ქალი ფრანგული ენისა ელისაბედ ორბელიანი), მარიამ ქავჭავაძისა, ანასტასია ჩოლოყაშვილისა, ნინო ჯორჯაძისა, ლილია.

ალ. ქავჭავაძის საფლავის ქვის წარწერის ტექსტი დაბეჭდილი აქვს ივ. კერესელიძეს 1861 წლის აგვისტოს „ცისკარში“, თავის დღიურ-მოგზაურობაში.

P. S. შუამთის მონასტერშივეა დამარხული თინათინ გურიელის ასული, მეუღლე კახთა მეფის ლევანისა; მისი ეპიტაფიაა: „აქა მდებარე არს გვამი კახთა მეფის ლევანის მეუღლის თინათინისა, ამა მონასტრის აღმშენებელისა, 1519—1534“. ეს ის თინათინია, რომელიც ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანის—„მიმქრალი შარავანდედის“ გმირად იქცა. ლევან კახთა მეფე გრემში მარხია. ამ ლევანის შვილის-ალექსანდრეს ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა და მისი დროის საქართველო არის აღწერილი ლევან გოთუას ისტორიულ რომანში „გმირთა ვარამი“. თინათინისა და ალ. ქავჭავაძის ეპიტაფიები დაბეჭდილი აქვს ი. მერკვილიძეს წერილში „შუამთა“ („ივერია“, 1909, № 139).

ქავჭავაძე ილია

„ილია ქავჭავაძე 1837—1907“

ილია ქავჭავაძე მთაწმინდაზეა დაკრძალული.

წიწამურაში, შავი ჯვრის ადგილზე, 1937 წელს აგებულ იქნა თეთრი ობელისკი. ზედ ამოკვეთილია ილიას პროფილი, იაკობ ნიკოლაძის შესრულებული. ობელისკს აწერია:

ილია ქავჭავაძე 1837—1907
დაე თუნდ მოვკვდე არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან, აღასრულა მან თვისი ვალი

მარჯვენა გვერდზე წერია: „1907 წ. 12 სექტ. (30 აგვ. ძვ. სტილით) თვითმპყრობელობის დაქირავებულმა აგენტებმა აქ ვერაგულად მოჰკლეს ქართველი ხალხის დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე“. მარცხენა მხარეს იგივე, რუსულად. ილია ჭავჭავაძის გვერდით მთაწმინდაზე მარხია მისი მეუღლე **ოღლა თადეოზ გურამიშვილის ასული**, გარდაცვალებული 1928 წელს.

P. S. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაზე არის მემორიალური დაფა: „უნივერსიტეტის შენობის აშენების ინიციატორი და სულისჩამდგმელი ილია ჭავჭავაძე, მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ცხვედაძე, ხუროთმოძღვარი-მშენებელი სვიმონ კლდიაშვილი. შენობის აგება დაიწყო 1900 წ. დამთავრდა 1906 წ.“

ჭალადიდელი (ქოჩაქიძე გიორგი)

„პოეტი გიორგი მაქსიმეს ძე ჭალადიდელი (ქოჩაქიძე) 1847—
—1898 წ. ნეშტი გადმოტანილია ს. ჭალადიდიდან ქ. ცხაკაიაში
1940 წ. ივლისს“

პოეტი გ. ჭალადიდელი მინსკში გარდაიცვალა, ცხედარი ფოთში წამოასვენებს 24 მაისს და 26 მაისს (1898 წელს) დაკრძალეს ჭალადიდში, საქოჩაქოს ეკლესიის სასაფლაოზე. 1940 წელს მისი ნეშტი გადაიტანეს ცხაკაიაში (ახალსენაკში) და დაკრძალეს ქალაქის ბაღში. გ. ჭალადიდელის შესახებ იხ. იონა მეუნარგიას მიერ შედგენილი ბიოგრაფია პოეტის თხზულებათა 1913 წლის გამოცემაში, აგრეთვე 1947 წლის გამოცემა გ. ჭალადიდელის ლექსებისა, დ. შამათავას წინასიტყვაობით და ი. მეუნარგიას „ქართველი მწერლები“, 1, 1954.

ჭიჭინაძე ზაქარია



„ზაქარია ჭიჭინაძე 1853—1931“

დაულალავი მუშაკი, მრავალი ნაშრომის ავტორი და სხვადასხვა წიგნთა გამომცემელი ზ. ჭიჭინაძე მთაწმინდის პანთეონში მარხია. ზ. ჭიჭინაძის შესახებ იხ. ლ. ასათიანი—„ქართველი შოველი“, კრებულში „ლიტერატურა და სხვა“, 1933, ფედერაცია. იხ. მისივე „რჩეული ნაწერები“, I, 1958. ზ. ჭიჭინაძე დაბადებულია 1854 წელს.

ჭონქაძე დანიელ

„დანიელ ჭონქაძე 1830—1860“

დანიელ გიორგის ძე ჭონქაძე დასაფლავებულია ვერის ძველ სასაფლაოზე (ახლა კიროვის სახელობის ბაღი). საფლავის ქვა და ეპიტაფია გაუკეთდა 1957 წელს. ძველ ქვაზე ეწერა: „დანიელ ჭონქაძე ავტორი „სურამის ციხესი“—დანიელ ჭონქაძე 1830—1860 სურამის ციხის ავტორი“. დანიელ ჭონქაძის გვერდით დასაფლავებულია მისი მეუღლე—ანა თევდორეს ასული ფეოდოროვა. დანიელ ჭონქაძეზე იხ. ფილიპე მახარაძე, „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, 1904 წ.; იგივე, ფ. მახარაძე, „თხზულებანი“, ტ. 5, 1927 წ., აგრეთვე „სურამის ციხე“, 1932 წლის გამოცემა მიხეილ ზანდუკელის წინასიტყვაობითა და რედაქციით.

ფილიპე მახარაძის ცნობით დანიელ ჭონქაძის საფლავზე დებულა თუჯის ფიციარე წარწერით: „Здесь погребен Даниел Георгиевич Чонкадзе Родился в 1830 году, скончался 16 июня 1860 года“ (იხ. მისი წიგნი „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“). ზაქარია ჭიჭინაძეს კი, 1910 წელს დაწერილ წერილში მოტანილი აქვს შემდეგი ტექსტი: „აქ მარხია თბილისის სემინარიის მასწავლებელი დანიელ გიორგის ძე ჭონქაძე, რომელიც დაიბადა 1830 წ. და გარდაიცვალა 16 ივნისს 1860 წ.“ (გაზ. „ახალი აზრი“, 1910 წ., № 4. იგივე „საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები“, ტ. IV, 1925 წ.).

ჭრელაშვილი სტეფანე



„ჭრელაშვილი სტეფანე თეოდორეს ძე 1857—1917“

ქართული ხალხოსნური შიმართულების წარმომადგენელი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი სტეფანე ჭრელაშვილი დიდუბის პანთეონშია დასაფლავებული. მის შესახებ იხ. „ახალი ქართული ლიტერატურა“, წ. III, პროფ. მიხ. ზანდუკელისა.

ჭყონია მირიან


„მირიან ჭყონია ვილჰელმ ტელის მთარგმნელი 1819—1897“

მირიან ჭყონია მარხია ქუთაისში წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. იგი ნ. ბარათაშვილთან ერთად სწავლობდა და მოწოდებულა „Цветок Тифлисской гимназий“-ს გამოშვებაში.

ჭყონია ილია

„ილია მირიანის ძე ჭყონია 1860—1927“

„ივერიის“ თანამშრომელი, ავტორი შინაური მიმოხილვებისა, ლექსებისა, დიდუბის პანთეონშია დამარხული. ილ. ჭყონია რედაქტორობდა სასოფლო-სამეურნეო გაზეთ „მეურნეს“ (1895—1898წ.წ.), „სიმართლის გზას“ (1917 წ.), 1880 წელს გამოსცა კრებული „სამწერლო თაიგული“, 1888 წელს მისი რედაქციით გამოვიდა „ქილილა და დამანა“ (ამის შესახებ იხ. „ქილილა და დამანა“, ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1949 წ. „სარედაქციო შენიშვნები“). ილ. ჭყონიას შესახებ იხ. მისივე „ჩემი დღე და სოფელი“, „მნათობი“, 1932 წ., № 5—6.



სახანაშვილი ალექსანდრე

„პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი

Профессор А. С. Хаханов 1866—1912“

პროფ. ალ. ხახანაშვილი დაბადებულია 1864 წელს. იგი ლაზარაანთ ინსტიტუტში მუშაობდა, ცხოვრობდა რუსეთში, ქლექით გარდაიცვალა სამარაში, დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. იგი იყო ლიტერატურის ისტორიკოსი, ისტორიულ საბუთთა შემსწავლელ-გამომცემელი, მრავალი ისტორიული და ლიტერატურული მონოგრაფიის ავტორი; რუსულ ენაზე ქართული ლიტერატურის სისტემატური მიმოხილვის შემქმნელი, სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციათა ნამდვილი და საპატიო წევრი. პროფ. ალ. ხახანაშვილის შესახებ იხ. ს. მგალობლიშვილი—„მოგონებანი“, ალ. გარსევანიშვილი—„იოსებ დავითაშვილი“, კრებულში „გორის მწერალთა წრის აღმანახი“, 1934 წ. გორი; გ. თუმანიშვილი, „Характеристики и воспоминания“, წ. I, 1913 წ., გვ. 87—102.

პროფ. ალ. ხახანაშვილის მამის სოლომონ ხახანაშვილის ქადაგებანი იბეჭდებოდა „ცისკარში“. იგი გორის ოქონის ეკლესიის მსახური იყო და მის გალავანში ემარხა.

სიზანაშვილი ნიკო

„აკ განიხვენებს ნიკოლოზ თადეოზის ძე სიზანაშვილი დაიბადა 1851 წელსა, მიიცვალა 15 დეკემბერს 1906 წელსა

Здесь покойтся Николай Фадеевич Хизанашвили 1851 15 XII 1906“

პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი ნიკო სიზანაშვილი ემარხა პეტრე-პაველს სასაფლაოზე, ედგა ძეგლი წარწერით. ახლას ქვა ვაკის სასაფლაოზე დგას. დიდუბის პანთეონში, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ელისაბედ ჩერქეზიშვილის საფლავთან (ნიკო სიზანაშვილი ელისაბედ ჩერქეზიშვილის ქმარი იყო) დევს ქვა წარწერით: „ნიკოლოზ თადეოზის ძე სიზანაშვილი 1851—1906“. ძნელი გამოსარკვევი ვახდა ამის გამო, სად არის სიზანაშვილის ნეშტი! ნ. სიზანაშვილი მოკლულ იქნა ბოროტ გამზრახველთა მიერ. ელ. ჩერქეზიშვილა იგონებდა: „როდესაც დავბრუნდი საქართველოში (საზღვარგარეთიდან, — ს. ხ.), ჩემი ბედნიერი ცხოვრება დაინგრა:



1906 წელს ქმარი მომიკლეს ნაძირალებმა. დაკრძალვას ილია ცდა დაესწრო. სამი დღის შემდეგ უსახელო წერილი მივიღე, შენ არ იკვლიო ხიზანაშვილის მკვლელები, თორემ შენც თან გაგაყოლებთო“ („მოგონებანი“, გვ. 27). ნ. ხიზანაშვილის შესახებ იხ. „ძველი საქართველო“, ტ. I; გ. ჩიტაიას წინასიტყვაობა ნ. ხიზანაშვილის წიგნისა „ეთნოგრაფიული წერილები“, 1940 წ.; ელ. ჩერქეზიშვილი—„მოგონებანი“, 1941 წ.

სომტარია დიმიტრი

„დუტუ მეგრელი (დ. თ. ხოშტარია) 1867წ.—1938 წ.“

პოეტი, მწერალი დუტუ მეგრელი დამარხულია ვაკის პანთეონში. წერილებს წერდა „კვალში“, „ივერიაში“. „მოამბეში“ დაბეჭდა ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანის ნეკროლოგი, 1893 წლიდან მისი ლექსები იბეჭდებოდა „კვალში“, „საქართველოს კალენდარში“ და სხვ. „მოამბეში“ დაიბეჭდა პიესები „გაქსუებული“, „სიკვდილი და სიცოცხლე“, „სიყვარული“. წერდა საბავშვო მოთხრობებსა და ლექსებს „ჯეჯილისათვის“, თარგმნიდა ლერმონტოვის ლექსებს, ნადსონს, შელლის. 1893 წ. დაიბეჭდა მისი ლექსების წიგნი „ტრემლები“, 1897 წ. „მწარე ფიქრები“, 1909—1910 წლებში ნაწერები ორ ტომად, ლექსთა კრებული „ჩემი სიტყვა“ 1932 წ., უკანასკნელი გამოცემა მისი თხზულებებისა, იხ. დუტუ მეგრელი—„თხზულებანი“, 1948 წ. დუტუ მეგრელის შესახებ იხ. შალვა დადიანი—„რჩეული ნაწერები“, წ. I, გვ. 190—192; გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ. № 7. იპ. ვართაგავა—„ქართველ მწერალთა სილუეტები“, 1956; შ. დადიანი—„რეალისტი მწერალი“, რჩეული ნაწერები, I, 1950 წ.

ხუდადოვი ნიკო

„Безкорыстному общественному деятелю и лучшему другу бедных ибольных Николаю Алексеевичу Худадову от родственников, друзей и читателей его памяти, род. 1850 22 VIII сконч. 1907 17 [?]“

ნ. ხუდადოვი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იღებდა მონაწილეობას, წერილების ბეჭდვა დაიწყო „იმედში“, „ივერიაში“, აწერდა ინიციალებს: ნ-ო-ხ-ი. ნ. ხუდადოვის და სოფიო იყო ნიკო ლო-

მოურის მეუღლე. ნ. ხუდადოვი ვერის სასაფლაოზეა დამარხული მის სახელთან არის დაკავშირებული თბილისში გაშენებული რომელსაც „ხუდადოვის ტყე“ ჰქვია.

ხუნდაძე სიმონ

„პროფესორი სიმონ ირაკლის ძე ხუნდაძე 1894—1933“

მკვლევარი, ქართველ კლასიკოს მწერალთა და მთარგმნეთა მემკვიდრეობის გამომცემელი, ავტორი სოციალიზმის ისტორიისა საქართველოში, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლისა და ეგნ. ნინოშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ხელმძღვანელი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი პ. ხუნდაძე ვერის სასაფლაოზეა დასაფლავებული. მის შესახებ იხ. გ. გამყრელიძე — „თბილისის უნივერსიტეტი“, 1948 წ.; ს. ხუციშვილი — „პროფესორი სიმონ ხუნდაძე“, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1953 წ. № 38; მიხ. ზანდუკელი — „ლიტერატურული წერილები“, 1958 წ.; ს. ჭიჭინაძე — „გამოჩენილი მკვლევარი, ნიჭიერი პუბლიცისტი,“ „კომუნისტი“, 1958 წ. № 201.

ჯავახიშვილი ივანე

„ი. ა. ჯავახიშვილი 1876—1940“

პროფესორი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი, საქართველოს ისტორიული წარსულის მკვლევარი მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში განისვენებს. ივ. ჯავახიშვილის ძეგლი მის საფლავზე დაიდგა 1953 წელს, აპრილში. ივ. ჯავახიშვილის შესახებ იხ. დ. გვრიტიშვილის მონოგრაფია „ივანე ჯავახიშვილი“, 1949; მისივე წიგნი: „ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე“, 1960.

ჯაკობია გიორგი

„ლოცენტი გიორგი პავლეს ძე ჯაკობია 1895 წ.—1944 წ.
უკანასკნელი სახსოვარი უბედური დედისაგან“

პედაგოგი, ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი.
გ. ჯაკობია კუკიის სასაფლაოზე მარხია.

ჯანაშვილი მოსე

„მოსე ჯანაშვილი 1855—1934“

მკვლევარი საქართველოს ისტორიისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიისა, ქართული ლიტერატურის შესახებ გამოკვლევებისა, ისტორიულ და ლიტერატურულ საბუთთა გამომცემელი, საინგილოს აღმწერელი, ქართული გრამატიკის შემდგენელი და სხვა მრავალი ნაშრომის ავტორი მოსე ჯანაშვილი მთაწმინდის პანთეონშია დამარხული. მის შესახებ იხ. კ. კეკელიძე—ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები: მოსე ჯანაშვილი, „მნათობი“, 1944 წ. № 12; შ. ძიძიგური—მოსე ჯანაშვილი როგორც ქართული ენის მკვლევარი, „მნათობი“, 1944 წ. № 4—5; ავტობიოგრაფია ჟურნ. „განათლების მუშაკში“, 1927 წ. № 4; კრებული „მოსე ჯანაშვილი“, უნივერსიტეტის გამოცემა, 1956.

ჯანაშია სიმონ

„აკადემიკოსი სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშია 1900—1947“

ს. ჯანაშია მთაწმინდის პანთეონშია დასაფლავებული. ს. ჯანაშიას შესახებ იხ. შოთა მესხიას „სიმონ ჯანაშია“, 1950 წ. საბლიტგამი; მისივე „საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი“, 1960 წ. „აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1949 წ.; ს. ჯანაშიას „შრომების“ სამი ტომი, გამოსცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა, I 1949 წ., II 1952 წ., III 1959 წ.

